თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმი 2019

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით და საქართველოს მთავრობის ორგანიზებით, 2019 წლის 22-23 ოქტომბერს თბილისში ჩატარდა რიგით მესამე საერთაშორისო ფორუმი - თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმი. ფორუმზე მოწვეული იყო 100-ზე მეტი ქვეყნის მთავრობის მეთაური, ეკონომიკის, ტრანსპორტის, ენერგეტიკის, ვაჭრობისა და სხვა უწყებების უმაღლესი თანამდებობის პირები, საერთაშორისო, საფინანსო და დონორი ორგანიზაციების, პროფესიული ასოციაციებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლები. დაახლოებით 2000-მდე სტუმარი.

აღნიშნულ ფორუმს საფუძველი 2015 წელს ირაკლი ღარიბაშვილის პრემიერობისას ჩაეყარა და მასში მონაწილეობა 34 ქვეყნის ოფიციალურმა პირმა და 50 ქვეყნის ბიზნესის წარმომადგენელმა მიიღო.

აბრეშუმის გზის ინიციატივაში საქართველოს მეტი ინტეგრაციის შემდეგ შესაძლებელია ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება რამდენიმე რეგიონის ქვეყნებთან ისეთ სექტორებში, როგორიცაა ტრანსპორტი, კომუნიკაციები, ვაჭრობა, ენერგეტიკა, ტურიზმი.

„თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმი" 22 ოქტომბერს 10:00 საათზე ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ეროვნულ თეატრში საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას მისასალმებელი სიტყვით გაიხსნა.

ფორუმის ფარგლებში პანელები საერთაშორისო ვაჭრობის, ტრანსპორტის, ენერგეტიკის, ინვესტიციების, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების, მათ შორის ხელოვნური ინტელექტის თემაზე გაიმართა:

- მაღალი დონის დიალოგი ერთად საერთო მომავლისკენ: სტაბილური და მდგრადი ზრდის მოდელები
- მომგებიანი ვაჭრობა
- ენერგეტიკის ხვალინდელი დღე - განვითარების ტენდენციები, აბრეშუმის გზის ენერგეტიკული სარტყელის უსაფრთხოება და მდგრადგობა
- ინოვაციებით გამოწვეული ზრდა - აბრეშუმის გზა ხელოვნურ ინტელექტთან ერთად
- სატრანსპორტო კავშირები - ტრანსფორმაცია აბრეშუმის გზის გასწვრივ და მიღმა
- საქართველოს განვითარება - მიზნობრივი ინვესტიციების ხელშეწყობა (1-ლი სესია)
- აბრეშუმის გზა: ახალი შესაძლებლობები ქვეყნებს შორის ინვესტიციებისთვის (მე-2 სესია)

მთავარი პანელების გარდა, ორი დღის განმავლობაში ასევე გაიმართა პარალელური ღონისძიებებიც.

პანელებს მოდერაციას უწევდნენ მსოფლიოში ცნობილი ანალიტიკოსები და ჟურნალისტები: ნურიელ რუბინი - ნიუ იორკის უნივერსიტეტის სტერნის ბიზნესის სკოლის პროფესორი, აარონ ჰესლჰარსტი - BBC World News-ის წამყვანი, კონსტანტინტ კოტზიასი - „ბლუმბერგ ევროპის" დირექტორი, რობ მაკკერგოუ - PwC-ის ხელოვნური ინტელექტის დირექტორი, ჯულიეტ ფოსტერი - agnus Communications-ის დამფუძნებელი, ისკანდერ აბდულაევი - Carec Institute-ის დირექტორის მოადგილე. თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმი 200-მდე ადგილობრივმა და უცხოელმა ჟურნალისტმა გააშუქა..

აბრეშუმის გზის ფორუმის გახსნაზე სიტყვით საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია გამოვიდა, რომელმაც განაცხადა: „ისტორიულად საქართველო მნიშვნელოვან როლს ასრულებდა აბრეშუმის გზის განვითარებაში. თანამედროვე ეკონომიკური ინტეგრაციის და გლობალიზაციის პირობებში, როდესაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნებს შორის სავაჭრო-ეკონომიკურ განვითარებას, ახალი აბრეშუმის გზის კონცეფცია და მასში მონაწილეობა ჩვენთვის კიდევ უფრო საამაყოა. აღსანიშნავია, რომ საქართველო იყო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, რომელიც გამოეხმაურა ჩინეთის პრეზიდენტის სი ძინფინის ინიციატივას „ერთი სარტყელი, ერთი გზის" შესახებ. ეს ინიციატივა ახალი სავაჭრო-სატრანსპოტო დერეფნების შექმნასა

და არსებულის გაუმჯობესების თაობაზეა, რომელიც ეფუძნება ქვეყნებს შორის ურთიერთმომგებიანი თანამშრომლობის პრინციპებს და მისი მიზანია ჩინეთსა და პროექტის მხარდამჭერ ქვეყნებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა. საქართველომ მხარი დაუჭირა აღნიშნულ ინიციატივას და უკვე 2015 წელს თანამშრომლობის

შესახებ შესაბამისი მემორანდუმი გააფორმა ჩინეთის მხარესთან, რამაც ახალი ბიძგი მისცა საქართველოსა და ჩინეთს შორის ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას და რამაც უკვე თავისი შედეგიც გამოიღო: დღეს საქართველოსა და ჩინეთს შორის გაფორმებულია თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულება".

მისივე თქმით, აზიისა და ევროპის უმოკლესი გზით დასაკავშირებლად საქართველო ჩართულია სხვადასხვა ინიციატივებში ახალი სატრანსპორტო მარშრუტების განვითარების მიზნით.

„საერთაშორისო გადაზიდვების სტიმულირების და სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების კუთხით მნიშვნელობა ენიჭება საქართველოში სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გამართულობას. სწორედ ამიტომ და ამის მისაღწევად, საქართველოში ხორციელდება მსხვილი ინფრასტრუქტურის პროექტები, როგორიცაა ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალი. ასევე ხორციელდება საქართველოს რკინიგზის ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია. აღსანიშნავია ყველაფერი, რაც ხდება დღეს საქართველოს შავი ზღვისპირეთში ჩვენი ნავსადგურების როგორც მოდერნიზაციის, ასევე ახალი ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობისთვის," - განაცხადა გახარიამ.

მან აღნიშნა, რომ თავისუფალი სავაჭრო რეჟიმები ერთის მხრივ ჩინეთთან და მეორეს მხრივ ევროკავშირთან, რომლითაც დღეს ჩვენი ქვეყანა რეგიონში არის უნიკალური, დიდ შესაძლებლობებს სთავაზობს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ინვესტორებს.

„არანაკლებ მნიშვნელოვანია ენერგეტიკული დერეფნის განვითარება. მოგეხსენებათ, რომ საქართველო ცდილობს თავისი გეოგრაფიული მდებარეობა თარგმნოს კონკრეტულ პროექტებში და შესაბამისად, შეასრულოს ენერგეტიკული დერეფნის როლი. საქართველო მხარდაჭერას უცხადებს სამხრეთ გაზის დერეფნის განვითარებას, სამხრეთ კავკასიური მილსადენის განვითარებას.

დღევანდელი ფორუმი სწორედ ის პლატფორმაა, სადაც ჩვენ შეგვიძლია პრობლემურ საკითხებზეც ვიმსჯელოთ და პირველ რიგში გავუზიაროთ გამოცდილება ერთმანეთს. დარწმუნებული ვარ, ეს ორდღიანი ფორუმი იქნება ეფექტური და ეფექტიანი განხილვების ძირითადი პლატფორმა ჩვენი სტუმრებისთვის. დარწმუნებული ვარ, თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ახალი აბრეშუმის გზის პერსპექტივის განხორციელებაში და ჩვენს ქვეყანასა და ჩვენს რეგიონს თქვენს თვალში წარმოაჩენს ახალი შესაძლებლობებისა და ახალი მიღწევების თვალსაზრისით," - განაცხადა გახარიამ.

თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმის ფარგლებში, საქართველოს ვიცე-პრემიერი, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი მაია ცქიტიშვილი, აზიის განვითარების ბანკის (ADB) პრეზიდენტ შიხინ ჩენს.

სამუშაო შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს ურთიერთთანამშრომლობის არსებული საკითხები და სამომავლო გეგმები, ისაუბრეს აზიის განვითარების ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტების მნიშვნელობაზე, სამუშაოების მიმდინარეობის დინამიკასა და ახალი პროექტების დაფინანსების შესაძლებლობებზე.

„თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმზე" აზიის განვითარების ბანკის (ADB) ვიცე-პრეზიდენტმა შიქსინ ჩენმა ფორუმის გახსნით პანელზე საქართველოში ბიზნესს გარემოს გაუმჯობესების შესახებ ისაუბრა. აზიის განვითარების ბანკის ვიცე-პრეზიდენტის განცხადებით, საქართველოს მთავრობამ ბიზნეს რეიტინგის გაუმჯობესებისათვის მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა.

„ხაზი მინდა გავუსვა, რომ საქართველოს

მთავრობამ ძალიან კარგად იმუშავა. ბიზნესის კეთების რეიტინგში ამ ქვეყანას ძალიან მაღალი, მე-6 ადგილი უკავია. საქართველომ მთელი რიგი რეფორმები განახორციელა. ეს გახლავთ ის მიმართულება, რომელიც შემდგომში შეგვიძლია განვავითაროთ", - აღნიშნა შიქსინ ჩენმა.

პანელზე სიტყვით გამოსვლისას აზიის განვითარების ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა სატრანსპორტო დერეფნების, ტექნოლოგიების განვითარების, ტურიზმის ხელშეწყობისა და დამატებითი სამუშაოების შექმნის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სპეციალური წარმომადგენელმა ევრაზიის რეგიონში ლიუ ჰუიმ „თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმის" გახსნით პანელში „მაღალი დონის დიალოგი, ერთად საერთო მომავლისკენ: სტაბილური და მდგრადი ზრდის მოდელები" მიიღო მონაწილეობა და პროექტის ფარგლებში ქვეყნებს შორის თანამშრომლობის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

„ერთობლივი ძალისხმევის შედეგად ჩვენ შევქმენით ქსელი, რომელიც მოიცავს 6 კორიდორს, 6 ურთიერდაკავშირებულ მარშრუტს და არაერთ ქვეყანასა და პორტს. როგორც ვიცით, საქართველო აქტიურადაა ჩართული ამ პროცესებში. ძალიან მნიშვნელოვანია ის რომ ჩინეთ-საქართველოს შორის მოეწერა და ძალაში შევიდა თავისუფალი სავაჭრო შეთანხმება. როგორც ვიცით, ეს არის ჩვენს მიერ ამ რეგიონში ხელმოწერილი პირველი ამგვარი თავისუფალი სავაჭრო შეთანხმება. გასულ წელს ჩვენს ქვეყნებს შორის სავაჭრო მოუცულობამ ერთ მილიარდ დოლარს გადააჭარბა, ხოლო ამა წლის პირველ ნახევარში კი უკვე 900 მილონ დოლარს მიაღწია", - აღნიშნა ჩინეთის წარმომადგენელმა.

ლიუ ჰუის განცხადებით, ჩინური კომპანიების ინვესტიციებით საქართველოში არაერთი საწარმო და კომპანია მუშაობს სხვადასხვა სექტორში.

„ვიცით, რომ საქართველო არის ყველაზე მოკლე მარშრუტი ევროპასა და აზიას შორის. მე დარწმუნებული ვარ და მჯერა, რომ ძალიან მნიშვნელოვანი იქნება დღევანდელი ფორუმი. ეს არის ძალიან მაღალი დონის ფორუმი, რომელსაც მოყვება ფართო გამოხმაურება საზოგადოების და მთავრობების მხრიდან. ეს სწორედ გამოხატულებაა აბრეშუმის გზის სულისკვეთების. დიდი იმედი გვაქვს რომ დღევანდელ ფორუმში მონაწილე კომპანიები და მთავრობის წარმომადგენლები აქტიურად მიიღებენ მონაწილეობას მოლაპარაკებებში", - აღნიშნა მან.

ლიუ ჰუიმ ასევე ისაუბრა ქართული ღვინის მნიშვნელობაზე ჩინეთის ბაზარზე. მისი განცხადებით, ქართული ღვინო ჩინეთში სულ უფრო პოპულარული ხდება და ამ ფონზე მნიშვნელოვანია საქართველოდან ჩინეთში უფრო მეტი ღვინო გავიდეს. მისი ინფორმაციით, შანხაიში ჩინეთის მეორე ექსპორტ-იმპორტის გამოფენა გაიმართება. ეს მსოფლიოში უდიდესი პლატფორმაა, რომელიც ორიენტირებულია იმპორტზე.

„შარშან ამ გამოფენაში დაახლოებით 170 ქვეყნის და რეგიონის წარმომადგენელი მონაწილეობდა. იმედი გვაქვს, რომ საქართველო მონაწილეობას მიიღებს გამოფენაში და გამოიყენებს ამ შესაძლებლობას, რომ კიდევ უფრო განვავითაროთ სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები. გასულ წელს ჩინეთის ეროვნულმა ტელევიზიამ რეპორტაჟი მოამზადა საქართველოსა და ქართულ ღვინოზე, რასაც ძალიან დიდი და პოზიტიური გამოხმაურება მოჰყვა. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩინელები უკვე იცნობენ საქართველოს და ქართულ ღვინოს", -განაცხადა ლიუ ჰუიმ.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სპეციალურმა წარმომადგენელმა თავის გამოსვლაში სურვილი გამოთქვა, რომ საქართველოს მთავრობამ ჩინეთში ჩაატაროს პრეზენტაცია, ფორუმი, რომლის მიზანი იქნება უფრო მეტი ინვესტიციის მოზიდვა საქართველოში ჩინეთიდან.

ფორუმის შესახებ, ჩინეთ-საქართველოს ეკონომიკის და კულტურის ფონდის ვიცე-პრეზიდენტი მიხეილ ტარახჩევი საუბრობდა.

წლევანდელი ფორუმი ყველაზე მასშტაბურია, მასში 60-მდე სხვადასხვა ქვეყნის 2 000-მდე დელეგატი მონაწილეობს. თქვენი მოსაზრებით რამ განაპირობა ფორუმის მიმართ ინტერესების ზრდა?

- ინიციატივა ,,ერთი გზა, ერთი სარტყელი" თავის თავში მოიცავს გლობალურ კონცეფციას, მრავალი ტიპის საკითხს და, რა თქმა უნდა, ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, არ შეიძლება რომ ეს ინიციატივა არ იყოს საინტერესო. ეს პირველ რიგში ჩვენთვის და, რა თქმა უნდა, მთავრობის, კერძო სექტორის აქტიური ჩართულობით მიიღწევა. მე ვფიქრობ, რომ ეს ფორუმი მასშტაბებს ზრდის და უფრო საინტერესო ხდება სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლებისთვის. ეს უკვე ტრადიციად იქცა. ფორუმი 13 წელიწადია რაც ტარდება და ვიმედოვნებ, რომ ეს ტენდენცია მომავალშიც

გაგრძელდება და რა თქმა უნდა უფრო მეტი კომპანია ჩაერთვება პროცესში, შესაბამისად მიმართულებების თვალსაზრისით მეტი მრავალფეროვნება იქნება. რადგან ,,ერთი გზა, ერთი სარტყელი"-ს კონცეფცია თავის თავში ძალიან ბევრ ელემენტს მოიცავს.

როგორ შეიძლება გახდეს საქართველო ინვესტიციების მოზიდვის ცენტრი კავკასიაში?

- მე ვიტყოდი რომ საქართველო არის უკვე კავკასიის ცენტრი. ამას განაპირობებს ბევრი ფაქტორი, არა მხოლოდ გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, რეგიონში არსებული ვითარება, რომელიც ჩვენ უფრო მიმზიდველს გვხდის სხვადასხვა კუთხით, არამედ ისიც, რომ ჩვენ უკვე საკმაოდ დიდი ხანია ვართ პროცესში, სადაც სულ უფრო მეტად უმჯობესდება გარემო ინვესტორებისთვის. ჩვენი პოზიცია საკმაოდ რეიტინგულია ამ მიმართულებით და ეს არ შეიძლება მოზიდულ ინვესტიციებზეც დადებითად არ აისახოს. პოტენციალი დიდია, ვფიქრობ რომ ერთობლივი ჩართულობით, უფრო მეტ ინვესტორს მოვიზიდავთ.

თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები საქართველოს უფრო მიმზიდველს ხდის ინვესტორებისთვის, კიდევ რა ნაბიჯები შეიძლება გადაიდგას ხელისუფლების მხრიდან ორმხრივი ურთიერთობებისთვის და კავშირების გაღრმავებისთვის?

- რა თქმა უნდა, ვაჭრობის საკითხი ძალზედ მნიშვნელოვანია და მე ვფიქრობ რომ ჩვენი ქვეყნისთვისაც არის ძალზედ მნიშვნელოვანი, ვინაიდან ჩვენ გვეხსნება წვდომა უზარმაზარ მარკეტზე. ასევე ამ დღეებში დღესაც და გუშინაც ბევრჯერ იყო ნათქვამი რომ საქართველო თავისი არსებული ხელშეკრულებებით, არსებული სამართლებრივი მდგომარეობით და გარემოთი, არის მიმზიდველი საწარმოების გასახსნელად თუ სხვადასვა ტიპის ერთობლივი პროექტების განსახორციელებლად, რაც მთავარია ,,ერთი გზა ერთი სარტყელი"-ს ინიციატივა თავის თავში გულისხმობს არა მარტო რომელიმე კონკრეტულ მიმართულებას, არამედ კულტურულ მიმართულებას, სადაც ჩვენ ასევე შეიძლება ვიყოთ შავი ზღვის ცენტრი. ამ ყველაფრის განსახორციელებლად მოლაპარაკებები ჩინურ მხარესთან იქნება უფრო მასშტაბური და საინტერესო. უნდა გავითავალისწინოთ და შევიმუშაოთ ის მოდელი თუ ურთიერთობის სქემა, რომელიც შეიძლება ჩვენ პარტნიორ ქვეყნებს შევთავაზოთ. კვლავ ვიმეორებ, რომ ამისთვის ერთობლივად მუშაობს როგორც სახელმწიფო ისე კერძო სექტორი. ასევე მე ვფიქრობ, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებიც და ფონდებიც რომლებიც შეძლებენ ახალი პროექტების შემოტანას ჩვენთან, ასევე გახდებიან ამ ფინანსების მომზიდველი ,,ერთი გზა, ერთი სარტყელის" ჭრაში.

23 ოქტომბრის პანელური დისკუსიები თემას „ინვესტირება წარმატებისთვის" მიეძღვნა. პანელს მოდერაცია BBC-ის უფროსმა ბიზნესკორესპონდენტმა ჯო ლინამმა გაუწია. პანელის მომხსენებლებს შორის იყო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ნათია თურნავა. დისკუსია საქართველოს საინვესტიციო მიმზიდველობის, ამ კუთხით ახალი შესაძლებლობებისა და აუცილებელი რეფორმული ცვლილებების საკითხებს შეეხო. ნათია თურნავამ საუბრის დროს აღნიშნა, რომ საერთაშორისო ინვესტიციებისა და ინვესტორების ხელშეწყობის მიზნით, საქართველო კვლავ გააგრძელებს ახალ რეფორმებს, რაც აუცილებლად აისახება ქვეყნის მდგრად ეკონომიკურ განვითარებაზე. მინისტრმა ასევე ხაზი გაუსვა რეფორმების მნიშვნელობას განათლების სფეროში და დააანონსა, რომ შემდგომ წლებში სახელმწიფოს მიერ განათლების სექტორში დახარჯულმა თანხამ მთლიანი შიდა პროდუქტის 5%-ს უნდა გადააჭარბოს.

მომდევნო პანელურ დისკუსიას ასევე ჯოლინამი ხელმძღვანელობდა. პანელის ფარგლებში, მომხსენებლებმა განიხილეს აბრეშუმის გზის სატრანსპორტო კავშირების პერსპექტივები, ინვესტიციების მნიშვნელობა ქვეყნების ეკონომიკური სტაბილურობისთვის და თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების პრივილეგიები აბრეშუმის გზის ქვეყნებისთვის. დისკუსიაში საერთაშორისო მომხსენებლებთან ერთად საქართველოს მხრიდან მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს ბანკის აღმასრულებელი დირექტორი არჩილ გაჩეჩილაძე და საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელი დირექტორი, დავით საგანელიძე.

2019 წლის „თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმი" სასტუმრო „ბილტმორში" დახურული 2 შეხვედრებით დასრულდა.

აღნიშნული ფორუმი 2015 წლიდან, საქართველოს მთავრობის პატრონაჟით ყოველ 2 წელიწადში ერთხელ იმართება. ქვეყანამ რიგით მე-3 „აბრეშუმის გზის ფორუმს" კიდევ ერთხელ წარმატებით უმასპინძლა.

რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა -საქართველო და ევროპის ქვეყნების გამოცდილების შედარებითი ანალიზი

ნოდარ გრძელიშვილი-
ეკონომიკის დოქტორი,პროფესორი.
ახალი უმაღლესი სასწავლებელი

რეგიონული განვითარების სახელმწიფო რეგულირება სხვადასხვა ფორმით ნებისმიერი ქვეყნისთვისაა დამახასიათებელი. საქართველოს რეგიონული პოლიტიკის ფორმირებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტისას, საკმაოდ მნიშვნელოვანია საზღვარგარეთის გამოცდილების შესწავლა. მეცნიერულ გამოკვლევებში დიდი ყურადღება ეთმობა რეგიონულ-ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემებს, თუმცა ამ ტერმინის საყოველთაოდ მიღებული გაგება არ არსებობს. რეგიონული პოლიტიკის გატარების ეროვნული და უცხოური გამოცდილების ანალიზის საფუძველზე, შეიძლება გამოიყოს სახელმწიფოს მხრიდან რეგიონულ განვითარებაზე ზემოქმედების ორი მიმართულება: გაცნობიერებული რეგიონული პოლიტიკა და რეგიონულ განვითარებაზე სახელმწიფოების გაუცნობიერებელი გავლენა. რეგიონულ სამეურნეო განვითარებაზე სახელმწიფოს გაუცნობიერებელი გავლენა უფრო მასშტაბური აღმოჩნდება ხოლმე რეგიონულ სახელმწიფოებრივ პოლიტიკასთან შედარებით. მთავარი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ მიუხედავად იმისა, რომ განხორციელებულ სახელმწიფოებრივ ღონისძიებათა უმრავლესობა რაიმე რეგიონულ მიზნებს არ ისახავს, რეგიონული პოლიტიკა მაინც პოულობს თავის სივრცობრივ გამოხატულებას. რეგიონულ განვითარებაზე სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის მექანიზმები ე.წ. ,,არარეგიონულ გადაწყვეტილებათა" რეგიონული შედეგებს მიეკუთვნებიან.

ამის მაგალითად შეიძლება გამოდგეს 70-იან წლებში ყველა განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში ფართოდ გავრცელებული მცირე ბიზნესის განვითარების სახელმწიფო სტიმულირება. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა მაღალი ტექნოლოგიების შემუშავებისა და დანერგვის საქმიანობით დაკავებულ ფორმებს. მცირე ბიზნესისთვის დეკლარირებული შეღავათები ფორმალურად ხელმისაწვდომი იყო ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მაგრამ უფრო დიდი შესაძლებლობები მეცნიერების უმნიშვნელოვანეს მიღწევებზე, უმაღლეს განათლებაზე, მრეწველობის უახლეს დარგებზე ორიენტირებულმა ფირმებმა მიიღეს. ბუნებრივია, რომ მცირე ბიზნესის განვითარების განსაკუთრებული შესაძლებლობები მიიღეს დედაქალაქის რაიონებმა. ამგვარად, მცირე ბიზნესის განვითარების დაჩქარებისკენ სწრაფვა, რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური დისპროპორციების გაღრმავების ხელშემწყობიც აღმოჩნდა.

ამავე დროს, საზოგადოების ზოგიერთი ზომა მიმართულია ისეთი საკუთრივ სივრცობრივი მიზნების მიღწევისკენ, როგორებიცაა: ცალკეული რაიონების, არეალების, ცენტრების განვითარება (იშვიათად შეზღუდვა), მათი რესტრუქტურიზაცია, ეკონომიკური და სოციალური ინფრასტრუქტურის შექმნა.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში რეგიონული პოლიტიკა გვევლინება არა როგორც ცალკეული კანონებისა და პროგრამების ნაკრები, არამედ როგორც, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე გავრცელებული გამართული ორგანიზაციული სტრუქტურის მქონე ზომების ერთიანი სისტემა. სამწუხაროდ, აქამდე რეგიონულმა მეცნიერებამ ვერ შეძლო რეგიონული პოლიტიკის შინაარსის შესახებ მრავალწლიანი თეორიული დისკუსიების შედეგების განზოგადება და მისი მოკლე, ტევადი განსაზღვრების მოცემა. ყურადღება ექცევა რეგიონული პოლიტიკის ცნებისადმი დასავლეთის სპეციალისტების მიდგომას: ,,რეგიონული პოლიტიკა - უმუშევრობისა და შემოსავლების მაჩვენებლების მნიშვნელოვან შეუსაბამობათა აღმოფხვრისკენ მიმართული პოლიტიკაა". თუმცა, ამ დეფინიციიდან არაა გასაგები მოცემული პოლიტიკის სუბიექტი. ზოგადი სახით, რეგიონული პოლიტიკის მიზნები საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში შემდეგნაირად განისაზღვრება:,,რეგიონული პოლიტიკის მიზნები - დაბალანსებულობა ანუ იმ უთანასწორობათა მინიმუმამდე დაყვანაა, რომლებიც ქმნიან ნიადაგს სოციალური

კონფლიქტების პროვოცირებისთვის, ხელს უშლიან ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას მთლიანობაში, ანუ მათი ნაწილებისა (მხარეების) თუ ქვეყნების ჯგუფების (მაგალითად, ევროკავშირის წევრი ქვეყნები) დაახლოებას".

მას შემდეგ, რაც საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა და დაიწყო ეკონომიკის საფუძვლიანი რეფორმა საბაზრო ეკონომიკის საფუძველზე. რეფორმირების პირობებში მოხდა სახელმწიფო საკუთრების მკვეთრი შეკვეცა. ამან კი შეუძლებელი გახადა საწარმოო ძალების გეგმაზომიერი განლაგება, რომელიც საბჭოთა რეგიონული ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენდა. თანამედროვე საქართველოს თავისებურებები რეგიონული პოლიტიკის შინაარსის შესახებ, ახალი წარმოდგენების ფორმირების აუცილებლობას მოითხოვდა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის მთავარ მიზანს ქვეყნის ტერიტორიებზე სამეურნეო საქმიანობის გეგმაზომიერი და ეფექტიანი განაწილების მიღწევა და ქვეყნის განვითარებაში სოციალური და ეკონომიკური დისპროპორციების შერბილება წარმოადგენს. ეს ფორმულირება ახასიათებს რეგიონული განვითარების ორ მხარეს:

- ეკონომიკურ ეფექტიანობას, რომელიც მოითხოვს წარმოების ეკონომიკურად რაციონალურ განაწილებას სივრცეში და თითოეული რეგიონის საწარმოო პოტენციალის გამოყენებას საერთო ეროვნული კეთილდღეობის მიზნით;

- სოციალურ სამართლიანობას, ანუ ეკონომიკური საქმიანობის იმგვარ სივრცობრივ დანაწილებას, როცა რეგიონის ყველა მცხოვრებლებს სასურველი კეთილდღეობის მიღწევის მეტნაკლებად თანაბარი შესაძლებლობები გააჩნიათ.

რეგიონული პოლიტიკის ეს ორივე მიზანი წინააღმდეგობრივია. მაგალითად, თავისუფალი კონკურენციის პირობებში, რეგიონების შემოსავლების მაქსიმუმთა ჯამი ეროვნული შემოსავლის მაქსიმუმის ეკვივალენტურია, თუმცა სივრცობრივი ეკონომია არ წარმოადგენს თავისუფალ ეკონომიკას, ამიტომ ეროვნულ (ზრდა და განვითარება) და რეგიონულ (თანასწორობა) მიზნებს შორის კონფლიქტი წყდება შემდეგი გზით: განვითარების ყოველ კონკრეტულ ისტორიულ ეტაპზე, ზემოთ ჩამოთვლილი მიზნებიდან ყოველ კონკრეტულ ქვეყანაში ერთ-ერთი დომინირებს. აკადემიკოს ა.გ. გრანბერგის აზრით, ,,ფორმულირებების მთელი მრავალფეროვნების მიუხედავად, რეგიონული პოლიტიკის მიზნები გამოხატავენ კომპრომისს ეკონომიკურ ,,ეფექტიანობასა და სოციალურ სამართლიანობას შორის". ამ კომპრომისის ბუნება თვითუზრუნველმყოფი რეგიონების რესურსების პრობლემური რეგიონებისთვის ნაწილობრივი გადანაწილების აუცილებლობას უკავშირდება, რომლის შედეგია პირველთა განვითარების გარკვეული შენელება და მეორეთა - დაჩქარება. რეგიონების ჯგუფებს შორის ამ კომპრომისის მოძიების თეორიული საფუძველი, და აქედან გამომდინარე, ეკონომიკურ ეფექტიანობასა და სოციალურ სამართლიანობას შორის ოპტიმუმის პოვნა, მრავალრეგიონულ სისტემაში პარეტოს მიხედვით ხდება.

ევროპული რეგიონული განვითარების პოლიტიკა დაფუძნებულია პოლიტიკურ პრინციპზე, რომლის მიხედვითაც მდიდარმა ქვეყნებმა და რეგიონებმა უნდა შეინარჩუნონ სოლიდარობა შედარებით ღარიბ ქვეყნებთან და რეგიონებთან მიმართებაში. ამასთან, ღარიბ წევრ ქვეყნებსა და რეგიონებში წარმოების შედარებით დაბალი მოცულობა და უმუშევრობის მაღალი დონე, მთლიანად კავშირისათვის პოტენციალისა და შესაძლებლობების დანაკარგს იწვევს.

თანამედროვე პირობებში ევროგაერთიანების რეგიონული პოლიტიკა ეფუძნება შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- სუბსიდირების (სუბსიდიარება)
- სახსრების კონცენტრაციას (მათი დაქსაქვსის დაუშვებლობას)
- პროგრამების პრიორიტეტულობას, რომელიც მიმართულია ტერიტორიების კომპლექსური განვითარებისაკენ.
- პარტნიორობას, როგორც სუბსიდიარულობის პრინციპის განვითარებას. ურთიერთქმედება და თანამშრომლობა ყველა სახელისუფლო დონეზე, ადგილობრივად – ეროვნულამდე.

უპირველესობა (ადრესულობა): რეგიონული პოლიტიკის ღონისძიებათა სახსრები გამოიყენება ნაციონალურ რესურსებზე დამატებით და არა მის მაგივრად.

ამ პრინციპების გამოყენება კონკრეტულ რეგიონებში მთელ რიგ დამატებით მოთხოვნებს აჩენს.

პირველ რიგში, პოლიტიკას უნდა ჰქონდეს საიმედო საკანონმდებლო საფუძველი.

მეორე მხრივ – რეგიონული პოლიტიკა

ითვალისწინებს იმ რაიონის არჩევას, რომლისთვისაც გამოიყოფა სახსრები.

მესამე – მნიშვნელოვანია, რომ ასეთი არჩევანი ხორციელდებოდეს მოქმედ კანონმდებლობასთან შეთახმებით და უზრუნველყოფდეს გატარებული პოლიტიკის თანმიმდევრობასა და გამჭვირვალობას.

მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების, მათ შორის ევროკავშირის წევრთა, რეგიონული პოლიტიკა ტრადიციულად, იყენებს მთელ რიგ ინსტრუმენტებს, რომელთაც განსხვავებული მნიშვნელობა ჰქონდათ სხვადასხვა ქვეყნისათვის. უფრო მეტიც, ამ ინსტრუმენტთა შეფარდებით მნიშვნელობა დროთა განმავლობაში იცვლებოდა. თუ გადავხედავთ ევროკავშირის ისტორიული განვითარების გზას, შესაძლებელი იქნება გამოვყოთ რეგიონული რეგულირების პოლიტიკურ ინსტრუმენტთა ხუთი დიდი ჯგუფი (კლასი):

• მჭიდროდ დასახლებულ რაონებში ახალი საწარმოების განთავსების შემაფერხებელი საშუალებები

• სახელმწიფოთა ეკონომიკური საქმიანობის სივრცობრივ გადანაწილება (უძრაობის ზონაში საქმიანი აქტივობის სტიმულირება)

• უძრაობის ზონებში ან დეპრესიულ რეგიონებში კომპანიები ფინანსური სტიმულირება.

• ეკონომიკრად ჩამორჩენილ რეგიონებში ფართოდ გაშლილი საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის შექმნა.

• ხელსაყრელი ფინანსურ-ეკონომიკური გარემოს ფორმირების (შექმნის) მეშვეობით განვითარების „რბილი" ზომების სტიმულირება.

ევროკავშირის წევრ ქვეყნებშიც რეგიონული პოლიტიკის გატარებისას არის გარკვეული წინაარმდეგობები. მაგ. გერმანიაში ყოფილი ფედერაციული რესპუბლიკის მოსახლეობა აღმოსავლეთის მიწების წინ წამოწევის მიზნით საშუალებების გადანაწილებას წამგებიანად თვლის; ესპანეთში კატალონიის განვითარებული სამრეწველო პროვინციის მცხოვრებლები უკმაყოფილებას გამოთქვამენ ცენტრის რეგიონული პოლიტიკის მიმართ, რაც ნაკლებად განვითარებული პროვინციების მხარდაჭერას უკავშირდება. იტალიის ჩრდილოეთში სამრეწველო განვითარების დონე და მისი ფინანსური მაჩვენებლები არსებითად აჭარბებენ ქვეყნის აგრარული სამხრეთის ანალოგიურ მაჩვენებლებს, რითაც ძლიერდება სეპარატისტული განწყობები. რეგიონულ პოლიტიკაში ,,სამართლიანობისა" და ,,ეფექტიანობის" მიზნებს შორის კონფლიქტურობა განპირობებულია ერთი და იმავე საბიუჯეტო სახსრების გადანაწილების რეალიზაციის აუცილებლობით. ამ თვალსაზრისით, რეგიონული პოლიტიკის მიზნები მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების ინტერესებს ეხება. ,,სამართლიანობის" მიზნების რეალიზაციაში სხვებზე მეტად პრობლემური რეგიონების მოსახლეობა არის დაინტერესებული, რომლებშიც სახელმწიფოს მხარდაჭერის გარეშე, შეუძლებელია ეკონომიკური აქტივობის გამოცოცხლების მოლოდინი. მეორე მიზნის რეალიზაციის პროცესში, როგორც წესი, მხარდაჭერას იღებენ სამეწარმეო საქმიანობის შედარებით უფრო კეთილსაიმედო პირობების მქონე რეგიონების მწარმოებლები.

ევროკავშირის რეგიონული პოლიტიკის ფინანსური ბაზა კონცენტრირებულია (თავმოყრილია) შემდეგი ძირითადი მიმართულებით:

• რეგიონების, სადაც მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი ერთ სულზე ევროკავშირს საშუალო დონის მაჩვენებლის 75%-ზე ნაკლებია, ანდა ახასიათებთ სამეურნეო ჩამორჩენილობის სხვა სპეციფიკურ ნიშნები (სიშორე, ძნელად მისადგომობა).

• რეგიონები, სადაც სტრუქტურულ კრიზისს განიცდიან და სამრეწველო უმუშევრობის საერთო დონე ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელზე მაღალია;

რეგიონები ახალგაზრდობასა და მოსახლეობის მარგინალურ ნაწილს შორის.

• რეგიონები ტექნოლოგიური უმუშევრობით, სასოფლო რაიონები (თევზჭერის რაიონების ჩათვლით), რომლებიც იჩაგერებიან ეკონომიკის სტრუქტურული წინსვლის გამო.

• სასოფლო რაიონები, სადაც მაღალია უძრავი უმუშევრობა და მოსახლეობის გადინება, დაბალია შემოსავლები, რეგიონები, სადაც მოსახლეობის სიმჭიდროვე ერთ კვადრატულ კილომეტრზე 8 ადაიანზე ნალებია (ფინეთის ჩრდილოეთი და შვედეთი).

ბოლო დროს ევროკავშირი რესურსების საერთო გადანაწილების პოლიტიკიდან თანდათან გადადის მათ კონცენტრაციაზე „წერტილოვანი" ამოცანების დასაფინანსებლად.

საერთო ევროპული ჩარჩოს ჭრილში, რეგიონული პოლიტიკის განვითარებაზე ასევე

ზემოქმედებს ევროკავშირის კოჰეზიის (რეგიონული განვითარების გამოთანაბრების) ჩარჩო პოლიტიკა (2014-2020), რომელიც წარმოადგენს ევროკავშირის ძირითად საინვესტიციო პოლიტიკას და მიზნად ისახავს ევროკავშირის ყველა რეგიონსა და ქალაქში სამუშაო ადგილების შექმნას, ბიზნესის კონკურენტუნარიანობას, ეკონომიკურ ზრდას, მდგრად განვითარებასა და მოქალაქეთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას(EC 2014). აღმოსავლეთ პარტნიორობის შესახებ ევროკომისიის 2008 წლის დეკემბრის განცხადება ხაზს უსვამს კოჰეზიის პოლიტიკას და აღნიშნავს, რომ „ზოგიერთ პარტნიორს აქვს სტრუქტურული პრობლემები, რაც გამომდინარეობს მწვავე ეკონომიკური და სოციალური უთანასწორობით რეგიონებს შორის"(EC n/d).შესაბამისად, ევროკავშირმა გააკეთა შეთავაზება პარტნიორებთან რეგიონული პოლიტიკის დიალოგის წამოწყებისა და ევროკავშირის კოჰეზიის პოლიტიკაზე მისადაგებული საპილოტე რეგიონული განვითარების პროგრამის(PRDP) ფარგლებში თანამშრომლობის შესახებ(C n/d). 2011 წელს ხელი მოეწერა რეგიონულ განვითარებასთან დაკავშირებულ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ფინანსურ შეთანხმებას (ფაზა 1), ხოლო 2014 წელს ამავე მიმართულებით თანამშრომლობის მე-2 ფაზას. კოჰეზიის პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენება საშულებას იძლევა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების პრაქტიკის მისადაგებისა და „სხვადასხვა რეგიონებში განვითარების დონეებს შორის უთანასწორობის შემცირებისა", სადაც ხაზი ესმევა ისეთი ადგილების მნიშვნელობას, როგორიცაა სოფელი, ინდუსტრიული ტრანსფორმაციით დაზარალებული ზონები, მთიანი რეგიონები და სხვა (EC 2014, მუხლი 174). მიუხედავად იმისა, რომ თავად პოლიტიკის დოკუმენტი მხოლოდ დარგობრივ და ფინანსურ მიმართულებებს განიხილავს და არ განსაზღვრავს სამოქალაქო აქტორების მონაწილეობას, 2014 წელს გამოცემული ევროპის რეგიონული განვითარების ფონდისა და კოჰეზიის ფონდის მონიტორინგისა და შეფასების(monitoring & evaluation),ასევე ზეგავლენის შეფასების (impact evaluation) სახელმძღვანელო ფართოდ გამოიყენებს სექტორთაშორისო „მონაწილეობის ინდიკატორებს", რაც, სხვასთან ერთად, მოიცავს ისეთ ინსტრუმენტებს, როგორიცაა ადმინისტრაციულ მონაცემთა ანალიზი, ქეისების შესწავლა, კვლევა, გამოკითხვები, მონაწილეობითი შეფასება, კონტრიბუციის ანალიზი და სხვა.

რეგიონული განვითარების გამოთანაბრებისთვის გამოყოფილი ფინანსური დახმარებები 2007-2013 წწ



ჩვენი აზრით, რეგიონთაშორისი უთანასწორობის შემცირება ნიშნავს, რეგიონების დაახლოებას სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით. ეს ქმნის შედარებით კეთილსასურველპირობებსსაერთოეროვნულიბაზრისეფექტიანი განვითარებისთვის, სოციალურ-ეკონომიკურსახეცვლილებათაჰარმონიზაციისმენტალიტეტისხარისხობრივიცვლილებისად ასახელმწიფოსმთლიან¬ობისგანმტკიცებ ისთვის. რეგიონულიგან¬სხვავებებისგაძლ ერებაკიაძნელებსსოციალურ-ეკონომიკური გარ-დაქ¬მნისსა¬ერ¬თოპოლიტიკისგატარ ებასადასაერთოეროვნულიბაზრისფორმირ ებასდათავისთავშირე-გიონულიკრიზისებისათურეგიონთაშორისიკონფლიქტების, ეროვნულიეკონომიკისდეზინტეგრაცი-ის, სახელმწიფოსმთლიანობისშესუსტებისსაფრთხესატარებს.

ჩვენი აზრით, რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის ქვეშ იგულისხმება სახელმწიფოებრივი მართვის ორგანოების შეგნებული მოღვაწეობა რეგიონებთან მიმართებაში (საერთოსახელმწიფოებრივი ინტერესები), რაც მიმართულია რეგიონული განვითარების ინსტიტუციონალური გარე-მოს შექ¬მნასა და სივრცობრივ განვითარებაში დისპროპორციების შერბილებისკენ.

ამასთან დაკავშირებით, სახელმწიფო რე-

გიონული პოლიტიკის სტრუქტურაში გამოიყოფა ორი შემადგენელი ელემენტი: ზოგადსისტემური და სელექციური.

ზოგადსისტემური პოლიტიკის მიზანს წარმოადგენს რეგიონული განვითარების ინსტიტუციონალური გარემო. ამგვარი პოლიტიკის ზომები შერჩევითი დანიშნულებისაა. ისინი ყველა რეგიონზე თანაბარზომიერად ახდენენ გავლენას, ანუ ზეგავლენის ხასიათის მიხედვით, საერთო სახელმწიფოებრივ ზომებად გვევლინებიან. ზოგადსისტემური რეგიონული პოლიტიკის ჩარჩოებში ხორციელდება: დამოუკიდებელ და ერთობლივ მოქმედებათა სფეროების, ხელისუფლების ორგანოების უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობათა განსაზღვრა რეგიონების განვითარების ყველა ასპექტის მიხედვით.

გარკვეული პირობითობით სახელმწიფოებრივი პოლიტიკურ-ტერიტორიული მოწყობის შესაბამისად, განასხვავებენ ზოგადსისტემური პოლიტიკის სამ ტიპს: რეგულატიურს, კონკურენტულსა და შერეულს. რეგულატიური პოლიტიკისთვის დამახასიათებელია სახელმწიფოს დომინანტური როლი თავისი ცენტრალიზებული რესურსებით, ხოლო რეგიონები განიხილებიან, როგორც დაქვემდებარებულები ცენტრალურ ხელისუფლებაზე, როგორც მათი პოლიტიკის გამტარნი. ზოგადსისტემური პოლიტიკის ეს ტიპი, უმთავრესად, უნიტარულ სახელმწიფოებში გვხვდება. იხ.სქემა 1.

სქემა #1 სახელმწიფო რეგიონული პოლიტიკის სტრუქტურის ორი შემადგენელი ელემენტი: ზოგადსისტემური და სელექციური



პოლიტიკის კონკურენტული ტიპი ხასიათდება იმით, რომ ცენტრალური ხელისუფლება მხოლოდ ,,ზოგად წესებს" განსაზღვრავს რეგიონებში გადაწყვეტილების მიღების სრული დამოუკიდებლობის პირობით. რეგულატიური პოლიტიკისაგან განსხვავებით, კონკურენტული რეგიონული პოლიტიკის დროს რეგიონული განვითარების მთავარ მოქმედ ძალად რეგიონები გვევლინებიან; ზოგადსისტემური პოლიტიკის ეს ტიპი, უპირატესად,ფედერალურ სახელმწიფოებშია წარმოდგენილი.

შერეული ტიპისთვის ნიშანდობლივია ორი დიამეტრალურად საპირისპირო - კონკურენტული და რეგულატიური ტიპისთვის დამახასიათებელი ნიშანთვისებების შეთანაწყობა.

სახელმწიფო რეგიონული პოლიტიკის მეორე კომპონენტს წარმოადგენს სელექციური პოლიტიკა. ვიზიარებთ მეცნიერების - ვ.ნ. ლექსინისა და ა. ნ. შვეცოვას თვალსაზრისს, რომლის თანახმადაც: რეგიონული განვითარების სახელმწიფო სელექციური (შერჩევითი), მხარდაჭერა სახელმწიფოს რეგიონული პოლიტიკის ნაწილია. თუმცა, რეგიონული პოლიტიკის ჩარჩოებში ტერმინი ,,სელექციურობა" უფრო ფართო განხილვას საჭიროებს, ანუ როგორც არა მხოლოდ ,,სელექციური მხარდაჭერა", არამედ როგორც ,,სელექციური პოლიტიკა". მოცემული პოზიცია არგუმენტირდება იმით, რომ მსოფლიო პრაქტიკაში სახელმწიფოს მხრიდან შერჩევითი ზემოქმედების ობიექტებად გამოდიან არა მხოლოდ განვითარებაში ჩამორჩენილი რეგიონები, არამედ მჭიდროდ დასახლებული მაღალურბანიზებული არეალები - მეგაპოლისებიც. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფოს სელექციური ზემოქმედება შეიძლება განხორციელდეს არა მხოლოდ მხარდამჭერი (მასტიმულირებელი), არამედ შემზღუდველი (ანტიმასტიმულირებელი) მეთოდებითაც.

სელექციური რეგიონული პოლიტიკა თავისთავად წარმოადგენს სპეციფიკურ ფორმას, სელექციურობის - როგორც ეკონომიკური კატეგორიის გამოვლენის კერ¬ძო შემთხვევას. სახელმწიფოს მიზანმიმართული შერჩევითი ჩარევა ქვეყნების რეგიონული განვითარების პროცესში იწყება მაშინ, როცა სივრცობრივი სოციალურ-ეკონომიკური დისპროპორციები უზომო ხდება (რაც განიხილება, როგორც საბაზრო მექანიზმების მოქმედების გარდაუვალი ნეგატიური შედეგი). რეგიონული სელექციური პოლიტიკის

ობიექტის შერჩევა დამოკიდებულია სახელმწიფო რეგიონული პლიტიკის მიზნებზე, რომლებიც, როგორც უკვე აღინიშნა, რეგიონული პოლიტიკის ორი მოდელის: ,,ეფექტიანობისა" და ,,თანასწორობის" ფორმირებას ახდენს. რეგიონული პოლიტიკის მოდელების შინაარსიდან გამომდინარე, გამოიყოფა პოლარიზებული და გამათანაბრებელი სელექციური რეგიონული პოლიტიკა.

პოლარიზებული სელექციური რეგიონული პოლიტიკა ითვალისწინებს ერთი ან რამდენიმე გამოყოფილი, შედარებით მაღალი ეკონომიკური და საინვესტიციო პოტენციალის მქონე რეგიონის პრიორიტეტულ მხარდაჭერას სხვა რეგიონების ხარჯზე. ეს კი ქვეყნის გამოყოფილ რეგიონებში ინვესტიციების ნაკადების შემოდინებას უზრუნველყოფს, რომელიც გამოიყენება ,,ლოკომოტივის" (,,ზრდის პოლუსის") სახით მთელი ეკონომიკის განვითარების დასაჩქარებლად. თავის მხრივ, სახელმწიფოებრივ ეკონომიკურ ზრდას მივ¬ყა¬ვართ ჩამორჩენილი რეგიონების ეკონომი-კის თანდათანობით ამაღლებასთან. ასეთი მიდგომა განვითარებადი ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი, რომელთა შორის შედარებით უფრო ნათელ მაგალითად გვევლინება ჩინეთი. სელექციური რეგიონული პოლიტიკის მოცემული მოდელი ქვეყნის ეკონომიკის დაჩქარებულ ზრდას უზრუნველყოფს, მაგრამ ამავდროულად, აძლიერებს ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის საკუთრებით და სოციალურ დიფერენციაციას.

გამათანაბრებელი სელექციური რეგიონული პოლიტიკა წარმოადგენს თავისთავად ეკონომიკური განვითარების დონეებისა და ქვეყნის რეგიონთა საინვესტიციო პოტენციალთა გამოთანაბრების პოლიტიკას. სელექციური რეგიონული პოლიტიკის მოცემული მოდელის ობიექტებად გვევლინებიან პრობლემური რეგიონები. გამათანაბრებელი რეგიონული პოლიტიკის ობიექტებად რეგიონების შერჩევა რთულ ამოცანას წარმოადგენს, რასაც ყოველი ქვეყანა დამოუკიდებლად წყვეტს. ამ შერჩევის შესაბამისად, განისაზღვრება სელექციური რეგიონული პოლიტიკის ინსტრუმენტული აპარატი, რომლის დახმარებითაც ხელისუფლება მიზნად ისახავს რეგიონების პრობლემების გადაწყვეტას.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების უმრავლესობაში რეგიონების ეკონომიკური განვითარების დონის გამათანაბრებაზე მიმართული სელექციური პოლიტიკის ობიექტებად გამოიყოფა რეგიონების სულ მცირე სამი ტიპი: დეპრესიული სამრეწველო რეგიონები, დეპრესიული აგრარული რეგიონები და მჭიდროდ დასახლებული ურბანული არეალები.

შესაბამისად, შეიძლება საუბარი გამათანაბრებელი სელექციური რეგიონული პოლიტიკის ხასიათის შესახებ. გამათანაბრებელი სელექციური პოლიტიკის ობიექტებად მჭიდროდ დასახლებული ურბანული არეალების - მეგაპოლისების, განხილვის შემთხვევაში, საუბრობენ გამათანაბრებელი სელექციური რეგიონული პოლიტიკის შემაკავებელ ხასიათზე. მაგალითად შეიძლება გამოდგეს დიდ ბრიტანეთში გამოყენებული ,,სამრეწველო განვითარების სერთიფიკატების პრაქტიკა", რომელთა მიღებაც აუცილებელი იყო ზემაღალი კონცენტრაციის რაიონებში ახალი წარმოებების განლაგებისთვის.

გამათანაბრებელი სელექციური რეგიონული პოლიტიკის ობიექტებად, განვითარებაში ჩამორჩენილი რეგიონების განხილვის შემთხვევაში, შეიძლება საუბარი მასტიმულირებელი ხასითის შესახებ. გამათანაბრებელი სელექციური რეგიონული პოლიტიკის მასტიმულირებელი ხასიათი ვლინდება ჩამორჩენილ რეგიონებში ინვესტიციების ნაკადების სტიმულირებასა და ამგვარი რეგიონებისთვის ფინანსური დახმარების გამოყოფაში. ეს მიდგომა დამახასიათებელია ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში. ამის ყველაზე ნათელ მაგალითს წარმოადგენს კანადისა და ევროკავშირის რეგიონული პოლიტიკა.

პრობლემური რეგიონების მასტიმულირებელი სელექციური პოლიტიკა, თანამედროვე ფორმულირების შესაბამისად - ,,პრობლემური რეგიონების განვითარების სელექციური მხარდაჭერა", მიმართულია მხო¬ლოდ იმ მიზნების რეალიზებისკენ, რომლებიც საბაზრო მექანიზმების მოქმედე-ბის შედეგად ავტომატურად არ მიიღწევა. პრობლემური ტერიტორიების სელექციური მხარდაჭერა განსხვავდება ტერიტორიული განვითარების სახელმწიფო რეგულირების სხვა ზომებისგან (მაგალითად, აბსოლუტურად უპირობო ტრანსფერტები) სავალდებულო ინდივიდუალური და მიზნობრივი მიმართულებით. მასტიმულირებელი სელექციური პოლიტიკის მექანიზმები ისევე მრავალფეროვანია, როგორც რეგიონების დეპრესიის სიღრმე და

ხარისხი.

სახელმწიფო რეგიონული პოლიტიკის ბაზისად, ზემოთ შემოთავაზებული პარადიგმის განხილვის საფუძველზე მიზანეწონილია საზღვარგარეთის ქვეყნებსა და საქართველოს შორის ზოგადსისტემური რეგიონული პოლიტიკის რეალიზების თავისებურებების შედარება. ზოგადსისტემური რეგიონული პოლიტიკის ძირითადი ტიპების ძირითადი მახასიათებლები მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში 2.

ზოგადსისტემური რეგიონული პოლიტიკის ძირითადი მახასიათემბელბი. ცხრ. 2

ნიშან-თვისებები	რეგულატიური ტიპი	კონკურენტული ტიპი	შერეული ტიპი
ძირითადი პრინციპები	ერთიანი სახელმწიფო ერთიანიი საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო სისტემა	სახელმწიფო ხელისუფლება ორმაგია: ფედერალური და სუბიექტების. საკანონმდებლო, აღმასრულებელიდა ზოგჯერ, სასამართლო ხელისუფლების ორმაგი სისტემა	სახელმწიფო ხელისუფლება ფორმალურად, ერთიანია, მაგრამ არსებობს კანონმდებლობის, ზოგჯერ აღმასრულებელი ხელისუფლების ორი დონე.
ტერიტორიული ერთეულებისა და საკანონ-მდებლო უფლებამოსილების სფეროები	ადმინისტრციულ-ტერიტორიული ერთეულები: იქმნება, იზრდება, რეფორმირდება ცენტრის გადაწყვეტილებით	ფედერაციის სუბიექტები: იქმნებიან, იცვლებიან, რეფორმირდებიან დამოუკიდებლად	ავტონომიებიან ფედერაციის სუბიექტები: იქმნებიან, იცვლებიან, რეფორმირდებიან დამოუკიდებლად
	ტერიტორიული ერთეულების უფლებამოსილებათა სფეროები დგინდება ცენტრალური ხელისუფლების აქტებით.	უფლებამოსილების სფეროები განისაზღვრება კონსტიტუციით და შეიცავს: ფედერაციის განსაკუთრებულ უფლებამოსილებათა ნუსხას, სუბიექტებისათვის აკრძალვათა ნუსხას, სუბიექტების კომპეტენციისა და კონკურენტული კანონმდებლობის ერთობლივ (წარმოება) პრეზუმციას.	უფლებამოლებათა სფეროები განისაზღვრება ტერიტორიული ერ-თეულების განაწესით და მტკიცდება (სერთიფიცირდება) ცენტრალური მთავრობის მიერ. ფედერაციისთვის კონკურირებადი კომპეტენციები.
ხელისუფლების ტორიული ოგანოების ფორმირების მექანიზმი	განისაზღვრება საკანონმდებლო ცენტრის მიერ	განისაზღვრება დამოუკიდებლად (ფედერალური საკონსტიტუციო შეზღუდვების გათვალისწინებით).	წინადადებების შემუშავება ხდება დამოუკიდებლად, მაგრამ მტკიცდებახელისუფლების ცენტრალური ორგანოების მიერ.
ფინანსური რესურსების დანაწილების სისტემა.	ფინანსური რესურსები კონცენტრირებულია სახელმწიფო ბიუჯეტში, საიდანაც ცენტრის შეხედულებისამებრ ნაწილდება.	დაფუძნებულია საბიუჯეტო ფედერალიზმზე; ფინანსური რესურსების დანაწილების მრავალსაფეხურიანი სისტემა.	ფინანსური რესურსები ნაწილდება ცენტრის შეხედულებისამებრ ან ,,საბიუჯეტო ფედერალიზმზე" დაფუძნებული რესურსების დანაწილების მრავალსაფეხურიანი სისტემით.
ქვეყნები	საფრანგეთი, შვედეთი, დანია, იაპონია.	გერმანია, შვეიცარია, ავსტრალია, ბელგია.	იტალია, ესპანეთი, დიდი ბრიტანეთი,

ზოგადსისტემური რეგიონული პოლიტიკის ტიპი დამოკიდებულია სახელმწიფოებრივ პოლიტიკურ-ტერიტორიულ მოწყობაზე. ზოგადსისტემური რეგიონული პოლიტიკის რეგულატიური ტიპი დამახასიათებელია უნიტარული ქვეყნებისთვის: საფრანგეთი, შვედეთი, დანია და სხვა. უნიტარული ფორმის პოლიტიკურ-ტერიტორიული მოწყობის დროს სახელმწიფოს ტერიტორია შედგება პოლიტიკურ-ადმინისტრაციული და ადმინისტრაციული ერთეულებისგან, რომელთაც საკუთარი კანონმდებლობა არ გააჩნია.

მაგალითად, იაპონიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს პრეფექტურები, ქალაქები, დაბები და სოფლები წარმოადგენენ; საფრანგეთში - დეპარტამენტები, ოლქები, კანტონები. ერთიანი სახელმწიფოს თითოეული შემადგენელი ნაწილი თანაბარ უფლებებსა და წარმომადგენლობას ფლობს სახელმწიფო ორგანოებში. სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის მთელი სისრულითაა აღჭურვილი ცენტრალური ორგანოები. ზოგადსისტემური პოლიტიკის რეგულატიური ტიპისთვის დამახასიათებელია ხელისუფლების ტერიტორილი დანაწილების არარსებობა. ტერიტორიული ერთეულების უფლებამოსილების სფეროები დგინდება ცენტრალური სახელმწიფო ხელისუფლების აქტებით. ხელისუფლების ტერიტორიული ორგანოების მოღვაწეობა არსებითად, ცენტრის გადაწყვეტილებების შესრულებამდე დაიყვანება.

ზოგადსისტემური პოლიტიკის კონკურენტული ტიპი თავისი შინაარსით დიამეტრალურად საპირისპიროა რეგულატიურ ტიპთან. ის უპირატესად, ფედერალური ტიპის სახელმწიფოებრივი მოწყობის ქვეყნებში გამოიყენება. ამ შემთხვევაში, ტერიტორიული ერთეულები სახელმწიფოს-მაგვარი წარმონაქმნებია ან თვით სახელმწიფოებიც კი - ფედერაციის სუბიექტები. ფედერაციის სუბიექტების რიცხვი საკმაოდ განსხვავებული შეიძლება იყოს.

ზოგადსისტემური პოლიტიკის კონკურენტული ტიპისთვის დამახასიათებელია მთლიანობაში ფედერაციასა და მის სუბიექტებს შორის კონსტიტუციურად დადგენილ კომ¬პეტენციათა გამიჯ-ვნა. არსებობს ფედერაციის გაძღოლისა და მისი სუბიექტების განკარგვის, ობიექტთა გამიჯ-ვნის რამდენიმე საშუალება: ფედერაციის განსაკუთრებული უფლებამოსილებები, ფედერაციისა და სუბიექტების ერთობლივი კომპეტენცია. კონსტიტუცია ამტკიცებს ფედერაციის განსაკუთრებულ კომპეტენციებს, ხოლო ყველა დანარჩენი საკითხი სუბიექტების განკარგულებაში რჩება.

განკარგვის ობიექტების გამიჯვნის მეორე საშუალება ფედერაციის სუბიექტების განსაკუთრებული კომპეტენციის დადგენაში მდგომარეობს, რომელშიც ფედერალურ ორგანოებს არ შეუძლია ჩარევა. ეს საგანთა გამიჯვნის იშვიათ წესს წარმოადგენს და წმინდა სახით, იგი დღეს არ გამოიყენება.

სახელმწიფოს ტიპიური მაგალითი, სა¬დაც კონკურირებადი კომპეტენციის ინსტიტუტი გამოიყენება, არის გერმანია.

ზოგადსისტემური პოლიტიკის შერეული ტიპი თავის თავში მოიცავს ზემოთ განხილულ ტიპებს: რეგულატიურს და კონკურენტულს. მოცემული ტიპის მაგალითს მიეკუთვნება უნიტარული სახელმწიფოები - ესპანეთი და იტალია, სადაც უმაღლესი ტერიტორიული ერთეულები ფლობენ სახელმწიფოებრივ ავტონომიას (კონკურირებადი ტიპის დახასიათება), თუმცა ესპანეთისა და იტალიის ოლქების ავტონომიურ თანასაზოგადოებათა განაწესები (სტატუსები) მტკიცდება ცენტრალური პარლამენტის აქტებით (რეგულატიური ტიპის დახასიათება).

სახელმწიფო ხელისუფლება ფორმალურად ერთიანია, მაგრამ არსებობს კანონმდებლობის ორი დონე, რაც დამახასიათებელია ზოგადსისტემური რეგიონული პოლიტიკის კონკურირებადი ტიპისთვის. მაგალითად, 1947 წლის იტალიის რესპუბლიკის კონსტიტუციის 117-ე თავის თანახმად, სახელმწიფოს კანონმდებლობის მიერ დამტკიცებული ძირითადი პრინციპების ფარგლებში ეროვნული ინტერესებისა და სხვა ოლქების ინტერესებთან არაწინააღმდეგობრიობის პირობით, ოლქს შეუძლია გამოსცეს საკანონმდებლო ნორმები 18 პოზიციის მიხედვით (სამხარეო დაქვემდებარების უწყებებისა და ადმინისტრაციული ერთეულების ორგანიზაცია, თემების საზღვრები, ადგილობრივი პოლიცია, ქალაქმშენებლობა, სასოფლო და სატყეო მეურნეობები და სხვ.).

ჩვენი აზრით, საქართველოში ზოგადსისტემური პოლიტიკის შერეული ტიპი გამოიყენება, რამდენადაც მისთვის დამახასიათებელია როგორც რეგულატიური, ისე კონკურენტული ტიპის თავისებურებები. საქართველოს რეგიონული პოლიტიკისთვის მნიშვნელოვანი ხარისხითაა დამახასიათებელი უნიტარული და არა ფედერაციული ან რეგიონული სახელმწიფოს ნიშან-თვისებები.

დღეს ყველა აღიარებს საქართველოში რეგიონული პოლიტიკის რეფორმირების აუცილებლობას და ეს რეფორმები მიმდინარეობს კიდეც მეტ-ნაკლები შედეგიანობით. ჩვენი აზრით, საქართველოს რეგიონულ პოლიტიკაში უნდა გაძლიერდეს კონკურენტული ტიპის ნიშან-თვისებები, ანუ შეიქმნას პირობები რეგიონული (ადგილობრივი) ხელისუფლების ორგანოების უფლებამოსილებათა გაფართოებისთვის, ხოლო ცენტრის როლი კი - ინსტიტუციონალური მშენე-

ბლობის სფეროში რეგიონული (ადგილობრივი) ინიციატივების ეფექტიანი განვთარების ხელშემწყობისა და საერთო ინსტიტუციონალური პირობების შექმნაში უნდა მდგომარეობდეს.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ შემუშავაბულია საქართველოს 2018-2021 წლების რეგიონული განვითარების პროგრამა, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად ინსტრუმენტს რეგიონული განვითარების პოლიტიკის მიზნების მისაღწევად. ის გვთავაზობს ჩარჩოს ინტეგრირებული ტერიტორიული ღონისძიებების განხორციელების კოორდინაციისთვის.

საქართველოს 2018-2021 წლების რეგიონული განვითარების პროგრამა წარმოადგენს საშუალოვადიან სამთავრობო დოკუმენტს, რომელიც სახელმწიფო პოლიტიკის გათვალისწინებით, განსაზღვრავს იდენტიფიცირებული განვითარების ბარიერების გათვალისწინებით ქვეყნის ტერიტორიული განვითარების ძირითად მიზნებსა და ამოცანებს, სამოქმედო პრიორიტეტებსა და განვითარების შესაბამის ღონისძიებებს. პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ქვეყნისა და მისი რეგიონების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, დაბალანსებულ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას.

პროგრამის პრიორიტეტებია:

- ქვეყნისა და მისი რეგიონების კონკურენტუნარიანობისა და მდგრადი განვითარების ხელშემწყობი ძირითადი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
- მცირე და საშუალო საწარმოების, ზრდაზე ორიენტირებული ეკონომიკის სექტორებისა და ექსპორტის ხელშეწყობის მხარდაჭერა;
- ადამიანური კაპიტალის განვითარების ხელშეწყობა;
- ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა და კონკრეტული ტერიტორიების მხარდაჭერა, მათი ენდოგენური განვითარების საფუძველზე;
- რეგიონული განვითარების ინსტიტუციების ხარისხისა და ეფექტიანობის გაზრდა, საპილოტე რეგიონული განვითარების პროგრამების მომზადება.

საქართველოს რეგიონული განვითარების პოლიტიკა მართული უნდა იყოს შემდეგი 3 პრინციპით:

- - ეროვნული, დარგობრივი და რეგიონული განვითარების პოლიტიკა და სტრატეგიები ყალიბდება რეგიონებისა და ტერიტორიების საჭიროებებისა და განვითარების პოტენციალის გათვალისწინებით. შესაბამისი მიდგომები მოიცავს ყოვლისმომცველ ტერიტორიულ ანალიზს და ახორციელებს დიფერენცირებულ საკანონმდებლო

ჩარევასა და საჯარო ინვესტიციებს ტერიტორიული პრინციპით.

- - სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე ორიენტირებული სახელმწიფო პოლიტიკისა და საინვესტიციო საშუალებების კოორდინირებულობა. ამასთან, ცენტრალურ და ადგილობრივ დონეებზე განხორციელებული საჯარო ინიციატივების თანმიმდევრულობის გაუმჯობესება აუცილებელია პოლიტიკის ციკლის ყველა ეტაპზე.
- - პარტნიორობა და მრავალდონიანი მმართველობა განიხილება, როგორც რეგიონული განვითარების პოლიტიკის ქვაკუთხედი.

საქართველოს ევროპასთან ინტეგრაციის მიმდინარე პროცესი საშუალებას იძლევა რეგიონული პოლიტიკის შემუშავების პროცესში გამოყენებულ იქნეს საუკეთესო საერთაშორისო მაგალითები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. 1. გრძელიშვილი ნ, - ,,ევროკავშირის ქვეყნების რეგიონული პოლიტიკა'' სახელმძღვანელო. 2019.
2. 2. ბარათაშვილი ე, გრძელიშვილი ნ, - ,,რეგიონული ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება'' 2012
3. 3. გრძელიშვილი ნ, - ,,რეგიონული და მუნიციპალური ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების მნიშვნელობა საბიუჯეტო ფედერალიზმისა და ფისკალური დეცენტრალიზაციის ეფექტურობაზე''. სამეცნიერო ჟურნალი ,,სამართალი და

ეკონომიკა'' 10. 2019.
4. 4. საქართველოში ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების წლიური ანგარიში
5. (2016-2017 წლები).
6. 5. დეცენტრალიზაციის სტრატეგია 2019-2025.
7. 6. საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა 2018-2021.
8. 7. „აღმოსავლეთის პარტნიორობა» და საქართველოს სოციალურ-
9. ეკონომიკური პოლიტიკა - Eastern Partnership and Socio-Economic Policy of Georgia'' 2011
10. 8. https://mrdi.gov.ge/ka/about/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90/%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90(bolo naxva 12.10.2019).

გარემომცველი გარემოს მონიტორინგის, ეკოლოგიური კონტროლის და ექსპერტიზის მენეჯმენტი

ნაირა გალახვარიძე
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ნინო ჭეღელიძე
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის სტუდენტი

ბუნება ადამიანთა ცხოვრებისა და საქმიანობის გარემოა მისი არსებობის რესურსების წყაროა, შრომის საგანია, გარდაქმნის ობიექტია, ადამიანის საჭიროებაზებუნებისძალთაშეგუებადობაა, თავის მხრივ, ადამიანი ბუნების ნაწილია, მისი წარმოქმნელია, მას შეუძლია აწარმოოს აუცილებელი საქონელი მხოლოდ მისი რესურსების გამოყენებით და იცხოვროს მხოლოდ იმ ბუნებრივ პირობებში (ტემპერატურა, წნევა, ტენიანობა, ატმოსფეროს შემადგენლობა და სხვა) რომლებთანაც ის გენეტიკურად შეწყობილ-შეგუებულია, მაგრამ მთავარი ეკოლოგიური კავშირი ადამიანთა საზოგადოების ბუნებასთან უდავოდ საწარმოოა, რომელიც საჭიროებს ეკოლოგიური სარგებლობისა და გარემომცველი გარემოს დაცვის მონიტორინგს, ეკოლოგიურ კონტროლსა და და ეკოლოგიურ ექსპერტიზას.

გარემომცველი გარემოს მონიტორინგი (ლათ „მონიტორ“ შეხსენება, მეთვალყურე, თვალყურის, თვალის დამჭერი, გამაფრთხელებელი) საშუალებას იძლევა განისაზღვროს ბუნებრივი გარემოს, ბუნებრივი რესურსების, მცენარეული და ცხოველთა სამყაროს, აგრეთვე მათში მიმდინარე ადამიანის ანტროპოგენური საქმიანობის ზემოქმედებით გამოწვეული ცვლილებების მდგომარეობა. გარემომცველი გარემოს მონიტორინგი წარმოადგენს დავალებული პროგრამის რეგულარულად შესრულებულ მეთვალყურეობას. გარემომცველი გარემოს მონიტორინგი თანსდევს ბუნებადაცვითი საქმიანობისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების მართვის სისტემის უზრუნველმყოფ მიზანს დროული და სარწმუნო ინფორმაციით.

გარემომცველი გარემოს მონიტორინგის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:

- მეთვალყურეობა ანტროპოგენური ზემოქმედების წყაროებზე;
- მეთვალყურეობა ანტროპოგენური ზემოქმედების ფაქტორებზე;
- მეთვალყურეობა ბუნებრივი გარმოს მდგომარეობაზე დ მათში მიმდინარე პროცესებზე;
- ბუნებრივი გარემოს ფაქტიური მდგომარეობის შეფასება;
- ბუნებრივი გარემოს მდგომარეობის ცვლილებების პროგნოზი.

ამჟამად, საქართველოში ეროვნული მონიტორინგი მოიცავს სამ სახეს, საფეხურს:

ა. სანიტარულ ჰიგიენურ მონიტორინგს, რომელიც მეთვალყურეობს, თვალყურს ადევნებს ბიოსფეროს ცვლილებებს უარყოფითი ზემოქმედების კუთხით, ადამიანის ჯანმრთელობაზე და მისი ცხოვრების პირობებზე.

ბ. ეკოლოგიური მონიტორინგი, რომელიც თვალყურს ადაევნებს ეკოსისიტემების საპასუხო რეაქციებს ანტროპოგენურ ზემოქმედებებზე, დაბინძურების შედეგად ბიოსფეროს მდგომარეობაზე, ეკოსისტემის ცვალებადობაზე, სასოფლო-სამეურნეო მიწის, ტყის , გაჩეხვა, გამოყენების შედეგად და ა.შ.

გ. კლიმატური მონიტორინგი, ეკოლოგიურისაგან განსხვავებით მოიცავს კლიმატურ სისტემას (ატმოსფეროს-ოკეანეებს, ხმელეთის ზედაპირს და კლიმატის სხვა გამსაზღვრელ ეკოსისტემის ელემენტებს)

მონიტორინგის სახეები:

მონიტორინგის საფეხურები	მონიტორინგის ობიექტები	მონიტორინგის მახასიათებელი ელემენტები
ბიოეკოლოგიური (სანიტარულ-ჰიგიენური)	-ჰაერის მიწისზედა ფენა; -ზედაპირულიდა გრუნტის წყლები; -სამრწველო და საყოფაცხოვ რებო ჩადინება; -სხვადასხვა გადანაყარი; -რადიოაქტიური გამოსხივება.	ტოქსიკური ნივთიერებები ფიზიკური და ბიოლოგიური გამაღიზიანებ-ლები (ხმაური, ალერგენები, და სხვა) რადიოგამოსხი-ვების უკიდურესი ხარისხი.

გეოსისტემური (ბუნებრივ სამეურნეო, ეკოლოგიური	ცხოველთა და მცენარეთა გაქრობის პირას მყოფი სახეები ბუნებრივი ეკოსისტემები, აგროეკოსის-ტმები, ტყის ეკოსისტემები.	სახეობათა პოპულაციური მდგომარობა მათი სტრუქტურა და დარღვევები. სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა. ნარგობათა პროდუქტიულო-ბა.
ბიოსფერული (გლობალური, კლიმატური)	ატმოსფერო ჰიდროსფერო ცხოველთა სამყარო მცენარეული და მიწის საფარი	რადიაციული ბალანსი, თბური გადახურება შემადგენლობა და მტვერიანობა მდინარეთა და წყალსატევების დაბინძურება, წყალსატევები კონტინენტებზე წყლის მიმოქცევა, წრებრუნვა. ნიადაგის შემადგენლობის მცენარეული და ცხოველთა საფარის გლობალური დახასიათება Co2,o2 და სხვა ნივთიერებების გლობალური წრებრუნვები და ბალანსი

ბუნებრივ რესურსული (ეკოლოგიური) კონტროლი მნიშვნელოვანი დიფერენცია-ციით განსხვავდება ქონების ობიექტების გამოყენებაზე სახელმწიფო კონტროლისაგან, რომლის ძალით კონტროლის თითოეული სისტემა (მიწის, წყლის, ტყის და ა. შ.) დაყოფილია განსაკუთრებული უფლებამოსილებით და მოითხოვს სხვადასხვა სპეციალისტებს .

მონიტორინგისაგან განსხვავებით, ეკოლოგიური კონტროლი, როგორც რაციონალური ეკოსარგებლობის საშუალება ითვალისწინებს მათი აღმოფხვირის მიზნით აქტიურ ჩარევას გამოვლენილ გადახრებზე. საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ნებისმიერი სამეურნეო და სხვა საქმიანობა დაკავშირებული ბუნებრივი რესურსების ცალკეული სახეების გამოყენებასთან და გარემომცველ გარემოზე ზემოქმედებასთან ექვემდებარება ეკოლოგიურ კონტროლს.

ეკოლოგიური კონტროლი - ესაა შემოწმება ორგანიზაციების, დაწესებულებების, საწარმოებისა და მოქალაქეების გარემომცველი გარემოს დაცვისა და საზოგადოების ეკოლოგიური უსაფრთხოების მოთხოვნების გათვალისწინებაზე.

გამომდინარე, ეკოლოგიური კონტროლის მიზანს წარმოადგენს გარემომცველი ბუნებრივი გარემოს დაცვა, გაფრთხილება კანონის სამართლებრივი დარღვევების აღმოფხვრის -აცილების გზით.

განვიხილოთ ეკოლოგიური კონტროლის ობიექტები, ფორმები, სისტემა და მეთოდები.

ეკოლოგიური კონტროლის სახეებს წარმოადგენს :

- ინფორმაციული კონტროლი, რომელიც გამოიხატება აუცილებელი ეკოლოგიური ინფორმაციის შეგროვებასა და განზოგადებაში, მისი შესაბამისი ორგანოებზე გადაცემაში გამაფრთხილებელი ღონისძიებების მიზნით ;
- გამაფრთხილებელი კონტროლი- მიმართულია გარემომცველი გარემოს დაცვის აუცილებელი ღონისძიებების შეუსრულებლობის შედეგად და მოქმედი კანონმდებლობის შეუსრულებლობისას, მავნე შედეგების დადგომის თავიდან აცილებაზე;
- დამსჯელი კონტროლი, გამოიხატება დამრღვევთა მიმართ სახელმწიფო იძულებითი ღონისძიებების მიღებაში.

ეკოლოგიური კონტროლის დონე დამოკიდებულია საზოგადოების ეკო-ლოგიურ და კულტურულ განვითარებაზე, რაც უფრო განვითარებულია საზოგადოება, მით უფრო ეფექტიანად რეალიზდება ცხოვრების,ბინადრობის სოციალურ-ეკო-ლოგიური მართვის პროცესები.

ეკოლოგიური კონტროლის ჩატარების ძირითადი მოთხოვნებია:

- ბუნებადაცვითი მიზნის მიღწევის გარანტია ატმოსფეროს, ჰიდროსფეროს, ნიადაგის, სამრეწველო საწარმოების კონტროლირებადი პარამეტრების გამონა-ბოლქვის ნორმატიული მნიშვნელობე-ბიდან გადახრების გამოვლენის გზით;
- საწარმოთა ბუნებადაცვითი საქმიანობის ასახვა საწარმოო გეგმებში;
- გარემომცველი გარემოს დაცვის კონტროლის ორგანიზაციული სტრუქტურის ეფექტიანობა;
- კონტროლზე ინდივიდუალური მიდგომა (კონტროლის მეთოდები

უნდა იყოს გასაგები საწარმოთა ხელმძღვანელობის, რიგითი მუშაკებისა და კონტროლიორთათვის);



- ბინადრობის (ცხოვრების) გარემოს მდგომარეობის ცვალებადობის პროგნოზი მისი აღწერილობასთან მიახლოების ნიშნების გამოყოფა, კონტროლი გარემოს კრიტიკულ მდგომარეობაზე: ავარიული სიტუაციები, ერთბაშად, ერთდროული გამონაბოლქვი;

ეკოლოგიური კონტროლის ობიექტები, ფორმები, სისტემები და მეთოდები

- მუშაობა ავარიული, სტიქიური სიტუაციებიდან გამოსვლაზე, განსაკ-უთრებული სიტუაციის განვითარების შესაძლებლობის ლიკვიდაცია.

ეკოლოგიური კონტროლი ისახავს შემდეგ ამოცანებს:

- გარემომცველი გარემოს დაცვაზე გეგმებისა და ღონისძიებების, პროგრამების შესრულების შემოწმება;
- ეკოლოგიური მოთხოვნების დარღვევების გამოვლენა, სამეუურნეო ან სხვა საქმიანობის განვითარებაზე გადაწყვეტილებისმიღებისადარეალიზაციის მომზადებისას.
- ეკოლოგომოსარგებლეების მიერ ეკოლოგოსარგებლობისა და გარემომცველი გარემოს ხარისხის დაცვის ნორმების შესრულების შემოწმება;

გამოიყოფა ეკოლოგოსარგებლიანობის წესების დაცვა-შესრულების სახელმწიფო, საუწყებო (უწყებრივი) და საზოგადოებრივი კონტროლი.

სახელმწიფო კონტროლში შეიძლება გამოყოფილი იყოს:

- პროკურატორის მეთვალყურეობა;
- კონტროლი ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების მხრიდან, რომლებსაც პროკურატორის ორგანოებისაგან განსხვავებით უფლება აქვს, შეუძლია არამარტო აღიარონ ამა თუ იმ მოქმედების არაკანონიერება, არამედ შეუძლიათ მათი უშუალოთ შეცვლა;
- სპეციალური კონტროლი, გან-ხორციელებული სპეციალიზირებული სახელმწიფო ინსპექციის წყალის დაცვაზე, მიწების დაცვაზე, თევზის მარაგის დაცვაზე და ა.შ.

საუწყებო კონტროლი თავის დარგობრივ ჩარჩოებში ხორციელდება სამინისტროებითა და უწყებებით. ის განსხვავდება

სახელმწიფო კონტროლისაგან კონტროლის ფუნქციათა ამოცანებისა და მნიშვნელოვანი ნაირგვარობის უფრო ვიწრო წრით.

ამავე კატეგორიასვე შეიძლება მიეკუთვნოს საწარმოო კონტროლი, საწარმოო პროცესში განხორციელებული საწარმოებისა და შრომითი კოლექტივების მიერ.

საზოგადოებრივი კონტროლი მოიცავს:

- განხორციელებული კონტროლი პოლიტიკური პარტიების მიერ;
- საზოგადოებრივი ორგანიზაციების კონტროლი;
- ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების კონტროლი;
- ცალკეულ მოქალაქეთა კონტროლი, როგორც მათი საზოგადოებრივი მოვალეობების ძალით, ისე პირადი სურვილით;

საზოგადოებრივი მიწის კონტროლი ტარდება საშემსრულებლო ორგანოების მიზნების დაცვით, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების გადაწყვეტილებების მომზადებისა და მიღების დადგენილი თანმიმდევრობით, სუბიექტური მიწის უფლებათა, მოქალაქეთა და იურიდიულ პირთა კანონით დაცული ინტერესთა შეხებით.

ეკოლოგიური ექსპერტიზა არის გარემოსდაცვითი ხასიათის აუცილებელი ღონისძიება, რომელიც ხორციელდება საქმიანობაზე გარემოზე ზემოქმედების, ან მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზა პროექტთა გადაწყვეტის ეკოლოგიურ-ეკონომიკური შეფასებაა ბუნებადაცვით მოთხოვნებთან და გარემომცველ გარემოზე შედეგების ზემოქმედების რეალიზაციის კუთხით.

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზა წარმოადგენს გარემომცველ გარემოს დაცვის სახელმწიფო რეგულირების ერთ ერთ ძირითად ბერკეტს, სახელმწიფოს მიერ ამა თუ იმ საქმიანობის სანქციონირებას (დადასტურებას) სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ობიექტების სივრცით განლაგებაზე. მის მიზანს წარმოადგენს სამეურნეოდასხვასაქმიანობისშესაბამისობის შემოწმება საზოგადოების ეკოლოგიური უსაფრთხოების მოთხოვნებთან. ის აუცილებელია გადაწყვეტილების მომზადებისას ეკოლოგოსარგებლობის სფეროში და ხორციელდება გადახდის საფუძველზე. ექსპერტიზის გადასახადს ახორციელებს მითითებული საქმიანობის დამკვეთი .

ეკოლოგიური ექსპერტიზის იურიდიულ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს კანონი, „გარემოს დაცვის შესახებ“ (1996 წლის 10 დეკემბერი №519 –I-ს და საქართველოს კანონი „სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ“ (1996 წ. 15 ოქტომბერი).

კანონში აღნიშნულია რომ „სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზა არის გარემოსდაცვითი ხასიათის აუცილებელი ღონისძიება, რომელიც ხორციელდება საქმიანობაზე გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა არის აუცილებელი პირობა საქმიანობის განხორციელებაზე გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად.

ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების სფეროში უფლებამოსილი ორგანოა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლისმეურნეობის სამინისტრო.2

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნა წარმოადგენს დამამტკიცებელ დოკუმენტს.

- დამკვეთის მიერ შერჩეული საქმიანობის ეკოლოგიური მოთხოვნების დაცვა, შესრულება დამადასტურებელი საბუთების მომზადებისას;
- დამკვეთის გარანტია მის მიერ შერჩეული საქმიანობის რეალიზაციისა და ეკოლოგიური პირობების შერსრულებისას;
- პროექტის რეალიზაციის ფინანსირების გახსნის შესაძლებლობა.

ეკოლოგიური ექსპერტიზის განხორციელების პრინციპებია: აუცილებლობა (სავალდებულობა), მეცნიერული დასაბუთებლობა და კანონიერება, დამოუკიდებლობა,საჯაროობა,საზოგადოების მონაწილეობა, პასუხისმგებლობა.

ეკოლოგიური ექსპერტიზის ობიექტებს წარმოადგენს: პროგრამის პროექტები, მშენებლობისპროექტები,ქალაქმშენებლობის პროექტები, განლაგების პროექტები, ტექნიკა და ტექნოლოგია, ნედლეული და მასალები, პროდუქცია და ქიმიური ნივთიერებები, სტანდარტის და სამართლებრივი ნორმების პროექტები..

ამგვარად, გარემომცველ გარემოზე ზემოქმედების შეფასება ესაა საქართველოს

კანონმდებლობით ეკოლოგიური მოთხოვნების გათვალისწინებით საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გადაწყვეტილებათა მომზადება მიღების პროცედურა.

გარემომცველ გარემოზე ზემოქმედების შეფასება ხორციელდება იმ აუცილებელი და საკმარისი ღონისძიებების გამოვლენისა და გაფრთხილების მიზნით, რომელიც სამეურნეო ან სხვა საქმიანობის სოცილაურ-ეკონომიკური რეალიზაციისას საზოგადოებისთვის ეკოლოგიურად მიუღებელია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1.А .В. Анисимов „Экологический менежмент“ Феникс, 2009

2. Безручко Н. В. Оценочные критерии экологического риска в анализе техногенной нагрузки на окружающую среду /Экология человека: концепция факторов риска

3. Н. Ю Келина, Н. В. Безручко“ Экология человека“ –Ростов Н. Д. Феникс 2009.

4.საქართველოს კანონი „სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ“ 1996 წ. 15 ოქტომბერი.

5. საქართველოს კანონი „ სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ“ 2017 წ. № 1668რს. 7 დეკემბერი

რეზიუმე

ბუნება ადამიანთა ცხოვრებისა და საქმიანობის გარემოა, მისი არსებობის რესურსების წყაროა, შრომის საგანია, გარდაქმნის ობიექტია, ადამიანის საჭიროებაზე ბუნების ძალთა შეგუებადობაა, თავის მხრივ, ადამიანი ბუნების ნაწილია, მისი წარმოქმნელია, მას შეუძლია აწარმოოს აუცილებელი საქონელი მხოლოდ მისი რესურსების გამოყენებით და იცხოვროს მხოლოდ იმ ბუნებრივ პირობებში (ტემპერატურა, წნევა, ტენიანობა, ატმოსფეროს შემადგენლობა და სხვა) რომლებთანაც ის გენეტიკურად შეწყობილ-შეგუებულია, მაგრამ მთავარი ეკოლოგიური კავშირი ადამიანთა საზოგადოების ბუნებასთან უდავოდ საწარმოოა, რომელიც საჭიროებს ეკოლოგიური სარგებლობისა და გარემომცველი გარემოს დაცვის მონიტორინგს, ეკოლოგიურ კონტროლსა და და ეკოლოგიურ ექსპერტიზას.

საქართველოში ეროვნული მონიტორინგი მოიცავს სამ სახეს, საფეხურს:

ა. სანიტარულ ჰიგიენურ მონიტორინგს, რომელიც მეთვალყურეობს, თვალყურს ადევნებს ბიოსფეროს ცვლილებებს უარყოფითი ზემოქმედების კუთხით, ადამიანის ჯანმრთელობაზე და მისი ცხოვრების პირობებზე.

ბ. ეკოლოგიური მონიტორინგი, რომელიც თვალყურს ადაევნებს ეკოსისიტემების საპასუხო რეაქციებს ანტროპოგენურ ზემოქმედებებზე, დაბინძურების შედეგად ბიოსფეროს მდგომარეობაზე, ეკოსისტემის ცვალებადობაზე, სასოფლო-სამეურნეო მიწის, ტყის , გაჩეხვა, გამოყენების შედეგად და ა.შ.

გ. კლიმატური მონიტორინგი, ეკოლოგიურისაგან განსხვავებით მოიცავს კლიმატურ სისტემას (ატმოსფეროს-ოკეანეებს, ხმელეთის ზედაპირს და კლიმატის სხვა გამსაზღვრელ ეკოსისტემის ელემენტებს)

მონიტორინგისაგან განსხვავებით, ეკოლოგიური კონტროლი, როგორც რაციონალური ეკოსარგებლობის საშუალება ითვალისწინებს მათი აღმოფხვირის მიზნით აქტიურ ჩარევას გამოვლენილ გადახრებზე. საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ნებისმიერი სამეურნეო და სხვა საქმიანობა დაკავშირებული ბუნებრივი რესურსების ცალკეული სახეების გამოყენებასთან და გარემომცველ გარემოზე ზემოქმედებასთან ექვემდებარება ეკოლოგიურ კონტროლს.

ეკოლოგიური კონტროლის მიზანს წარმოადგენს გარემომცველი ბუნებრივი გარემოს დაცვა, გაფრთხილება კანონის სამართლებრივი დარღვევების აღმოფხვრის -აცილების გზით.

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზა პროექტთა გადაწყვეტის ეკოლოგიურ-ეკონომიკური შეფასებაა ბუნებადაცვით მოთხოვნებთან და გარემომცველ გარემოზე შედეგების ზემოქმედების რეალიზაციის კუთხით.

გარემომცველ გარემოზე ზემოქმედების შეფასება ესაა საქართველოს კანონმდებლობით ეკოლოგიური მოთხოვნების გათვალისწინებით საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გადაწყვეტილებათა მომზადება მიღების პროცედურა.

გარემომცველ გარემოზე ზემოქმედების შეფასება ხორციელდება იმ აუცილებელი და საკმარისი ღონისძიებების გამოვლენის და გაფრთხილების მიზნით, რომელიც სამეურნეო ან სხვა საქმიანობის სოციალურ-ეკონომიკური რეალიზაციისას საზოგადოებისთვის ეკოლოგიურად მიუღებელია.

SUMMARY

Nature is the environment of human life and activity, the source of its existence, the subject of labor, the object of transformation, the incompatibility of human forces with human need, the human being is part of nature, the creator of it, he can produce essential goods only by using his resources and living only in those natural conditions (Temperature, pressure, Humidity, atmospheric composition, etc., with which it is genetically-adapted, but the main ecological link with human nature is undoubtedly industrial, requiring environmental monitoring and environmental monitoring, ecological control, and environmental expertise.

National monitoring in Georgia comprises three types, steps:

A. Sanitary hygiene monitoring, which monitors changes in the biosphere in terms of adverse impacts on human health and living conditions.

B. Ecological monitoring that monitors the response of ecosystems to anthropogenic impacts, biosphere contamination, ecosystem variability, agricultural land, forestry, deforestation, use, etc.

C. Climatic monitoring, unlike ecology, includes the climate system (atmospheric-oceans, terrestrial surface and other climate-defining ecosystem elements)

In contrast to monitoring, environmental control as a means of rational ecosystems involves actively intervening to eliminate deviations in order to eliminate them. Any economic and other activities carried out on the territory of Georgia related to the use of certain types of natural resources and environmental impacts shall be subject to environmental control.

The purpose of ecological control is to protect the natural environment, to warn through elimination of legal violations.

State ecological expertise is the eco-economic assessment of project solutions in terms of nature requirements and environmental impacts.

Environmental Impact Assessment This is the procedure for preparing socio-economic development decisions in accordance with the environmental requirements of Georgian legislation.

ალტერნატიული ენერგოსისტემების ათვისების პერსპექტივები საქართველოში

ირაკლი მიქაძე
გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის და საქართველოს ტექნოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსი

ეკოლოგიური, განახლებადი ენერ-გეტიკული რესურსების ათვისების უმთავრეს სტიმულიატორს წარმოადგენს წიაღისეული სათბობის გამოყენების, გარემოზე მავნე გავლენის შემცირება. მსოფლიოს წამყვანი მეცნიერები რეკომენდაციებს იძლევიან, ათვი¬სე-ბულ იქნას ბუნებრივი, არატრადიციული, განახლებადი რესურსები, რათა შემცირდეს ორ¬გა-ნუ¬ლი სათბობის მოხმარება. ამ მხრივ მნიშვნელოვანია, ალტერნატიული ენერგოსისტემების (მზის, ქარის, გეოთერმული ენერგიის, ზღვის ტალღებისა და ბიომასის) ობიექტების მშენებ-ლ¬ობა, რომლებიც გამოირჩევა ეკოლოგიური სისუფთავით, მაღალი საიმედოობითა და ეკონომიკური ეფექტიანობით.

მიუხედავად ამისა, ამჟამად, არა-ტრადიციული, განახლებადი რე-სურსების ათვისებას ჩვენს ქვეყანაში ნაკლები ყურადღება ექცევა.

საქართველოში, ელექტროენერგიის მისაღებად, მთავარი აქცენტი გადატანილია ჰესების მშენებლობაზე, რომელთაც აქვთ როგორც დადებითი, ასევე, უარყოფითი მხარეები.

ჰესების დადებითი მხარეებია: წარმოებული ელექტროენერგიის სიიაფე, შედარებით ნაკლებად ბინძურდება გარემო, ადგილობრივი მოსახლეობისათვის გააჩნია წყალმომარაგების, საირიგაციო, სარეკრეაციო და სხვა ფუნქციები.

ჰესების უარყოფითი მხარეებია: განსაკუთრებით, კაშხლებიანი, დიდი ჰესების მშენებლობის დროს, მთიან რელიეფში ირღვევა ჩამოყალიბებული ბუნებრივი გარემო, იტბორება დიდი ფართობები, იცვლება ლანდშაფტი და კლიმატი, უარყოფითად ზემოქმედებს ბიოსის-ტე¬მაზე, აფერხებს მდინარის ჩამონატანის გადაადგილებას, იწვევს ზღვის სანაპირო ზოლის დეგრადაციას, ადგილობრივ მოსახლეობას უქმნის სოციალურ პრობლემებს.

საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობისა და კლიმატის პირობებში მომგებიანია მზის, ქარისა და განსაკუთრებით, გეოთერმული ენერგიის გამოყენება და ცხელწყალსამრეწველო ბაზის შექმნა, რომლის პოტენციალი 500 ათასი ტონა პირობითი სათბობის ან 500 მლნ კუბ.მ საწვავი აირის ექვივალენტურია.

საქართველოს ტერიტორიაზე, მზის ნათების წლიური ხანგრძლივობა 250-280 დღეს შეადგენს, რაც წელიწადში, დღის ხანგრძლივობის მიხედვით, 1900–2200 საათია.

მსოფლიო მასშტაბით, მზის წლიური ჯამური რადიაცია 800–დან (სკანდინავია) – 2200 კვტ.სთ/მ2 (საჰარა) დიაპაზონში ცვალებადობს, საქართველოში, 1250–1800 კვტ.სთ/მ2, ხოლო მზის საშუალო რადიაცია – 4,2 კვტ.სთ/მ2. მზის ენერგიის სრული წლიური პოტენციალი კი შეფასებულია 108 მვტ–ით, რაც წლიურად 34 ათასი ტონა პირობითი სათბობის ექვივალენტურია.

გერმანიაში განახორციელეს პროექტი „1000 სახურავი“, რომლის მიხედვით, ფოტოელექტრული და-ნადგარებით აღიჭურვა 2250 სახლი. სარეზერვო წყაროდ გამოყენებულ იქნა ელექტროქსელი, საიდანაც ხდება ელექტროენერგიის გადაფარვა, მისი ნაკლებობისას, ხოლო სიჭარბისას –

ელექტროენერგია მიეწოდება ქსელს; პროექტის ღირებულების 70% დაიფარა ბიუჯეტიდან.

აშშ–ში განახორციელეს „მილიონი მზის სახურავი“, რომლის ბიუჯეტი 6,3 მლრდ დოლარია.

ანალოგიური პროექტების დაფინანსება შესაძლებელია თბილისშიც, თუ შენობები თანდა-თან გადავა ამ რეჟიმზე, დაიზოგება ელექტროენერგია და მკვეთრად შემცირდება გადასა-ხადი.

1998 წელს, თბილისის №1 სკოლა–ინტერნეტში, საერთაშორისო ენერ-გეტიკულმა ცენტრმა „ენეკომ”, განახორციელა მზის სადგურის მონტაჟი, რომელიც აღიჭურვა უახლესი ტექნიკით. პროექტისათვის UNDP–მ (გაერო) და FONDEM (საფრანგეთი) გამოყვეს 110000 აშშ დოლარი.

საქართველოში, 2011 წლიდან ფუნქციონირებს შპს „მზის სახლი“, რომელიც აწარმოებს მზის ენერგოპოტენციალის სამეცნიერო–პრაქტიკულ კვლევებს: მზის თბური და ფოტოელექ¬ტრული სისტემების საპროექტო, სამონტაჟო და მონიტორინგულ სამუშაოებს, ასევე, მზის ელექტროსისტემების ექსპერტიზას. კომპანიის მიერ შესრულებულია სამუშაოები მთელი ქვეყნის მასშტაბით. მაგალითად, ქ. ქუთაისში ფუნქციონირებს სმარტფონების დამმუხტავი აპარატი „მზის გვირილა“, ფოტოელექტრული პანელებით.

2018 წელს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, განხილულ იქნა, საჯარო სკოლებში, მზის ენერგიის პანელებით აღჭურვის საპილოტე პროექტი.

Sani Shop საქართველოს მოსახლეობას სთავაზობს მზის ენერგიაზე მომუშავე ლედ სანათებს, რომლებიც არ საჭიროებს ელექტროენერგიას. სრულ დამუხტულზე, მაქსიმალური სამუშაო დრო – 12 საათია.

მზისა და ქარის ენერგიის გარდამქმნელების საშუალებით ელექტროენერგიის მიწოდება განსაკუთრებით ეფექტურია მთა–გორიან რელიეფის, ძნელად მისასვლელი და მცირედ დასახლებული სოფლების, გეოლოგიური საველე პარტიების, მწყემსების, სამთამადნო სამუშაოების, სამხედრო–საველე, კავშირგაბმულობის, სარეტრანსლიაციო სადგურების და საავარიო სიტუაციების პირობებში.

ასევე მომგებიანია, ქარის ელექტროსადგურების მშენებლობა. საქართველოს ქარის ენერ-გიის პოტენციალი შეფასებულია 4 მლრდ კვტ. სთ, რის მიხედვითაც ტერიტორია დაიყო 4 ზონად:

1. მაღალი სიჩქარეების – სამხრეთ საქართველოს მთიანეთი, კახაბერის ვაკე და კოლხეთის დაბლობის ცენტრალური ნაწილი – 5 ათასი სთ/წელიწადში.

2. ნაწილობრივ მაღალი სიჩქარეებისა და დაბალსიჩქარიანი – მტკვრის ხეობა, ქ. მცხეთიდან ქ. რუსთავამდე, ჯავახეთის სამხრეთი ნაწილი და შავი ზღვის სანაპირო, ფოთიდან კახაბერის ვაკემდე – 4,5-5 ათასი სთ/წელიწადში.

3. დაბალსიჩქარიანი, ქედების ეფექტიანი ექსპლუატაციის ზონა – გაგრის ქედი, კოლხეთისა და აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობები.

4. დაბალსიჩქარიანი, ქედების შეზღუდული გამოყენების – იორის ზეგანი და სიონის წყალსაცავი.

გამოვლენილია შემდეგი პერსპექტიული მოედნები (სიმძლავრე: მგვტ/წლიური გამომუშა-ვება, მლნ კვტ. სთ), რომელთა ჯამური სიდიდეა – 1450/4160, მათ შორის: ფოთი – 50/110; ჭოროხი – 50/120; ქუთაისი – 100/200; მთა საბუეთი I – 150/450; მთა საბუეთი II – 600/2000; გორი–კასპი – 200/500; ქარავანი – 200/500; სამგორი – 50/130; რუსთავი – 50/150.

ქარის ენერგიის პოტენციალის ათვისება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, სეზონურობიდან გამომდინარე, ზამთრის პერიოდის იმ თვეებში, როცა საქართველოში წყლის რესურსების პოტენციალი ეცემა და აუცილებელი ხდება თბოსადგურების ამოქმე¬დება, რომლებიც მოიხმარს ძვირადღირებულ საწვავს და საგრძნობლად აბინძურებს ატმოსფეროს.

1988 წელს, საქართველოს ენერგეტიკის ინსტიტუტში დამონტაჟდა და გადიოდა გამოცდას 4 კვტ სიმძლავრის ქარდანადგარი. ამჟამად, გორთან ფუნქციონირებს ქარის ელექტროსადგური „ქართლი". ქარის მეორე ელექტროსადგურის აშენება დაგეგმილია ქ. ზესტაფონთან.

მზისა და ქარის ენერგიაზე მომუშავე დანადგარების უარყოფითი მხარეა, მათი არასტა-ბილურობა. ამ დროს, საჭიროა ენერგიის სხვა წყარო, რომელიც დააბალანსებს ამ დანაკლისს.

განახლებადი ენერგიის გამომუშავება შესაძლებელია გარკვეული საწარმოს მიერ, ლოკალური ამოცანების გადასაწყვეტად, მაგრამ ამ შემთხვევაში, იგი უნდა დაწყვილდეს ისეთ ენერგიის წყაროსთან, რომელიც შეავსებს დანაკლისს. მზის და ქარის ელექტროსადგურების ღირებულება საკმაოდ მაღალია, ამიტომ ქვეყანაში უნდა იყოს ისეთი კანონმდებლობა, რომელიც წაახალისებს მეწარმეებს თვითონ ააგონ და უზრუნველყონ თავიანთი საწარმო განახლებადი ენერგიის წყაროებით.

რაც შეეხება ბიოგაზის რესურსის გამოყენებას საქართველოში, ამ მხრივ ჩატარებულიაგარკვეულისამუშაოები:შპს „კონსტრუქტორმა" შეიმუშავა და აითვისა მცირე სიმძლავრის 7-10 კუბ.მეტრი ტევადობის ბიოგაზის დანადგარების დამზადება–დამონტაჟების ტექნოლო-გია. ბიოგაზის დანადგარები მარტივია და მათ მშენებლობაში, სრულადაა შესაძლებელი მომხმარებლის შრომითი რესურსების გამოყენება. მაგალითად, საქართველოში, ფერმერთა ოჯახებში დაიდგა და ამუშავდა რამდენიმე ათეული ბიოგაზის დანადგარი.

ასევე მომგებიანია, თერმული წყლების უკვე გამოვლენილი რე-სურსების რაციონალური ათვისება, რომელსაც არ ემუქრება სეზონურობა და გამოირჩევა სტაბილურობით. მეტიც, არსებობს გეოლოგიურ სტრუქტურებში, ზედაპირული წყლების ჩატუმბვისა და შემდგომ, თერმული წყლების მიღების, ცხელი წყლებით ცივი წყლების გათბობის სქემები.

მიუხედავად ამ უპირატესობების, თერმული წყლების რესურსების ათვისებასა და პრაქტიკულ გამოყენებას არ ექცევა სათანადო ყურადღება. თერმული წყლები უსისტემოდ იღვრება და სიკეთის ნაცვლად, მოაქვს ზარალი, რადგან აბინძურებს გარემოს.

თბოელექტრული ეწოდება წყლებს, რომელთა ტემპერატურა 350C-ზე მეტია, ზოგჯერ, მათ რიცხვს მიაკუთვნებენ 20-350C წყლებსაც. თერმული წყლები ენერგეტიკის არატრადიციუ-ლი, განახლებადი და ეკოლოგიურად სუფთა სახეობაა, რომელთაც გამოიყენებენ ელექტრო-ენერგიის მისაღებად (100-1800C), ბინებისა და სამრეწველო ობიექტების გასათბობად ცხელი წყლით მომარაგებაში (70-1000C), სასათბურე, მეცხოველეობისა და სხვა მეურნეობებში, ასევე, საწარმოო ტექნოლოგიურ პროცესებში (700C-დე).

ჰიდროთერმული რესურსების ფორმირება ხდება 2 გზით: 1) რეგიონული სითბური ველის პრობებში (არტეზიული აუზების ფენის წყლები) და 2) ანომალურ გეოთერმულ პირობებში (ნაოჭა ოლქების ნაპრალური და ნაპრალურ–ძარღვული წყლები). მათგან, სითბური პო¬ტე¬ნ¬ც-ი¬ალით გამოირჩევა მეორე ჯგუფის რეგიონები, რომელთაც მიეკუთვნება კამჩატკა, კურილის კუნძულები, ინდონეზიის არქიპელაგი, კავკასია, ტიან–შანი, პამირი, ყირიმი და ა.შ.

საქართველოში, ცნობილია 44 თერმული წყლის საბადო, რომელთა ჯამური დებიტი 1300 ლ/წმ შეადგენს. ეს რესურსი, ტემპერატურის მიხედვით, შემდეგ¬ნაირად ნაწილდება: 1) 20-500C - 848 ლ/წმ, 2) 50-1000C - 324 ლ/წმ, 3) 1000C-ზე მეტი - 128 ლ/წმ. ამ წყლების ნახევარი მტკნარია (მინერალიზაცია ნაკლებია 1 გ/ლ).

საქართველოს თერმომინერალური წყლების საექსპლუატაციო მარაგები შეადგენს 126 ათას კუბ.მ/დღე–ღამეში, რაც არსებული პროგნოზული მარაგების 20%–ია. ამ რესურსის თერმო-ენერგეტიკული პოტენციალი, 500 ათასი ტონა პირობითი

სათბობის, ან 500 მლნ კუბ.მ საწვავი აირის ექვივალენტურია. სამწუხაროდ, ამ რესურსის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია ათვისებული.

საქართველოს თერმული სამკურნალო წყაროებიდან აღსანიშნავია:

1. თბილისის გოგირდწყალბადიანი წყაროები, რომლებმაც სათავე დაუდეს ქ. თბილისის დაარსებას: თერმული წყაროების ტემპერატურა მერყეობს 38-დან 700C-მდე, მინერალიზაცია - 0,19-0,26 გ/ლ, შედგენილობა – სულფატურ-ქლორიდულ-კარბონატული.

2. წყალტუბოს 4 წყარო, ტემპერატურა 31-350C, მინერალიზაცია - 0,8 გ/ლ, სულფატურ-ჰიდროკარბონატული კალციუმ-მაგნიუმ-ნატრიუმიანი შედგენილობის.

3. ადიგენის რაიონის აბასთუმნის 480C–ნი, დებიტი – 1040 მ3/დღე–ღამეში, მინერალი¬ზა-ცია – 0,6 გ/ლ, ქლორიდულ-სულფატური ნატრიუმ-კალციუმიანი შედგენილობის.

4. ახმეტის მუნიციპალიტეტის, თორღვას აბანოს 350C–ნი წყარო, დებიტი - 800 მ3/დღე-ღამეში, მინერალიზაცია - 0,53 გ/ლ, ჰიდროკარბონატულ-ქლორიდული ნატრიუმ-კალციუ-მიანი შედგენილობის.

გასულ საუკუნეში, საქართველოში თერმული წყლების მიღების მიზნით ჩატარებულ იქნა დიდი მოცულობის ბურღვითი სამუშაოები. დაძიებულ იქნა თერმული წყლის საბადოები, რომელთაგან აღსანიშნავია: თბილისის, ზუგდიდის, ხობისა და ოჩამჩირის.

თბილისის საბადოზე გამოირჩევა ლისის უბანი, სადაც ჭაბურღილები მდებარეობს ლისის ტბის მიდამოებსა და ვეძისში. 2,0-დან 10,0 ლ/წმ დებიტის, 60-700C და 0,34 გ/ლ მინერა¬ლი-ზა¬ციის თერმული წყლები მიღებულია შუა და ზედა ეოცენის ასაკის ნალექებიდან, 1800-2000 მეტრის ინტერვალიდან. ლისის თერმული საბადოს წყლებით მარაგდება ნუცუბიძისა და მიმდებარე ქუჩების მოსახლეობა, რაც დადებითი გამონაკლისია სხვა საბადოებთან შედა¬რე¬ბით, რომელთა გამოყენება დღეს არ ხდება. 1993 წლამდე, ჭაბურღი¬ლებიდან თერმული წყალი მიეწოდებოდა სამტრედიას, მენჯს, ზუგდიდსა და ცაიშს და სხვა ქალაქებს. დღეს თბილისის, ლისის საბადოს გარდა, ყველა სხვა საბადოს ექსპლუატაცია შეწყვეტილია.

საქართველოში არსებობს მრავალი თერმული წყლის ჭაბურღილი, რომლებიც ხასიათდება სხვადასხვა ტემპერატურული პოტენციალით:

1. 1000C–ზე მაღალი ტემპერატურის წყალი მიღებულია: 16 ჭაბურღილიდან ოჩამჩირის მუნიციპალიტეტში (კინდღი, ცაგერა,მოქვი,ოხურეი,არადუ,კვიტოული, ჩეჩლია) და ერთი ჭაბურღილიდან ხობის მუნიციპალიტეტის სოფ. ზანაში.

2. 80-1000C თერმული წყლები მიღებულია 23 ჭაბურღილიდან, მათ შორის: 12 – ზუგდიდის (ზუგდიდი, ცაიში, ჭითაწყარი); 5 – ოჩამჩირის (კინდღი, დრანდა, არაკიჩი); 3 - ხობის (ხობი, ხორგა, ზენი); 2 – სენაკის (ნოქალაქევი); და 1 – ქარელის მუნიციპალიტეტში.

3. 60-800C თერმული წყლები მიღებულია 23 ჭაბურღილიდან, მათ შორის: 5 – თბილისში (ვაშლისჯვარი, იპოდრომი, საბურთალო, ლისის ტბა); 5 – ხობის (ქვალონი, ბია, ჯაფშაკარი, თორსა, ოქროს საწმისი); 3 – ზუგდიდის (ცაიში); 3 – ვანის (ვანი, სალხინო, ჭყვიში); 2 სენა¬კის (ისულა, თეკლათი); თითო – გალის (რეჩხი), ოჩამჩირის (ახალდაბა), ხაშურის (იმერლიანთ¬კარი), ასპინძის (თმოგვი) და სამტრედიის მუნიციპალიტეტებში.

4. 50-600C თერმული წყლები მიღებულია 10 ჭაბურღილიდან, მათ შორის: 2 - ქ. თბილისში (ლისის ტბა), 3 – ასპინძის (ვარძია, ნაქალაქევი); 2 – სენაკის (მენჯი, სახარბედიო); 2 – ვანის (მთისძირი, ციხესულორი) და 1 – ქარელის (ახალსოფელი) მუნიციპალიტეტებში.

5. 40-500C თერმული წყლები მიღებულია 17 ჭაბურღილიდან, მათ შორის: 3 - ბორჯომის (ვაშლოვანი, ახალდაბა); 2 – ქარელის (ზემო ხვედურეთი, ღვლევი); 2 – ხაშურის (მიწობი, წრომი); 2 – ასპინძის (ასპინძა, ვარძია) მუნიციპალიტეტებში; 2 – გაგრაში; 2 – ქ. თბილისში (ცენტრალური

უბანი); თითო – საგარეჯოს (უჯარმა), თერჯოლის (ქვედა სიმონეთი), ვანის (ამაღლება) და სოხუმის (მდ. ბესლეთი) მუნიციპალიტეტებში.

6. 30-400C თერმული წყლები მიღებულია 40 ჭაბურღილიდან, მათ შორის: 26 - ბორჯომის მუნიციპალიტეტში (ბორჯომი, ლიკანი, ყვიბისი, ციხისჯვარი, ახალდაბა, სადგერი, მდ. ყვიბისისწყლისა და გუჯარეთისწყლის ხეობებში); 3 - ქ. თბილისში (ცენტრალური უბანი); 2 – ასპინძის (ნაქალაქევი); 2 – ლაგოდეხის (ჰერეთისკარი); 2 – ტყვარჩელის (მდ. ღალიძგის ხეობა); თითო – სოხუმის (მდ. ბესლეთის ხეობა), ხაშურის (მიწობი), გალის (საბერიო), სიღნაღის (წნორი) მუნიციპალიტეტებში და ქ. გაგრაში.

ისეთი მდიდარი თბოენერგეტიკული პოტენციალის მქონე ქვეყანაში, როგორც საქართვე-ლოა, თერმული წყლების სამრეწველო ათვისების მრავალი გზა არსებობს. ამ მიზნით უნდა გამოყენებულ იქნას თანამედროვე ტექნოლოგიები და მოწინავე ქვეყნების გამოცდილება. მაგალითად, ისლანდიაში, ელექტროენერგიის 26,2% და შენობების გათბობის 90% მიღებულია გეოთერმული ენერგიიდან.

თერმული წყლები ენერგეტიკაში პირველად, 1904 წელს გამოიყენეს იტალიაში (ქ. ლარ-დელეროში), სადაც პიერო კონტიმ გამოიგონა გეოთერმული გენერატორი, რომლის საშუა-ლებით ინთებოდა ნათურები. აქვე 1911 წელს ააგეს პირველი გეოთერმული ელექტრო-სადგური, 1922 წელს, გეიზერს რეზორთში (აშშ, კოლორადოს შტატი), ხოლო 1966 წელს – სსრკ–ში, კამჩატკაზე.

დღეს, გეოთერმული ელექტრო-სადგურები ფუნქციონირებს 20-ზე მეტ ქვეყანაში (ისლან-დია, აშშ, კანადა, ახალი ზელანდია, ავსტრალია, იტალია, გერმანია, საფრანგეთი, თურქეთი, ფილიპინები, ჩინეთი, იაპონია, რუსეთი). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მათ წილზე მოდის მსოფლიოში გამომუშავებული ელექტროენერგიის, მხოლოდ 1%.

საქართველოში ამ დარგის განვითარებას არ ექცევა სათანადო ყურადღება, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის, 3 მარტის, #120 ბრძანებულება და შედგენილია განახლებადი ენერგიების განვითარების სახელმწიფო პროგრამა.

გარკვეული წინსვლა აღინიშნება საგანმანათლებლო სფეროში: 1990 წელს, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, თბოფიზიკის კათედ-რაზეგაიხსნაარატრადიციულიენერგეტი-კის ტექნოლოგიების სპეციალობა, ხოლო 1998 წელს, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე, ბირთვული ფიზიკისა და ზოგა-დი ფიზიკის კათედრაზე – არატრადიციული ენერგეტიკის მაგისტრატურა.

1992 წელს, რიო–დე–ჟანეიროში (ბრაზილია), მიღებულ იქნა კლიმატის ცვლილების ჩარჩო–კონცეფცია, რომელსაც საქართველო შეუერთდა 1994 წელს. მისი მოქმედების პრინციპია დებულება, რომ განვითარებული ქვეყნები, დააფინანსებენ განვითარებადი ქვეყნების მხოლოდ იმ სამეურნეო პროექტებს, რომლებიც მინიმალურად დააზიანებს გარემოს.

1996 წელს, ჰარარეში (ზიმბაბვე), გაეროს ეგიდით, მიღებულ იქნა „მზის მსოფლიო პროგ-რამა", რომლის საშუალებით გაიზარდა დაინტერესებული ქვეყნების მთავრობებისა და ორგ-ა¬ნიზაციების პარტნიორობა ენერგიის განახლებადი წყაროების ათვისებისა და გამო¬ყენების საქმეში.

არატრადიციული ენერგეტიკის დარგის განვითარება შეუძლებელია სახელმწიფოს მონაწილეობის გარეშე, მხოლოდ საბაზრო ეკონომიკის მექანიზმზე დაყრდნობით, წინააღმდეგ შემთხვევაში, დარგი ვერ განვითარდება.

საქართველოში, არატრადიციული ენერგეტიკის დარგის განვითარების მიზნით მიგვაჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს:

1) შემუშავდეს სახელმწიფო პროგრამა სავარაუდო შედეგების გათვალისწინებით, ეტაპების ვადების დადგენით და ფინანსური ანალიზის

ჩატარებით;

2) ლისის საბადოს ანალოგიური, გეოთერმული საცირკულიაციო კომპ-ლექსების მშენებლობა;

3) ზუგდიდის საბადოზე არსებული სარეწი უბნის აღდგენა, მისი თერმული (85-1000C) წყლის ოპტიმიზაციისა და კომპლექსური გამოყენების რეალიზაცია;

4) ცაიშის, ქვალონისა და სხვა გეოთერმული ჭაბურღილების აღდგენა და გამოყენება;

5) ბიოენერგეტიკული პოტენციალის ათვისება შესაძლებელია ჩინეთის მაგალითზე, მცი-რე სიმძლავრის, მარტივი თვითნაკეთი დანადგარების მასობრივი დანერგვით;

6) ქალაქების კომუნალური მეურნეობის, სამრეწველო და აგროკომპლექსის ორგანული ნარჩენების გადამუშავებით ქარხნული ტიპის დანადგარებში, გაზისა და სასუქების მიღების მიზნით.

;

რეზიუმე

საქართველოში, ელექტროენერგიის მისაღებად, მთავარი აქცენტი გადატანილია ჰესების მშენებლობაზე, რომელთაც აქვთ როგორც დადებითი, ასევე, უარყოფითი მხარეები. საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობისა და კლიმატის პირობებში მომგებიანია მზის, ქარისა და განსაკუთრებით, გეოთერმული ენერგიის გამოყენება და ცხელწყალსამრეწველო ბაზის შექმნა, რომლის პოტენციალი 500 ათასი ტონა პირობითი სათბობის ან 500 მლნ კუბ.მ საწვავი აირის ექვივალენტურია. არატრადიციული განახლებადი რესურსები გამოირჩევა ეკოლოგიური სისუფთავით, მაღალი საიმედოობითა და ეკონომიკური ეფექტიანობით. მათი ათვისებისათვის საჭიროა შემუშავდეს სახელმწიფო პროგრამა სავარაუდო შედეგების გათვალისწინებით, ეტაპების ვადების დადგენით და ფინანსური ანალიზის ჩატარებით.

SUMMARY

Given the geographical location and climate of Georgia, it is advantageous to use solar, wind, and especially geothermal energy and to create a hot water industry with the potential of 500,000 tonnes of conventional heat or 500 million cubic meter of gas equivalent. Non-traditional renewables are characterized by ecological cleanliness, high reliability and economic efficiency. To use them, a state program needs to be developed taking into account the expected results, setting stage milestones and conducting a financial analysis.

ზედამხედველის როლი აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფაში

მანანა მჭედლიშვილი

ეკონომიკის დოქტორი,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

შესავალი. ფინანსური ინფორმაცია უნდა იყოს შესაბამისი, დროული და საიმედო, რათა დააკმაყოფილოს მომხმარებელთა მოთხოვნილებები. ეროვნული კანონმდებლობა, ასევე სამეურნეო სუბიექტის დაინტერესებული მხარეები ხშირად მოითხოვენ ფინანსური ინფორმაციის გარკვეული ელემენტების გარე აუდიტის ჩატარებას, რათა მომხმარებლებს შეუქმნან იმის რწმენა, რომ შესაძლებელია ამ ინფორმაციის ნდობა. იმისთვის, რომ გარე აუდიტმა შეასრულოს თავისი ამოცანა, აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები დარწმუნებულები უნდა იყვნენ, რომ აუდიტორმა იმუშავა სათანადო სტანდარტის მოთხოვნების დაცვით და ჩატარდა „ხარისხიანი აუდიტი“

ძირითადი ნაწილი. საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ ძალაშია 2016 წლის ივნისიდან. კანონის თანახმად შეიქმნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური (SARAS), რომლის ფუნქციებში შედის:

1) სავალდებულო ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებისა და სხვა შესაბამისი ნორმების შემოღება; 2)ანგარიშგებების მომზადებისა და წარდგენის წესების განსაზღვრა; 3)ანგარიშგებების პორტალის წარმოება; 4)აუდიტორის/აუდიტორული ფირმის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელება.

კანონის მოქმედება ვრცელდება - საჯარო სამართლის და კერძო სამართლის იურიდიულ პირებზე, გარდა საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციისა. კანონი საწარმოებს 4 ძირითად კატეგორიად და საზოგადოებრივი დაინტერესების პირად ყოფს. იმისათვის, რომ საწარმო I-IV კატეგორიაში მოხვდეს, ჩამოთვლილთაგან, სულ მცირე, 2 კრიტერიუმი უნდა დააკმაყოფილოს:

I კატეგორიის საწარმოს აქტივების მთლიანი მოცულობა უნდა აღემატებოდეს 50 მილიონ ლარს, საოპერაციო შემოსავალი აღემატებოდეს 100 მილიონ ლარს, ხოლო თანამშრომელთა რაოდენობა აღემატებოდეს 250 დასაქმებულს;

II კატეგორიის საწარმოში აქტივები უნდა იყოს 50 მილიონ ლარამდე, საოპერაციო შემოსავალი 100 მილიონ ლარამდე, ხოლო თანამშრომელთა რაოდენობა კი 250 დასაქმებულამდე;

III კატეგორიის საწარმოში აქტივები უნდა იყოს 10 მილიონ ლარამდე, საოპერაციო შემოსავალი 20 მილიონ ლარამდე, ხოლო თანამშრომელთა რაოდენობა კი 50 დასაქმებულამდე;

IV კატეგორიის საწარმოში აქტივები უნდა იყოს 1 მილიონ ლარამდე, საოპერაციო შემოსავალი 2 მილიონ ლარამდე, ხოლო თანამშრომელთა რაოდენობა კი 10 დასაქმებულამდე.

საზოგადოებრივი დაინტერესების პირს განეკუთვნებიან: საწარმოები, რომელთა ფასიანი ქაღალდები საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებულია, კომერციული ბანკები და კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტები, მიკროსაფინანსო და სადაზღვევო კომპანიები, არასახელმწიფო საპენსიო ფონდები, საინვესტიციო ფონდები, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებები, საკრედიტო კავშირები და საქართველოს მთავრობის მიერ სდპ-ად განსაზღვრული სხვა პირები. ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების მოთხოვნების მხრივ სდპ და I კატეგორიის საწარმოს ანგარიშგების საფუძველს წარმოადგენს ფასს (IFRS), მას გააჩნია როგორც ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის, ისე აუდიტის ჩატარებისა და მმართველობის ანგარიშგების მომზადების ვალდებულება. აუდიტის ჩატარების ვალდებულება ამ შემთხვევაში სავალდებულოა ინდივიდუალური იური-დიული პირის დონეზე, მაშინაც კი თუ

საწარმო ეკუთვნის ჯგუფს, რომელსაც უკვე ჩატარებული აქვს აუდიტი.

მმართველობის ანგარიშგების ინფორ-მაცია, რომელშიც წარმოდგენილი უნდა იქნეს აუდიტორის დასკვნა, უნდა იყოს მოცემული საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში. კორპორაციული მართვის ანგარიშგება მმართველობის ანგარიშგებაში, მათ შორის კორპორაციული მართვის კოდექსის მიმოხილვა, მმართველობითი ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობისა და ფუნქციონირების მიმოხილვა, მოითხოვება მხოლოდ იმ საწარმოსთვის, რომლის ფასიანი ქაღალდები სავაჭროდ დაშვებულია საფონდო ბირჟაზე. არაფინანსური ანგარიშგება, როგორც მმართველობის ანგარიშგების ნაწილი, მათ შორის გარემოს დაცვის, სოციალური, დასაქმების, ადამიანის უფლებების დაცვისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე სუბიექტის საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის ზეგავლენის დასადგენად აუცილებელი ინფორმაცია, მოითხოვება მხოლოდ იმ საწარმოსთვის, რომელიც ფასიანი ქაღალდები სავაჭროდ დაშვებულია საფონდო ბირჟაზე. სდპ და I კატეგორიის საწარმოს აქვს ასევე სხვა ტიპის ანგარიშგების მომზადების მოთხოვნა, კერძოდ სახელმწიფოს მიმართ განხორციელებული გადახდების კუთხით. აღნიშნული სავალდებულოა იმ საწარმოებისათვისაც, რომელთა საქმიანობა მოიცავს ნავთობისა და გაზის მოპოვებას ან ბუნებრივი წარმოშობის ტყეში ხე-ტყის დამზადებას. II კატეგორიის საწარმოებს ანგარიშგების საფუძველი მსს ფასს-თან (IFRS for SMEs) ერთად სურვილისამებრ შეიძლება იყოს სრული ფასს. მესამე და მეოთხე კატეგორიის საწარმოებისათვის არ არსებობს არც აუდიტის ჩატარების, არც მმართველობითი ანგარიშგების მომზადების ვალდებულება და არც სხვა ტიპის ანგარიშგების მოთხოვნა. მესამე კატეგორიის საწარმოებს აქვთ მხოლოდ ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის ვალდებულება ფასს მცირე და საშუალო საწარმოებისათვის მიხედვით (სურვილისამებრ ფასს-ებით). მეოთხე კატეგორიის საწარმოებისათვის კი შემუშავდა სპეციალური გამარტივებული სტანდარტი. საწარმომ ფინანსური ანგარიშგებები უნდა მოამზადოს წელიწადში სულ მცირე ერთხელ და ასევე უნდა წარმოადგინოს შესადარისი პერიოდი. სდპ-მა ანგარიშგებები (მათ შორის - კონსოლიდირებული) ასევე უნდა გამოაქვეყნოს თავის ვებ გვერდზე. თუ მიმდევრობით ორი საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ საწარმო/ჯგუფი არ აკმაყოფილებს სულ მცირე ორ კრიტერიუმს, საწარმოს/ჯგუფის ზომითი კატეგორია უნდა შეიცვალოს და მასზე ახალი კატეგორიის მოთხოვნები გავრცელდეს. საწარმოს აქვს უფლება გამოიყენოს უფრო დიდ ზომით კატეგორიაში შემავალი საწარმოებისთვის ნებადართული სტანდარტი. ფინანსური ანგარიშგებები და შესაბამისი დოკუმენტები ინახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან 6 წლის განმავლობაში. კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა ან/და აუდიტორული შემოწმების ჩატარებისათვის თავისარიდება გამოიწვევს სუბიექტის დაჯარიმებას

- მეოთხე კატეგორიის საწარმოსი – 500 ლარის ოდენობით;
- მესამე კატეგორიის საწარმოსი – 1 000 ლარის ოდენობით;
- მეორე კატეგორიის საწარმოსი – 5 000 ლარის ოდენობით;
- პირველი კატეგორიის საწარმოსი და სდპ-ისა – 10 000 ლარის ოდენობით

დაკისრებული ჯარიმების 1 თვის ვადაში გადაუხდელობა გამოიწვევს მათ გაორმაგებას. ზედამხედველი პასუხისმგებელია სხვადასხვა კატეგორიის საწარმოების აუდიტორების ზედამხედველობაზე. აღნიშნულის ფარგლებში ზედამხედველს მოეთხოვება თითოეული რეგისტრირებული აუდიტორის/აუდიტორული ფირმის ხარისხის კონტროლის მონიტორინგი. SARAS-ი აფასებს აუდიტორული ფირმების სისტემებს, პოლიტიკას და პროცედურებს საქართველოს კანონის ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. SARAS-ი ასევე ამოწმებს აუდიტორული ფირმის უნარებს, სიფრთხილეს და კეთილსინდისიერებას აუდიტის განხორციელების პროცესში მომზადებული აუდიტის ინდივიდუალური ფაილების შეფასებით. კერძოდ, აუდიტორული ფირმების/აუდიტორების აუდიტის ხარისხის კუთხით არსებული მდგომარეობის გამოსავლენად ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური ახორციელებს ხარისხის კონტროლის

სისტემის მონიტორინგს, სრულად ან თემატურად.

ხარისხის კონტროლის სისტემის სრული მონიტორინგი მოიცავს სავალდებულო და რისკზე დაფუძნებულ მონიტორინგს. სავალდებულო მონიტორინგს ექვემდებარება სდპ-ებისა და I კატეგორიის საწარმოების აუდიტორული ფირმები და I კატეგორიის საწარმოების ინდივიდუალური აუდიტორები არაუმეტეს 3 წელიწადში ერთხელ. ხოლო ყველა აუდიტორული ფირმა და ინდივიდუალური აუდიტორი, გარდა სდპ-ების და I კატეგორიის საწარმოების აუდიტორული ფირმებისა და I კატეგორიის საწარმოების ინდივიდუალური აუდიტორებისა - არაუმეტეს 6 წელიწადში ერთხელ. მონიტორინგის დაწყება სამსახურის ინიციატივით შეიძლება მოხდეს მოულოდნელად, ნებისმიერ დროს, რისკის შეფასებიდან გამომდინარე. მონიტორინგის დაწყება აუდიტორის/აუდიტორული ფირმის ინიციატივით შეიძლება განხორციელდეს განცხადების დაკმაყოფილების ან განცხადებაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილებით, რომელიც მიიღება მონიტორინგის განხორციელების წესის მე-7 მუხლის პირველი და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებულ ვადებში. სამსახურის მიერ მონიტორინგის დაწყებისთანავე, როგორც წესი, მონიტორინგს დაქვემდებარებულ ყველა აუდიტორულ ფირმას/აუდიტორს ეგზავნება წერილობითი მოთხოვნა, განხორციელებული/ მიმდინარე გარიგებების სრული სიის წარმოდგენასთან დაკავშირებით. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, აუდიტორი/ აუდიტორული ფირმა ვალდებულია წარადგინოს სამსახურის მიერ მონიტორინგისათვის მოთხოვნილი საჭირო ინფორმაცია და დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში (კერძოდ, თუ აუდიტორის/ აუდიტორული ფირმის მიერ არ იქნება წარმოდგენილი ან არასრული ფორმით იქნება წარმოდგენილი სამსახურის მიერ მოთხოვნილიინფორმაციადადოკუმენტაცია) სამსახური ვალდებული იქნება, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის VII თავის მოთხოვნათა შესაბამისად, კანონისა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მოთხოვნების დარღვევისათვის აუდიტორის/ აუდიტორული ფირმის მიმართ გამოიყენოს კანონმდებლობით განსაზღვრული სანქცია. რისკზე დაფუძნებული მონიტორინგი შეიძლება ასევე განხორციელდეს ისეთ აუდიტორულ ფირმებში/ აუდიტორებთან, რომლებმაც უკვე გაიარეს სავალდებულო სრული მონიტორინგი, მაგრამ შემდგომ გამოიკვეთა ისეთი გარემოებები, რომელიც მიანიშნებს, რომ აუდიტორული ფირმის/ აუდიტორის მიერ გაწეული აუდიტორული მომსახურების ხარისხი შეიძლება აღარ შეესაბამებოდეს მისთვის მინიჭებულ ხარისხობრივ კატეგორიას.

ხარისხის კონტროლის სისტემის თემატური მონიტორინგი შეეხება ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტ (ხკსს) (ISQC) 1-ს, მონიტორინგის (შიდა მონიტორინგი) ელემენტის დანერგვისა და მისი ფუნქციონირების შემოწმებას. აღნიშნული მონიტორინგის განხორციელება იგეგმება იმ აუდიტორულ ფირმებში/ აუდიტორებთან, რომლებმაც უკვე გაიარეს სრული მონიტორინგი; თემატური მონიტორინგი მოიცავს: ხარისხის კონტროლის სისტემის იმ ცალკეულ ელემენტებს, შერჩეულ გარიგებებს და საქმიანობის წარმართვის სხვა სფეროებს, რაც სამსახურის მიერ განსაზღვრულია რისკის მატარებლად მონიტორინგის შედეგად აუდიტორისათვის/აუდიტორული ფირმისათვის/გარიგების პარტნიორისათვის მიცემული შესასრულებელი ღონისძიებების შესრულების დროს.

დასკვნა: ამრიგად, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური საქართველოში პასუხისმგებელია ანგა-რიშვალდებული საწარმოების აუდიტორების ზედამხედველობაზე. აღნიშნულის ფარგლებში მას მოეთხოვება თითოეული რეგისტრირებული აუდიტორული ფირმის ხარისხის შეფასება. ზედამხედველი აფასებს აუდიტორული ფირმების სისტემებს, პოლიტიკას და პროცედურებს კანონის, აუდიტის და მარწმუნებელი მომსახურების სტანდარტების შესაბამისად. ის ასევე ამოწმებს აუდიტორული ფირმის უნარებს, სიფრთხილეს და კეთილსინდისიერებას, აუდიტის განხორციელების პროცესში მომზადებული, აუდიტის ინდივიდუალური ფაილების შეფასებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. რუსიაშვილი გ. გეგეშიძე ე. გეგენავა ლ. აუდიტის ხარისხი თბ. 2019
2. ჯარეთ დეკერი, ინვესტორთა დაცვა აუდიტის ზედამხედველობის საშუალებით თბ. 25 ოქტომბერი 2018.
3. www.saras.gov.ge
4. www.reportal.ge

რეზიუმე

ფინანსური ინფორმაცია უნდა იყოს შესაბამისი, დროული და საიმედო, რათა დააკმაყოფილოს მომხმარებელთა მოთხოვნილებები. ეროვნული კანონმდებლობა, ასევე სამეურნეო სუბიექტის დაინტერესებული მხარეები ხშირად მოითხოვენ ფინანსური ინფორმაციის გარკვეული ელემენტების გარე აუდიტის ჩატარებას, რათა მომხმარებლებს შეუქმნან იმის რწმენა, რომ შესაძლებელია ამ ინფორმაციის ნდობა.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური საქართველოში პასუხისმგებელია ანგარიშვალდებული საწარმოების აუდიტორების ზედამხედველობაზე. აღნიშნულის ფარგლებში მას მოეთხოვება თითოეული რეგისტრირებული აუდიტორული ფირმის ხარისხის შეფასება. ზედამხედველი აფასებს აუდიტორული ფირმების სისტემებს, პოლიტიკას და პროცედურებს კანონის, აუდიტის და მარწმუნებელი მომსახურების სტანდარტების შესაბამისად. ის ასევე ამოწმებს აუდიტორული ფირმის უნარებს, სიფრთხილეს და კეთილსინდისიერებას, აუდიტის განხორციელების პროცესში მომზადებული, აუდიტის ინდივიდუალური ფაილების შეფასებით.

SUMMARY

Accounting reporting and audit Supervision Department in Georgia, is responsible for auditors supervisien . Within this framework they will be required to prase each registered audit firm Quality Reviews. Superintendent evaluates audit firms systems, Policy and procedures. It also checks the audit firm skills, Precautions and good conscience, Audit the implementation process of the prepared audit individual files estimates.

სახელმწიფოს ეკონომიკური როლი ადგილობრივი ბიზნესის განვითარებაში

თამარ ლომიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

სტატიაში განხილულია სახელმწიფოს ეკონომიკის განვითარების მექანიზმები და მცირე ბიზნესის ხელშემწყობი პროგრამები.

ეკონომიკის განვითარებაში მცირე და საშუალო საწარმოები, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, რომელიც წარმოადგენს ეკონომიკის ქვაკუთხედს, დასაქმებასა და სამუშაო ადგილების შექმნაში. ძლიერი და განვითარებული სამეწარმეო სექტორი ხელსუწყობს, თანამედროვე კულტურის შექმნას.

საქართველოს მთავრობა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მცირე და საშუალო მეწარმეობას, რაც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს გრძელვადიანი პერსპექტივების განსაზღვრაში.

მეწარმეობის განვითარება საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს მთავრობამ მნიშვნელოვანი რეფორმები განახორციელა, რომელთა მიზანს წარმოადგენს ბიზნესის კეთება და უცხოური ინვესტორებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა. ამ რეფორმების განხორციელების შედეგად, საქართველოს მთავრობამ მაღალნიშნულს მიაღწია, სამეწარმეო საქმიანობის განვითარების მხრივ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა პროგრამა "აწარმოე საქართველოში", რომლის მიზანს წარმოადგენს ახალი საწარმოების შექმნა, არსებულის გაფართოება და სამეწარმეო კულტურის განვითარება.

მიკრო და მცირე ბიზნესის მხარდამჭერი კომპონენტი ხელს უწყობს რეგიონული მოსახლეობის გააქტიურებას, სამუშაო ადგილების შექმნას და მოსახლეობის უმუშევრობის შემცირებას. ეს ყოველივე კი, დადებითად მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე.

საკვანძო სიტყვები: სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში, მცირე და საშუალო საწარმოები, სახელმწიფო პროგრამა, ბიზნესის განვითარება.

სახელმწიფომ ეკონომიკური როლის განსაზღვრისას, აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს მოცემული ქვეყნის სპეციფიკური თავისებურებების ერთობლიობა, მისი ტრადიციები და თანამედროვე პირობები. უწინარეს ყოვლისა, გათვალისწინებული უნდა იქნას, თანამედროვე მსოფლიო განვითარების ახალი ცივილიზაციის ჩამოყალიბების ზოგადი ტენდენციები, რომლის მსვლელობაშიც არსებითად თუ არა, ძირეულად იცვლება სახელმწიფოს ეკონომიკური როლი. საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრობლემების საერთო კომპლექსში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უნდა დაეთმოს, ინოვაციურ-ტექნოლოგიური პოტენციალის განვითარებისა და მისი ეფექტური სახელმწიფო მხარდაჭერის საკითხს, რადგან ქვეყნის წინაშე მდგარი ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სამეცნიერო და საინჟინრო ტექნოლოგიური საქმიანობის მკვეთრ გაუმჯობესებაზე.[თეთრუაშვილი, ქარდავა 2006, თ.1, N1.1]

სახელმწიფოს ეკონომიკური როლის შეფასებისთვის, აუცილებელია ეკონომიკური ძალაუფლების ცნების გარკვევა. ეკონომიკური ძალაუფლების ცნების ქვეშ იგულისხმება, ცალკეული ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის უნარი და შესაძლებლობა, ეკონომიკური საშუალებების გამოყენებით ზემოქმედება მოახდინოს სხვა ადამიანზე, ადამიანთა ჯგუფზე ან მთელ საზოგადოებაზე, მათი მოქმედების საკუთარი ინტერესებისადმი დაქვემდებარების მიზნით.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკონომიკური ძალაუფლების კონცენტრაციის საკითხი. ეკონომიკის ფუნქციონირების პრაქტიკული გამოცდილება ადასტურებს, რომ სახელმწიფოს ხელში ძალიან დიდი ეკონომიკური ძალაუფლების თავმოყრაა.

ეკონომიკა არის რთული და მრავალპლანიანი წარმონაქმნი, როგორც საზოგადოებრივი ორგანიზმის ქვესისტემა, რომელიც შედგება მრავალრიცხოვანი და ასევე, ერთმანეთთან გარკვეულ კონკურენციაში მყოფი ელემენტებისაგან.

სახელმწიფო და მისი ეკონომიკური შინაარსი ისტორიული მოცემულობაა,

რაც გულისხმობს, მათ განსხვავებულ ინტერპრეტაციას ცალკეულ ეპოქათა საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ეკონო-მიკური, სოციალური და ა.შ. რეალობის კონცენტრაციაში. შუა საუკუნეებში, სახელმწიფო უფრო უფლებამოსილებით იყო აღჭურვილი. მის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა, მოქალაქეთა ქონებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა. კორპორაციული კაპიტალიზმის ფორმირებასთან ერთად შეიცვალა სახელმწიფოს როლი, მისი გაფართოებისა და წინა სტადიასთან შედარებით გაძლიერების თვალსაზრისით.[მიმინოშვილი 2014.11]

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის და ეკონომიკური სტრუქტურის ერთობლიობისათვის მნიშ-ვნელოვანია დინამიზმი, მოქნილობა, ინოვაციური პოტენციალი, რაც უზრუნველყოფს ეკონომიკურ ზრდას და ახალ სამუშაო ადგილებს.

კაპიტალი წარმოების ფაქტორია. ამიტომ საზოგადოებას შეუძლია, მის ხელთ არსებული კაპიტალის რაოდენობის შეცვლა. თუ ეკონომიკა, დღეს ახალი კაპიტალის საქონლის დიდ რაოდენობას აწარმოებს, ხვალ მას უფრო დიდი მარაგი ექნება და შეეძლება ყველა ტიპის საქონლისა და მომსახურების დიდი რაოდენობა აწარმოოს.

ამგვარად, მომავალი მწარმოებლურობის ზრდის ერთ-ერთი საშუალებაა, დღევანდელი რესურსების მეტი რაოდენობის ინვესტირებაკაპიტალის წარმოებაში. ვინაიდან, რესურსები შეზღუდულია, კაპიტალის წარმოებისათვის მეტი რესურსების დათმობა მოითხოვს, მიმდინარე მოხმარებისთვის საჭირო საქონელსა და მომსახურების წარმოებისათვის ნაკლები რესურსების დათმობას.

თავისუფალი და სწრაფად განვითარებადია ეკონომიკა, როცა ნაკლებად ერევა მთავრობა ეკონომიკაში, თუმცა არსებობს რიგი ფუნქციები, რომელიც სწორედ სახელმწიფომ უნდა იტვირთოს, რადგან კერძო ბიზნესს ამ ფუნქციების შესრულება გაუჭირდება. [პაპავა 2015.17]

თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში, სახელმწიფო ხელმძღვანელობს და მართავს ეკონომიკური საქმიანობის ტემპს, უზრუნველყოფს ეკონომიკის ზრდას, დასაქმების მაღალ დონეს და ფასების სტაბილურობას.

ჯანსაღი ეკონომიკური გარემოს ჩამოყალიბებისათვის სახელმწიფო უნდა იყოს ნეიტრალური, მან არ უნდა მისცეს უპირატესობა რომელიმეს, რადგან ქვეყნის წინაშე მდგარი ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტა, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სწორი გადაწყვეტილების მიღებაზე.[პაპავა 2015. 27]

მცირე, მიკრო და საშუალო ზომის საწარმოები წარმოადგენენ აბსოლიტურ პროპორცას ევროკავშირის სამეწარმეო სტრუქტურაში, რაც ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას, სამუშაო ადგილების შექმნას და ინოვაციას. ასევე, მცირე და საშუალო საწარმოები ხელს უწყობენ, საზოგადოების ცხოვრების დონის ამაღლებას, ეკონომიკური საქმიანობის სტიმულირებას, მომხმარებლისთვის შეთავაზებული პროდუქციის მრავალფეროვნებასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

სახელმწიფოს ხელშემწყობი მექანიზმები მცირე და საშუალო ბიზნესზე.

მცირე და საშუალო საწარმოები მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ, ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში, რაც ეკონომიკის განვითარების საფუძველია.

მრავალი მეცნიერი მიიჩნევს, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის თვისება მრავალფეროვანია. მცირე და საშუალო საწარმოების წახალისება, უნდა ეფუძნებოდეს საერთო განსაზღვრებას, ეფექტურობის ზრდის მიზნით. ეს არის აუცილებელი, რადგან ეროვნულ ღონისძიებათა გააქტიურებასთან დაკავშირებული ევროკავშირის ქვეყნები, რომლებიც საჭიროებენ რეგიონებში მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერას, როგორიცაა რეგიონალური განვითარება და ფინანსების მოძიება. [მიმინოშვილი 2014.23]

ბიზნესის განვითარება ნებისმიერ ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია. დიდი მნიშვნელობა აქვს, ბიზნესის გარემოს ფაქტორების მოქმედების ხარისხს და ბიზნესის განვითარების დონეს.

საქართველოს ეკონომიკური გარემო ფასდება სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ ყოველწლიურად. საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებები ეფუძნება ძირითად ანგარიშებს, ახალ კანონებს და საკანონმდებლო ცვლილებების ანალიზს. ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობისა და ბიზნეს-გარემოს შესახებ, მნიშვნელოვან

ინფორმაციას თავად ბიზნესმენები ფლობენ, ისინი ყველაზე კარგად აფასებენ არსებულ გარემოს.

ეკონომიკური პოლიტიკა ქმნის ახალ შესაძლებლობებს, ადგილობრივი და უცხოური ინვესტორებისთვის, დაიწყონ და განავითარონ ბიზნესი საქართველოში. ამ შესაძლებლობებით ბევრმა ისარგებლა, სხვებს ექნებათ შესაძლებლობა, არა მხოლოდ მიიღონ სარგებელი, არამედ მათ მიერ მიღებული მოგება, სხვებსაც გაუზიარონ. მაგალითად, გაზარდონ ბიზნესი და შექმნან ახალი სამეურნეო ადგილები. ამ პროცესს კი, სჭირდება მთავრობისგან ხელშეწყობა. ისეთი სამთავრობო პროგრამა, როგორიცაა "აწარმოე საქართველოში" წარმოადგენს ხელშეწყობის მაგალითს.

2014 წლის ივნისში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად დაიწყო ახალი სახელმწიფო პროგრამა "აწარმოე საქართველოში". პროგრამის მიზანია, საქართველოში სამეწარმეო კულტურის განვითარება, ახალი საწარმოების ჩამოყალიბების სტიმულირებით და არსებული საწარმოების გაფართოების ხელშეწყობა.

"საქართველოში არის იმის რესურსი, რომ ჩვენ თვითონ ვაწარმოოთ პროდუქცია და არ გვიწევდეს აბსოლუტურად ყველა პროდუქტის შემოტანა უცხო ქვეყნიდან. არ არის დასამალი, რომ ხშირად შემოდის დაბალ ხარისხიანი ან მეტიც, უხარისხო პროდუქტი და ეს ხდება იმ ქვეყნებში, რომელიც ყოველთვის განთქმული იყო სხვაზე, რომ არაფერი თქვათ, თუნდაც მაღალხარისხიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტით. ჩვენ პროდუქტის წარმოებას უნდა შევუწყოთ ხელი, აი ეს უნდა წავახალისოთ". განაცხადა ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პროგრამის მიზანს წარმოადგენს, ხელის შეწყობა ყველა მეწარმესათვის, რომელიც გადაწყვეტს ახალი საწარმოს შექმნას. თავდაპირველად, დახმარება გაეწევათ და თითქოს უსასყიდლოდ სიმბოლურ ფასად გადაეცემათ ამორტიზირებული შენობა-ნაგებობები, მიეცემათ შეღავათიანი გრძელვადიანი სესხები ძალიან დაბალ პროცენტში, დახმარება გაეწევათ, შესაბამისი ტექნიკური საშუალებების მოძიებაში, შესყიდვაში, საწარმოების გამართვაში. პროგრამა გათვლილია მხოლოდ, ახალი საწარმოების შექმნაზე.

"აწარმოე საქართველოში" არის ინიციატივა, რომლითაც სახელმწიფო პასუხობს ქართული მეწარმეობის განვითარების ყველა გამწვევას და ხელმისაწვდომს ხდის ბიზნესისთვის ფინანსებს, ქონებას, ინფრასტრუქტურას, ტექნოლოგიებს და ცოდნას.

პროგრამის უპირატესობა, სისტემურ მიდგომაში მდგომარეობს, ვინაიდან მეწარმეს ეძლევა შანსი ისარგებლოს შეღავათიანი სესხით, საკონსულტაციო და მარკეტინგული მხარდაჭერით. ასევე აღსანიშნავია, რომ რეგიონებში წამოწყებული ბიზნესი განსაკუთრებული შეღავათით ისარგებლებს.

პროგრამაში მონაწილეობის მსურველი მეწარმე სუბიექტი, ხელმისაწვდომობის კომპონენტის ფარგლებში, მიმართავს კომერციულ ბანკს, რომელიც "აწარმოე საქართველოში" პროგრამის პირობებით და საკუთარი შეფასების კრიტერიუმების მიხედვით ახდენს კრედიტის დამტკიცებას.

სახელმწიფოს ბიუჯეტში შემოსული გადასახადების გაზრდილი ოდენობა, ქვეყნის ეკონომიკის ზრდის ერთ-ერთი მაჩვენებელია.

გადახდილი გადასახადების მიმართულებით, რომ მოვახდინოთ შეფასება პროგრამის პირდაპირი ეფექტის და მოვახდინოთ ასევე, მობილიზებული გადასახადების რაოდენობის იდენტიფიკაცია, მაშინ სტარტაპების შემთხვევაში გადახდილი გადასახადების სრული ნაწილი ჩაითვლება გადახდილად, ხოლო გაფართოების შემთხვევაში, პროგრამის წილი შემდეგნაირად დაიყო: დადგინდა პროგრამის ფარგლებში მიღებული სესხების თანაფართობა, წლის ბოლოს კომპანიის მთლიან აქტივებში. რაც შეეხება, ბენეფიციარების მიერ მიღებული სუბსიდიები და გადახდილი გადასახადები 2014-2017 წლებისთვის, რადგან 2018 წლის ინფორმაცია არასრულია დაუმთავრებელი, აქედან გამომდინარე, მიმღებული სუბსიდია 17,6 მლნ და გადახდილი გადასახადები 42,5 მლნ.

"აწარმოე საქართველოში-ბიზნესის" მიმართულების ერთ-ერთი მიზანია, საქართველოში მეწარმეობის განვითარება, მეწარმის მხარდაჭერა, ახალი საწარმოების შექმნისა და არსებული საწარმოს გაფართოების ან გადაიარაღების ხელშეწყობა. სააგენტოს მთავარი მისია ქართული საწარმოების მხარდაჭერაში მოგების გაზრდასა და გლობალური კონკურენტუნარიანობის განვითარებაში მდგომარეობს.

.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. პაპავა ი. (2015). ბიზნეს გარემო და სახელმწიფოს როლი მის გაუმჯობესებაში. ავტორეფერატი ხელნაწერის უფლებით. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტი. თბილისი. გვ 17,27.
2. თეთრუაშვილი ზ. თეთრუაშვილი, ქარდავა მ. (2006). ეკონომიკური დემოკრატია და მისი განვითარების საკითხები საქართველოში. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. ეკონომიკა. თბილისი.|http://www.nplg.gov.ge|
3. თეთრუაშვილი ზ. თეთრუაშვილი, ქარდავა მ. (2006).საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფინანსურ-ეკონომიკური ფაქტორები და მისი რეგულირების მექანიზმები საბაზრო ურთიერთობის ფორმირების პირობებში. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო შიდა ქართლის საერთო უნივერსიტეტი. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. ეკონომიკა. თბილისი .თ. 1, N 1.1.|http://www.nplg.gov.ge|
4 მიმინოშვილი თ. (2014). სახელმწიფოსა და ბიზნესის ურთიერთობის მექანიზმი და მისი განვითარების პერსპექტივები. საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი. თბილისი გვ 11,23
5 ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში. (2015). სახელმწიფო საწარმოების მართვა და განკარგვა.სახელმწიფო აუდიტის სამსახური. ნომერი: 17|00|ბოლო ნახვა 6 სექტემბერი, 2019|. www.sao.ge
6 http // www. enterprisegeorgia. gov.ge/ka|ექსპორტის მხარდაჭერა|ბოლო ნახვა 6 სექტემბერი, 2019|.

რეზიუმე

დასასრულს შეგვიძლია ვთქვათ, რომ სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ეკონომიკის განვითარებაში. მთავრობის სწორი ეკონომიკური პოლიტიკა, მნიშვნელოვან როლს ასრულებს, ქვეყნის სოციალური პრობლემების მოგვარებაში და გრძელვადიანი პერსპექტივების განსაზღვრაში.

ეკონომიკური პოლიტიკა, ადგილობრივ და უცხოელ ინვესტორებს ახალ შესაძლებლობებს უქმნის საქართველოში, როგორიცა ბიზნესის წამოწყება და განვითარებას. ბიზნეს განვითარება, ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია. კარგი ეკონომიკური გარემოს შესაქმნელად, მთავრობა უნდა იყოს ნეიტრალური და მიუკერძოებელი, ზოგიერთ შემთხვევაში, ასევე მოქმედებს, როგორც ფასილიკატორი ეკონომიკური სტაბილურობისა და უსაფრთხოების განვითარებისათვის.

საქართველო განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყანა, რომელსაც შესწევს უნარი მიაღწიოს ეკონომიკური ზრდის მაღალ ნიშნულს.

საქართველოს არის მდიდარი რესურსებით, ამ რესურსების სწორი მოხმარება კი უზრუნველყოფს დასაქმებას, საკუთარი ინოვაციური იდეების განხორციელებასა და უმუშევრობის შემცირებას.

«აწარმოე საქართველოში» არის ინიციატივა, რომელიც უზრუნველყოფს ადგილობრივი რესურსების აქტიურ გამოყენებას, რაც ხელს უწყობს ეკონომიკის გაუმჯობესებას. ამის განხორციელებაში, კი ეხმარება სახელმწიფო ფინანსებით, მომსახურებითა და ინფრასტრუქტურით.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს პროექტი წარმოადგენს წინგადადგმულ ნაბიჯს, ჩვენი ქვეყნის განვითარების.

SUMMARY

ECONOMIC ROLE OF STATE FOR LOCALBUSINESS DEVELOPMENT

Tamar Lomidze
Phdstudent
Georgian Technical University

State takes an important place in the development of economy. Proper economic policy of Government carries out an important role in resolving the social problems of our country and defining long-term prospects.

Economic policy creates real opportunities for local and foreign investors to starts and develop businesses in Georgia Business development is an important factor in economic and social development of thecountry.In order to create a good economic environment government must be neutral and important. In some cases there is also acting as facilitator for economic stability and security development.Georgia is a developing economic country which has ability to reach the high level of economic increasing. Georgia is rich with resources. To use these resources correctlyproudemployment also to proper innovative ideas and reduction of unemployment.

There is an initiative in «produce in Georgia»which provides to be local resources that promote to improve economic.

In enter to carry out this, the state helps them with finances, servicing and infrastructure.

Based on the above, we can say that this project represents a step around for our country›s development.

.

Keywords: The role of the state in the economy, Enterprises, The state program, Business Development.

Refernces

1. Papava.I.(2015) Biznes garemo da saxelmwifos roli mis gaumjobesebashi. Avtoreferati xelnaweris uflebit. saqarTvelos teqnikuri universiteti. pp 17,27 [The Business Environment and the Role of the State in Improving. Copyright with the Right of Manuscript. Georgian Technical University] (in Georgian)
2. Tetruashvili z. tetruashvili-kardava m. (2006). Ekonomikuri demokratia da misi ganvitarebis sakitxebi saqartveloshi. saqartvelos parlamentis erovnuli biblioteka. Ekonomika.[Economic Democracy and its Development Issues in Georgia. National Parliamentary Library of Georgia. Economic.]|http://www.nplg.gov.ge|(in Georgian)
3. Tetruashvili z. tetruashvili-kardava m. (2006). saqartvelos ekonomikuri usafrtxoebis uzrunvelyofis finansur-ekonomikuri faqtorebi da misi regulirebis meqanizmebi sabazro urtiertobis formirebis pirobebshi. Saqartvelos ganatlebisa da mecnierebis saministroshi da qartlis saero universiteti. Saqartvelos parlamentis erovnuli biblioteka. Ekonomika N1.1 [Financial-Economic Factors of Georgia's Economic Security and its Regulation Mechanisms in the Context of Market Relations Formation.Ministry of Education and Science of Georgia Shidakartli University. National Parliamentary Library of Georgia. Economic.]|http://www.nplg.gov.ge|(in Georgian)
4. Miminoshvili t. (2014). Saxelmwifosa da biznesis urtiertobis meqanizmi da misi ganvitarebis perspeqtivebi. Saqartvelos sapatriarqos wminda andria pirvelwodebulis saxelobis qartuli universiteti pp 11,23 [Mechanism of State-Business Relations and its Development Prospects. St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia] (in Georgian)
5. Efeqtianobis auditis angarishi.(2015) saxelmwifo sawarmoebis martvis da gankargvis efeqtianobis auditi. Saxelmwifo auditis samsaxuri N 17|00 [Performance Audit Report.Management and Disposal of State-Owned Enterprises. State Audit Office N 17|00| Last seen 6 September, 2019].(in Georgian)
6. Eksportis mxardachera. http // www. enterprisegeorgia. gov.ge/ka|Suppor for Export|last seen 6 September, 2019|.(in Georgian)

სოფლის მეურნეობის ადგილობრივი პროდუქციის წარმოების სტიმულირების სახელმწიფოებრივი პოლიტიკა

თამთა უთნელიშვილი
საქართველოსტექნიკურიუნივერსიტეტისდოქტორანტი

სტატიაში განხილულია სოფლის მეურნეობის ადგილობრივი პროდუქციის წარმოების ხელშემწყობი პროგრამები. მათ შორის - მასტიმულირებელი საერთაშორისო გამოფენები. ამ მხრივ, უპირველეს ყოვლისა, გადამწყვეტი როლი აკისრია საერთაშორისო გამოფენებისა და სავაჭრომისიების ორგანიზებას, უცხოელი მყიდველების დაკავშირებას ქართველ მწარმოებ¬ლებთან, სავაჭრო პლატფორმას. სტატიაში გამოვლენილია უპირატესობები და ღონისძიებები ხელსაყრელი შედეგების მისაღწევად. სახელმწიფოს მასტიმულირებელი პოლიტიკის გარეშე რთულია სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი წარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება, მიუხედა¬ვად წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის სირთულის, მაღალი ფონდტევადობის და კაპიტალდაბანდებების მაღალი რისკის.

საქართველოში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თანამედროვე საბაზრო კონკურენციისა და სამომხმარებლო პირობებში სოფლის მეურნეობის ადგილობრივი პროდუქციის სტიმულირება. აღნიშნულ საკი-თხთან დაკავშირებით საგულისხმოა, კახეთის საერთაშორისო რეგიონულ საინვესტიციო ფორუმზე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ნათია თურნავას განცხადება ორი მიმართულებით: იმპორტის ჩანაცვლების კომპონენტის დამატებით სახელმწიფო პროგრამებში და ადგილობრივი წარმოების დაცვა ვაჭრობის სამართლიანი წესებით. შედეგად, მოხდება იმპორტირებული პროდუქციის ქართული პროდუქციით ჩანაცვლება, გაიზრდება ექსპორტი, გაადვილდება გადამამუშავებელი საწარმოების ნედლეულით უზრუნველყოფა და გაუმჯობესდება სოფლად მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

საკვანძო სიტყვები: სოფლის მეურნეობა, ადგილობრივი პროდუქცია, აწარმოე საქართველოში; წარმოების სტიმულირება.

სოფლის მეურნეობა, როგორც ეროვნული მეურნეობის ორგანული ნაწილი თანამედროვე ბაზარზე, საქართველოში სოფლისმეურნეობის ადგილობრივი პროდუქციის სტიმულირების გააქტიურებით, უნდა მოხდეს იმპორტირებული პროდუქციის ქართული პროდუქციით ჩანაცვლება. ამასთან, შესაბამისმა პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა. შესაბამისად, 2013 წლიდან არაერთი პროექტი ხორციელდება საქართველოს მთავრობის მიერ. დღეისთვის სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულია 900-ზე მეტი მოქმედი და 188 ახალი საწარმო, გაშენებულია 6347 ჰა-ზე მეტიმრავალწლოვანიბაღი, სადაცსახელმწიფოს მხრიდან თანადაფინანსება 34 მლნ-ლარს აღწევს. ამიტომ, დღეს მნიშვნელოვანია სოფლის განვითარება საერთაშორისო და ევროპული პრაქტიკის შესაბამისად. აქედან გამომდინარე, კი აქტუალურია ნედლეულის ფასის, ხარისხის სტანდარტების დანერგვა, ადგილწრმოშობის სახელების დაცვა დაპატენტება, სარეკლამო და მარკეტინგულ საქმიანობაში მხარდაჭერა, ფალსიფიკაციისაგან დაცვა, ევროპული სტანდარტების შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნა ნაკლებად შემოსავლიანი რეგიონებისთვის.

სოფლის მეურნეობა უნდა ეფუძნებოდეს სოფლის იდენტობასდატედენციებსინტეგრირებულისტრატეგიებისგათვალისწინებით. საქართვე¬ლოსადაევროკავშირსშორის 2014 წლის 27 ივნისს ხელმოწერილი ასოცირების შესახებ შეთანხმების მე-10 თავის - „სოფლის მეურნეობა და სოფლის განვითარება“ თანახმად, საქართველომ უნდა უზრუნველყოს სოფლის მეურნეობის განვითარებაევროკავშირისპოლიტიკისდასაუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.

ქვეყანაში ჯერკიდევ არარის კონკურენტუნარიანი სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი მრეწველობა, თუმცა ზრდის ტენდენციით ხასიათდება. დარგისმდგრადიგანვითარებისათვის მნიშვნელო-ვანია საექსპორტო პროდუქციის და ბაზრების დივერსიფიკაცია.

აღნიშნული პრობლემის სისტემურ-გადაწყვეტას ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის განვითარების 2015-2020 წლების სტრატეგიის მიმართულებები, როგორები-

ცაა:

* აგრარულსექტორშიდასაქმებულთაკ ონკურენტუნარიანობისამაღ¬ლება;
* ინსტიტუციური განვითარება;
* მელიორაცია და ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლება;
* რეგიონული და დარგობრივი განვითარება;
* სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

სურსათისუვნებლობა, ვეტერინარიადამცენარეთადაცვა.(საქარ-თველოსსოფლისმეურნეობისგანვითარებისსტრატეგია 2015-2020,17-32.)

ასევესაქართველოსსოფლისმეურნეობისსამინისტროსსისტემაშიშემავალიუწყებები. ბოლო პერიოდში შეინიშნება აღნიშნული უწყების მიერ არაერთი ქმედება სოფლის მეურნეობის და ადგილობრივი პროდუქციის სტიმულირებისათვის.

2019წლის 11-14 მარტს, მიღებულ იქნა საქართველოს სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ მსოფლიოს 26 ქვეყნის მეცნიერის ჩართულობით შემუშავებულიდოკუმენტი „აზიურიფაროსანასფიტოსანიტარულირეგ უ¬ლირებისჩარჩოები“ რომში, გაეროსსურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) შტაბბინაში. პროცესის ხელშეწყობის მიზნით, სახელმწიფო შეისყიდის და ასოციაციას გადასცა 2000 ერთეულ მაღალი ეფექტიანობის შესაწამლი აპარატი და უზრუნველყო აგროკონსულტანტების მომსახურება ფერმერთა ჯგუფებისთვის. (სურსათის ეროვნული სააგენტო. ფაროსანას ფიტოსანიტარული რეგულირების ჩარჩოები, 2019)

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ღვინის წარდგენა იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში, კვებისა დასასმელების 44-ე საერთაშორისოგამოფენაზე ,,ოოდეხჟაპან 2019” გაიმართა. გამოფენაში მონაწილეობდნენ: ,,თელიანი ველი“, ,,ბადაგონი“, ,,დუგლაძეების ღვინის კომპანია“, სულ 14 ღვინის მწარმოებელი კომპანია. ,,Foodex Japan”- ში მონაწილეობა იაპონიაში პროდუქციის პოპულარიზაციის, ბაზარზე შესვლის და დამკვიდრების, დისტრიბუტორი იაპონური კომპანიების მოძიების საუკეთესო გზას წარმოადგენს. ქართულმა ღვინომ იაპონიაში ბრილიანტის ჯილდო (Diamond Trophy) მიიღოდამისიექსპორტი 13 %-ითგაიზარდა. ესჯილდო ,,მეღვინეობავაზიანის“ (,,მაყაშვილის ღვინის მარანი“) ღვინომ ,,ქისი 2017“ მოიპოვა. (,, FOODEX JAPAN 2019. “ ,,ჩვენი-სოფელი’’(41) 2, 6.)

აღსანიშნავია, რომ მეფუტკრე ფერმერები და თაფლის მწარმოებლები სსიპ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის შესაძლებლობებს გაეცნენ. ამჟამადლაბორატორიაშისაერთაშორისოდაღიარებულიკვლევე-ბისჩამონათვალშითაფლისუვნებლობის 77 პარამეტრია შესული.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისგანვითარებისსააგენტოსფარგლებშისასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი ,,ჭრელა 2017“-ის წევრებს შესაძლებლობა მიეცათ საკუთარი ტექნიკის გამოყენებით, ადგილზე თვითონ აწარმოონ პირუტყვის საკვების დამზადება, კოოპერაციულ საწარმოში გადაამუშაონ მიღებული რძე და საბოლოო პროდუქტის რეალიზაციის შედეგად მიიღონ გაზრდილი შემოსავალი.

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო ხელსუწყობსსოფლისმეურ-ნეობაშიკონკურენტუნარიანობისამაღ-ლებას, მაღალხარის¬ხიანიპროდუქციისწარ მოებისსტაბილურზრდას, სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას. ,,ერთიანი აგროპროექტის“ პროგრამაში ,,დანერგემომავალში“, ცვლილებებიშევიდა. კერძოდ, ინტენსიური ბაღების მეტ ფართობზე გაშენებისათვის, მიზანშეწონილია დამატებითი მასტიმულირებელი მექანიზმები შეიქმნას. ბაღების კომპონენტში, გასაშენებელი ფართობი1ჰა-ს ნაცვლად 0.5 ჰა-თი განისაზღვრა. ბაღების კომპონენტში, 1 ბენეფიციარზე მაქსიმალური თანადაფინანსების ოდენობა 100 000 ლარის ნაცვლად, 250 000 ლარი გახდა.

მრავალწლოვანიკულტურებისგაშენებისგზით, საქართველოში არსებული სასოფლოსამეურნეო მიწების ეფექტიანი გამოყენების შედეგად, მოხდებაიმპორ-ტირებულიპროდუ ქციისქართულიპროდუქციითჩანაცვ¬ლება, გაიზრდებაექსპორტი, გაადვილდებაგადამამუშავებელი საწარმოების ნედლეულით უზრუნველყოფა და გაუმჯობესდება სოფლად მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

ზემოაღნიშნულიდან შეიძლება ითქვას, რომ ძალზე მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის სტრატეგიის მიმართულებების და შესაბამისი მხარდამჭერი უწყებების გავლენა სასოფლო-სამეურნეოდარგებისგანვი¬თა რებაზე.

კონკურენტუნარიანი ადგილობრივი

პროდუქციის სტიმულირება

ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად, მნიშვნელოვანია თუ რა კულტურების დამ-ატებითხელშეწყობამოგვცემდასაშუალებას, იმპორტი ჩაგვენაცვლებინა ადგილობრივი პროდუქციით. აუცილებელიაკონკურენტუ-ლიუპირატესობისგამოვლენათანამედროვე ხილის თუ აგრარული პროდუქტებისათვის, რომელზეც დღეისთვის მაღალი და მზარდი მოთხოვნა ფიქსირდება მსოფლიოში.

თავის მხრივ, გადამამუშავებელი წარ-მოება მიბმულია სოფლის მეურნეობის ად-გილობრივ ნაწარმზე. ადგილობრივი წარ-მოების ხილისა და ბოსტნეულის ბაზარზე მიწოდება ძირითადად სეზონზე ხორციელდ-ება. შესაბამისად სხვა დროს კი მათი იმპორ-ტით ჩანაცვლება ხდება. დიდი მოთხოვნის იმ-პორტით უზრუნველყოფა ფიქსირდება ისეთ სოფლის მეურნეობის და კვების პროდუქტე-ბზე, როგორიცაა: ხორბალი, შაქარი, ხორ-ცი, შინაური ფრინველი, შოკოლადი, მზე-სუმზირის ზეთი, ღორის ხორცი.

ცხრილი 1

	2015	2016	2017	2018
სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამუშავების შედეგად მიღებული მთლიანი პროდუქცია სულ	4512.6	4763.2	5187.2	1217.0
ხორბლის ფქვილი	495.2	482.3	531.5	136.2
საკონდიტრო ნაწარმი	1426.2	1416.7	1529.6	238.3
ხორცის პროდუქტები	189.5	207.1	210.6	40.8
რძის პროდუქტები	652.0	620.7	592.8	180.9
ალკოჰოლური სასმელები	617.0	765.2	999.7	328.4
კვების მრეწველობის სხვა პროდუქტები	1132.6	1271.3	1323.1	292.4

ადგილობრივი მოთხოვნის უზრუნველ-საყოფად საჭიროა ადგილობრივი წარმოების ზრდის ხელშეწყობა, რათა საბაზრო ეკო-ნომიკის პირობებში კონკურენცია გაეწიოს იმპორტულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქ-ციას. უწინარეს ყოვლისა, საყურადღებოა:

საქართველოსადაევროკავშირსშორის 2014 წლის 27 ივნისს ხელმოწერილი ასო-ცირებისშესახებშეთანხმებისმე-10 თავის - ,,სოფლისმეურნეობადასოფლისგანვითა-რება" თანახმად, საქართველომ უნდა უზ-რუნველყოს სოფლის განვითარება ევროკავ-შირის პრაქტიკის შესაბამისად;

მიწებისკონსოლიდაციისუზრუნველყოფა (შედეგად ნაკლები სურსათი შემოვა, ვიდრე გავა);

თანამედროვეტექნოლოგიების, კაპიტალ-ისდა საბაზრო ცოდნის ამაღლება, რაც მო-სავლიანობის ზრდას გამოიწვევს;

სოფლისმეურნეობისკონკურენტუნარი-ანობისზრდა თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვით, ფერმერების უნარების გა-ძლიერებით;

სასოფლო-სამეურნეოწარმოებისსაშუ-ალებებისადა მომსახურების ხელმისაწვ-დომობა, რადგან გაუმართავი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა ზრდის წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებას, აუარე-სებს მოსავლის ხარისხს და ამცირებს წარ-მოების მოცულობას;

საექსპორტო პროდუქციის და ბაზრების შემდგომი დივერსიფიკაცია;

სოფლისმეურნეობის კონკურენტუნარი-ანობის ზრდა, როგორც საქართველოს, ასევე ევროკავშირის ბაზარზე, რისთვისაც მნიშვნელოვანია DCFTA-ითსურსათის უვნე-ბლობის შესახებ აღიარებული ვალდებულე-ბების შესრულება ამ მხრივ მნიშვნელოვანია. ადგილობრივი წარმოების სტიმულირების, ქართულიპროდუქციისშექმნის, მისიხ-არისხის უზრუნველყოფისა და წარმოებაზე ორიენტირებული ინდუსტრიების განვითარების მიზნით სახელმწიფო პროგრამა ,,აწარმოე საქართველო-ში'' დიდ როლს ასრულებს.

აღსანიშნავია, 2019 წელსსააგენ-ტოს ,,აწარმოე საქართველოში" მხ-არდაჭერით, ქართულ კომპანიებს შესაძლებლობა მიეცემათ მონაწ-ილეობა მიიღონ საკვებიდასასმელი-პროდუქციისწამყვანსაერთაშორისო გამოფენებში: SIALCHINA, HOFEX, ANUGAdaFOODINGREDIENTS.(enterprisegeor-gia. gov.ge, ექსპორტის მხარდაჭერა, 2019.)

საბაზრო დარგებიდან კი დღეისთვის ქა-რთულ აგრარულ სექტორში აღსანიშნავია: ლურჯი მოცვი, ზეთისხილი. ლურჯი მოცვის სამრეწველო გაშენების დიდი პოტენციალი აქვს გურიასა და აჭარას.სახელმწიფო მხ-არდაჭერის კუთხით ერთიანი აგროპრო-ექტის კომპონენტის ,,დანერგე მომავალი", ფარგლებში ლურჯი მოცვის კულტურებზე 1-ჰა-ზე სახელმწიფო დაფინანსების მაქსი-მალური ლიმიტი შეადგენს 15 000 ლარს. ლურჯ მოცვზე მაღალიმოთხოვნაა როგორც ადგილობრივ, ასევე საექსპორტო ბაზრებზე.

ამასთან, ადგილობრივი პროდუქციის-სტიმულირებისთვის მნიშვნელოვანიამოსავ-ლის დროულად რეალიზაცია, კენკრის შეს-

ანახი გაგრილების ოთახების გამოყენება.

ზეთისხილის მოყვანასა და წარმოებას პროექტ „დანერგე მომავლის“ ფარგლებში, აფინანსებს საქართველოს მთავრობა. აღნიშნული პროდუქტის დაფინანსება ეხება მხოლოდ კახეთის რეგიონს.

ცხრილი 2

მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობა		
რეგიონი	**პროექტების რაოდენობა**	**გრანტის სახით გაცემული თანხა ლარში**
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	596	4832633
გურია	316	2597951
იმერეთი	870	6066760
კახეთი	632	5622237,2
მცხეთა-მთიანეთი	438	3442570,97
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	702	4103081,9
სამეგრელო-ზემო სვანეთი	914	7033116
სამცხე-ჯავახეთი	800	5703692
ქვემო ქართლი	481	3990020
შიდა ქართლი	463	3530653,4
სულ	**6212**	**46922715,47**

წყარო: პროგრამა აწარმოე საქართველოში

ადგილობრივი პროდუქციის სტიმულირებისათვის აგროწარმოების ხელშეწყობის და შეღავათიანი აგრო კრედიტის პროგრამებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ასევე, ,ახალგაზრდა ფერმერი“ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივია, რომელიც რამდენიმე თვეა, რაც ქარელის რაიონის სოფელ აგარაში ჰოლანდიური ჰოლშტეინებით დაკომპლექტებულ თანამედროვე ფერმას ფლობს. მიმდინარე წლიდან მერძევეობის ფერმა სრული დატვირთვით ამუშავდა. ეს თანამედროვე ფერმა სახელმწიფოსა და დანიელი დონორების დახმარებით შეიქმნა. ფერმას მიეცა 60 ათასი ლარი გრანტი, კოოპერატივის თანამონაწილეობა იყო 10 ათასი ლარი და 100 ათასი ლარის ოდენობის შეღავათიანი აგროკრედიტის აღება დასჭირდა. (კოოპერატივი ,,ახალგაზრდაფერმერი 2019, ,,ჩვენი სოფელი''. 3(42), 10)

სოფლისმეურნეობისპროექტებისმართვისსააგენტომ ,,ერთიანიაგროპროექტის“ ფარგლებშიაჭარაში, ხელვაჩაურისრაიონში, შპს ლიფლუქსმა დაფნის გადამამუშავებელი საწარმო გააფართოვა. პროექტის ჯამურმა ღირებულებამ 13, 000 აშშ დოლარი შეადგიან, აქედან 5,200 აშშ გრანტია დოლარი გრანტია, ხოლო ბენეფიციარის თანამონაწილეობამ 7800 აშშ დოლარი შეადგინა. საწარმო წელიწადში 100-120 ტონა ნედლ დაფნის ფოთოლს გადაამუშავებს. შპს ,,ლიფლუქსში“ დასაქმებულია 22 ადამიანი და ყოველწლიურად 60 ადგილობრივი ფერმერი აბარებს მოსავალს. პროექტი განხორციელდა ,,აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში, ,,სოფლის მეურნეობის მოდენიზაციის, ბაზარზე წვდომის და მოქნილობის პროექტის“ (AMMAR) მხარდაჭერით. (apma.ge,news,2019).

აღნიშნული ღონისძიებების გატარების შედეგადადგილობრივიპროდუქციის სტიმულირებისთვის მნიშვნელოვანია: საერთაშორისო გამოფენებისა დასავაჭრო მისიების ორგანიზება, უცხოელი მყიდველების დაკავშირება ქართველ მწარმოებლებთან, სავაჭრო პლატფორმა.უწინარეს ყოვლისა, სხვადასხვა მეწარმეთა და სამთავრობო სტრუქტურებს შორის კოორდინაცია, ერთობლივი პროექტების განხორციელების მოცულობის გაზრდა. ესხელსშეუწყობსსამთავრობოპროექტებისდაბიუჯეტის შეზღუდული რესურსების ფერმერებისათვის პრიორიტეტული მიმართულებებით დახარჯვას. ამასთან, სტიმულს მისცემს, როგორც ფერმერულ და ბიზნესგაერთიანებების ჩამოყალიბებას, ასევე გაზრდის დარგში ეფექტიანი გადაწყვე-ტილებების მიღების ალბათობას. სახელმწიფოს მიერ საბაზრო და რენტაბელურ ფასს შორის სხვაობის დაფარვა კი მოახდენს სტიმულირებას გადამამუშავებელ დონეზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ,,ჩვენი სოფელი'' (2019). გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობისსამინისტროსყოველ თვიურიგამოცემა 2 (41).გვ 6.
2. ,,ჩვენი სოფელი'' (2019). „კოოპერატივმა ,,ახალგაზრდაფერმერმა“ აგარაშითანამედრ ოვემერძეულიფერმაგახსna“. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

ყოველთვიური გამოცემა 3 (42).გვ 10.
3. ,,ჩვენი სოფელი''. (2019). გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოველთვიური გამოცემა 2(41). გვ2.
4. ნფა.გოვ.გე›მედია-ცენტრი›ახალი-ამბები›სიახლე (2019). „ფაროსანას ფიტოსანიტარული რეგულირების ჩარჩოები რომში განიხილეს.
5. სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2018). საქართველოს სოფლისმეურნეობა. გვ.35-78-82.
6. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020 წწ. გვ.17-32.
7. http || www. enterprisegeorgia. gov.ge |ka| ექსპორტის მხარდაჭერა |ბოლო ნახვა 05.09.2019|.
8. apma.ge|news|view|217 ; |ბოლონახვა 05.09.2019|.
9. www. commersant .ge|ge|post|ბოლონახვა 05.09.2019|.

რეზიუმე

დასასრულ, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინრე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ქვეყნის გარდამავალი ეკონომიკის მიმდინარე ეტაპზე სოფლის მეურნეობის ადგილობრივი წარმოების სტიმულირების მიზნით უნდა მოხდეს:

- სტრატეგულ და პრიორიტეტულ ბაზრებზე გამოფენების ორგანიზება და საქართველოში არსებული სხვადასხვა სექტორის წარმომადგენელი კომპანიების თანადაფინანსება;
- ქართული ექსპორტიორი კომპანიებისთვის წინასწარ შეხვედრების და¬გე¬გმვა, ორგანიზება და თანადაფინანსება ახალიბაზრების დივერსიფიცირების მიზნით;
- უცხოური ბაზრებიდან შემოსული მოთხოვნების შესაბამისად, ქართული კომპანიების და კავშირება მათი პროდუქტების დაინტერესებულ მყიდველებთან;
- საქართველოში შექმნილი პროდუქტების და სერვისების პოპულა-რიზაცია საერთაშორისო ბაზრებზე.

SUMMARY

AGRICULTURAL PRODUCTS TO STIMULATE LOCAL PRODUCTION

Tamta Utnelishvili

The paper considers the local agricultural production promotion programs, including stimulating international exhibitions. Organnizing international exhibitions, trade missions, connecting foreign buyers to the manufactures, trading platform have crucial role in this regard. Benefits and measures for the favorable outcomes are defined.Without stimulating state policy it is difficult to increase competitiveness of agricultural produqtion, Depitethr difficulties of the produced production raelizatsiis high risk investment . In Georgia, stimulation of agricultural local products plays important role in modern market competition. As a result Georgian products imported replacement products, increase exports, ease provision of processing factories with raw materials and improve socio-economic situation of the rural population. Above mentioned question on regional international investment forum of Kakheti and Ministry of Economy and Sustainable Development's statement two directions: In addition to the component of import substitution in the state programs and protection of local production with fair trade rules.

Keywords: Agriculture; Local Products; Enterprise Georgia; Stimulate producing.

მოზარდთა აგრესიული ქცევები

ნაილი ფხიკიძე
ასიისტენტ პროფესორი;
თამარ ქარუმიძე
მაგისტრი

ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესი, პირველ რიგში, სოციალიზაციას გულისხმობს. სოციალური გამოცდილების შეძენით, სხვა ადამიანებთან ურთიერთობების დამყარებით, საკუთარი პოზიციის გამოხატვით, სხვებთან დაპირისპირებით, დამოუკიდებლობის გამოვლენით, საკუთარი თავის "შემოწმებით", შემდგომი საქმიანობის პერსპექტივების დასახვით ბავშვი ზრდასრულ პიროვნებად ყალიბდება.

ბავშვობიდან მოზრდილობაში გადასვლის პროცესი, როგორც წესი, მძაფრად და ზოგჯერ დრამატულადაც მიმდინარეობს. მასში სოციალური განვითარების ურთიერთსაპირისპირო ტენდენციებია გადახლართული. ერთი მხრივ, ამ რთული პერიოდისათვის დამახასიათებელია ნეგატიური გამოვლინებები, – პიროვნების დისჰარმონია, უკვე ჩამოყალიბებული ინტერესების შეცვლა, მოზრდილებთან მიმართებაში პროტესტის გამომხატველი ქცევა და სხვა. მეორე მხრივ, აღსანიშნავია უამრავი დადებითი ფაქტორი – მზარდი დამოუკიდებლობა, ურთიერთობათა მრავალფეროვნება, საქმიანობის სფეროს შეცვლა და გაფართოება, საკუთარი თავისა და სხვების მიმართ პასუხისმგებლობის განვითარება და სხვა.

არასრულწლოვანის მშვიდი, უცვლელად ჰარმონიული, "გაყინული", გარემოსთან მუდმივად შეგუებული არსებობა, პრინციპში, შეუძლებელია. არასრულწლოვანის დინამიურ წონასწორობაშია გარემომცველ სამყაროსთან, რაც მასში მუდმივი ადაპტაციის აუცილებლობას ქმნის. თუ ეს პროცესი წარმატებით მიმდინარეობს, დროის მოცემულ კონკრეტულ მონაკვეთში ადამიანი ჯანმრთელად ითვლება. წინააღმდეგ შემთხვევაში, დეზადაპტაციის სხვადასხვა ფორმები სომატური და ფსიქიკური ხასიათის დაავადებებს, აგრეთვე სოციალურ გადახრებს იწვევს. მოზარდის განვითარების სწორედ ეს პერიოდია მთელი მისი შემდგომი ცხოვრების განმსაზღვრელი. მოზარდის ხასიათი გარკვეული მიკროსოციალური პირობების გავლენით ყალიბდება. თუ საით მიმართავს მოზარდი თავის პოტენციალს, დამოკიდებულია გარემოცვაზე, მისთვის მნიშვნელოვან ადამიანებთან ურთიერთობაზე.

რა უბიძგებს მოზარდს ძალადობის, დანაშაულის გზით წასვლისაკენ? ამ შეკითხვებზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ არსებობს. მიზეზი მრავალია. მათ შორისაა სოციალური ფაქტორები – ძალადობა ოჯახში, აღზრდის დეფიციტი, სოციალური დიფერენციაცია, სიღარიბე, უმუშევრობა, მასობრივი კულტურა (მასმედია) თავისი "მხატვრული" თუ რეალური ძალადობითა და სისასტიკით, დაბალი განათლება, სასკოლო აღზრდის დეფექტები და სხვა. ამასთან, მნიშვნელობა აქვს მოზრდილად ქცევის ფსიქოსოციალური სიძნელეებს (სქესობრივი მომწიფების პერიოდში მომატებული შფოთვა, გუნება-განწყობილების მკვეთრი ცვალებადობა, ფსიქიკის გაუწონასწორებლობა და ა.შ.).

მოზარდთა ქცევაში, რომლებსაც "ძნელ" მოზარდებად" თვლიან, ხშირად აღინიშნება თვითდამკვიდრებისაკენ სწრაფვა მასზე სუსტი თანატოლების ან თუნდაც მოზრდილების ხარჯზე, მათი დაშინების, ძალადობის, იარაღის გამოყენების გზით. ზოგიერთი მოზარდის შემთხვევაში გარემომცველთა დაშინება, შევიწროება, დატერორება ჩვეულებრივ კონკრეტული, ხშირად ღრმად ეგოისტური მიზნების მიღწევასთან არის დაკავშირებული. ასეთ მოზარდებს გააჩნიათ მოთხოვნილებები (მაგალითად, სოციალური აღიარების, დომინირების, მატერიალური, სექსუალური, კომუნიკაციური და ა.შ.), რომელთა დაკმაყოფილება მათთვის მისაწვდომი საშუალებებით არ შეუძლიათ.

ხშირად მშობელს ავიწყდება, რომ მისი შვილი გაიზარდა და მეგობრული რჩევა, ურთიერთდახმარება უფრო ესაჭიროება, ვიდრე კრიტიკული შენიშვნები და ლანძღვა. აღსანიშნავია ისიც, რომ ფსიქომატრავმირებელი გამოთქმები მარტო მშობლებისგან კი არა, არამედ მოზარდის გარემომცველი მასწავლებლებისგან,

ექიმებისგან, მწვრთნელებისგან, ქორეოგრაფებისგან და სხვა უფროსებისგანაც მოდის.

ბავშვთან ურთიერთობაში მოზრდილისთვის მოსახერხებელია ამგვარი პოზიცია: "გითხარი – გააკეთე, არ გააკეთებ – აუცილებლად დაისჯები". ხშირად მშობელს "დრო არ ჰყოფნის" იმისთვის, რომ შვილის განცდებით, მისი პირადი ცხოვრებით დაინტერესდეს. მასწავლებლები პასუხისმგებლობას იხსნიან: "სახლიდან ასეთი მოდის". ასეთ მოზარდებს ზღვარს არავინ უწესებს. ხოლო როცა ბავშვი თავის ნებაზეა მიშვებული, ძალაუფლება "ფარული აღმზრდელების" – ტელევიზიის, აგრესიული კომპიუტერული თამაშების, ინტერნეტის ხელში გადადის.

აღზრდისადმი ასეთი მიდგომით ბავშვი "იკეტება". ის გრძნობს, რომ სამყაროში, რომელიც მის მიმართ მტრულადაა განწყობილი, არ არის ნდობა, სიყვარული, ურთიერთგაგება. ეს პროცესი თანდათანობით მიმდინარეობს. თავდაპირველად არაკეთილგანწყობას ბავშვი უახლოესი გარემოცვიდან გრძნობს. შემდეგ ხდება ამ განწყობის გადატანა, პროექცია ცხოვრების ყველა სფეროზე. ეს დაცვითი პროცესია, რომელიც უწყინარი კი აღარ არის, არამედ პათოლოგიური ხდება. დგება შინაგანი "გამოცარიელება", საკუთარი თავის და მოზრდილებისადმი რწმენის დაკარგვა, სამომავლო პერსპექტივების ნგრევა. ეს მოზარდში ყოველდღიური ოჯახური და სასკოლო ცხოვრებიდან დამოუკიდებელ, საზოგადოებრივად მნიშვნელოვან ცხოვრებაში გაქცევის სურვილს იწვევს; მაგრამ რა არის დამოუკიდებელი, საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი ცხოვრება დევიაციური მოზარდისათვის? ეს არის იმ საზოგადოების ნორმებისა და წესების უარყოფა, რომელიც არ იღებს მას და რომელსაც მისი არ ესმის.

მოზარდთა დანაშაულის ზრდას ხელს უწყობს ოჯახების არასტაბილურობა, ბავშვების უმეთვალყურეოდ დატოვება. აგრესიით ხშირად გამოირჩევიან ბავშვები ასოციალური ოჯახებიდან. ეს იმის გამოა, რომ ბავშვი მუდმივად განიცდის ძალადობას. მასში გროვდება რისხვა, აგრესია, რომელიც თანატოლებზე გადააქვს. ასეთი ბავშვისთვის ძალადობა ჩვეულებრივი მოვლენაა, რომლის დახმარებით ყველა პრობლემის მოგვარება შეიძლება. ამას ემატება ისიც, რომ ასეთი მშობლები არ ზრუნავენ თავიანთ შვილზე. ბავშვი იწყებს ფიქრს, რომ სამყაროში არავის არავინ აღელვებს. ბავშვი არ ფიქრობს ძალადობის შედეგებზე, რადგან მას ეს არ აღელვებს. მან იცის, რომ სხვებსაც არ აღელვებთ მისი ბედი.

დამნაშავეთა შორის ისეთი ბავშვებიც არიან, რომლებიც ნორმალურ ოჯახებში იზრდებიან. აქ გავლენას ახდენს გარემო, რომელშიც ბავშვი იზრდება, ვისთან მეგობრობს, სად ატარებს თავისუფალ დროს. ხშირად გაკვეთილების მერე უსაქმოდ მყოფმა ბავშვებმა არ იციან, რით დასაქმდნენ. ყველაფერი იწყება უხეშობით, სხვისი საკუთრების დაზიანებით, ხოლო მთავრდება ქურდობებით, სხეულებრივი დაზიანებების მიყენებით და მკვლელობით.

რა არის გამოსავალი შექმნილ სიტუაციაში? საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ სადამსჯელო ღონისძიებების გამკაცრებით მოზარდთა შორის ძალადობა, დანაშაულთა რიცხვი შემცირდება. უცხოელ მკვლევართა აზრით, სადამსჯელო ზომების გამკაცრებას, ასაკობრივი ზღვრის შემცირებას, რომლის მიღწევისას პირი დანაშაულის სუბიექტი ხდება, მხოლოდ შეზღუდული ეფექტი აქვთ.

პრობლემის ყველაზე ეფექტური და ჰუმანური გადაწყვეტა მოზარდთა შორის ძალადობის პრევენციაა. მოზარდებთან მეტი კონტაქტია საჭირო, ვიდრე მათზე კონტროლის გაძლიერება. დაფიქრება იმაზე უფრო გვმართებს, თუ როგორ აღიქვამს სამყაროს მოზარდი, რომელმაც მისთვის რთულ პერიოდში პრობლემის მოგვარების ერთადერთ გზად თანატოლზე ძალადობა აირჩია.კონკრეტულად როგორ უნდა მოხდეს პრევენცია, ამასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა. პრევენცია შეიძლება რამდენიმე მიმართულებით განხორციელდეს:

პირველ რიგში, ესაა პედაგოგებთან, სკოლის ფსიქოლოგებთან, სოციალურ მუშაკებთან მუშაობა. მოზარდებთან მათი ურთიერთობა მოზარდობის ასაკის თავისებურებათა, აგრესიული ქცევის მიზეზთა ცოდნას უნდა ემყარებოდეს. სკოლებში სოციალურ-ფსიქოლოგიური მუშაობა გულისხმობს საინტერესო კონკურსების, ვიქტორინების ჩატარებასაც. ეს მუშაობა მიმართული უნდა იყოს მოზარდის თვითშეცნობაზე, შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე, ცხოვრების მიზნების სტრუქტურირებაზე, ჯანსაღი მიზნებისა და

ინტერესების ჩამოყალიბებაზე. ასევე უნდა მოხდეს მოსწავლეთა ჩართვა პროფესიული სწავლების პროგრამებში, სხვადასხვა სპორტულ სექციებსა და წრეებში.

მუშაობის მეორე ძირითადი ბლოკი მიმართული უნდა იყოს თვითონ მოზარდისაკენ, მისი შინაგანი დაძაბულობის მოხსნისაკენ ყოველთვის, როცა უცხო გარემოში აღმოჩნდება. ეს დაძაბულობა შეიძლება გამოწვეული იყოს ურთიერთობის ელემენტარული უნარების არარსებობით, ახლის მიღების შიშით და ა. შ. გამოსავალი ამ სიტუაციიდან მისთვის იქნება სოციალური ნორმებისა და ქცევის წესების მიუღებლობა. გულახდილი საუბრით, შესაბამისი „ანტიაგრესიული ტრენინგებით" მოზარდებმა უნდა ისწავლონ რელაქსაცია, კონფლიქტების მშვიდობიანი გზებით გადაჭრა, საკუთარი აგრესიული იმპულსების მართვა, შიშის, შფოთვის მოხსნა, აითვისონ სხვადასხვა სიტუაციებში ადექვატური ქცევის უნარები. აქ იგულისხმება მუშაობა არა მხოლოდ აგრესორ ან ძალადობის მსხვერპლ მოზარდებთან, არამედ მათთან მეტად თუ ნაკლებად შეხებაში მყოფ ბავშვებთანაც.

მუშაობის მესამე ბლოკი აუცილებლად უნდა იყოს მიმართული მშობლებისკენ. ისინი უნდა გაერკვნენ შექმნილი პრობლემური სიტუაციის მიზეზებში. საჭიროების შემთხვევაში მუშაობა უნდა წარიმართოს საკუთარი შვილების მიმართ დამოკიდებულების შეცვლისაკენ. სწავლების სპეციალური პროგრამებით უნდა მოხდეს მშობლების კომპეტენციის გაუმჯობესება ბავშვის აღზრდის სფეროში.

ბავშვთა და მოზარდთა დანაშაული არის ფენომენი, რომელიც ყველა ბავშვსა და მოზარდს ეხება. მოზარდის ანტიჰუმანურობა, დაუნდობლობა, ეთიკური, ზნეობრივი კრიტერიუმების არარსებობა, უპირველეს ყოვლისა, სოციალური სიმწიფის პრობლემაა, რომლის მოგვარება მთლიანად მოზრდილებზეა დამოკიდებული; და ეს არა მარტო პოლიციელებისა და სოციალური მუშაკების, არამედ მთელი საზოგადოების ამოცანაა.

ბავშვებსა და მოზარდებს შორის ძალადობა, საბოლოო ჯამში, არის რეაქცია იმაზე, რომ მათ ყურადღებას არ აქცევენ და არ აფასებენ. მოზრდილებმა უნდა ისწავლონ ბავშვების აღიარება. საჭიროა მოზარდებთან მეტი კონტაქტი და არა მათზე კონტროლის გაძლიერება.

რეზიუმე

კვლევის საგანია აგრესიის, როგორც არასრულწლოვანთა დანაშაულის ერთ-ერთი მაპროვოცირებელი მიზეზის გამოვლენისა და აგრესიის ფონზე არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა პრევენიის პრობლემა. თემის აქტუალურობა მოზარდებში აგრესიისა და დამნაშავეობის პრობლემა ბოლო დროს მეტად აქტუალური გახდა. განსაკუთრებით გაახალგაზრდავდა მოძალადეთა და ზოგადად დამნაშავეთა ასაკი. იმ ფაქტმა, რომ მოსწავლეები ერთმანეთს ასახიჩრებენ ამ უკიდურეს შემთხვევაში კლავენ კიდეც საზოგადოების შეშფოთება გამოივა. ბოლო წლებში საქართველოში ყველაზე აქტუალური და მტკივნეული თემაა არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაული, რაც გამოწვეულია არასრულწლოვანთა ქცევებში ახალი თავისებურებების ჩამოყალიბებით. კვლევის განმსაზღვრელი საკითხები კვლევის განმსაღვრელ მიმართულებად მიჩნეულია: 1.არასრულწლოვანთა დანაშაულის, როგორც ასეთი ფენომენის განსაზღვრა. მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა. 2.არასრულწლოვანთა დანაშაულის გამომწვევ მიზეზთაგან, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზის - აგრესიის გამოვლენა. აგრესიის განხილვა, როგორც მოზარდა ქცევის მოშლის ერთ-ერთი ფორმა. 3.არასრულწლოვანი დამნაშავეების ზოგადი დახასიათება, იმ ფაქტორების განსაზღვრა, რაც მოზარდში აყალიბებს აგრესიას და შესაბამისად მიმართავს არასრულწლოვანს დანაშაულის ჩადენისაკენ. 4.აგრესიის ფონზე ჩადენილი დანაშაულობები და მათ აღმოსაფხვრელად პრევენციული მექანიზმების შემუშავება. პრევენცია, როგორც არასრულწლოვანთა აგრესიის ფონზე ჩადენილ დანაშაულთა აღმოფხვრისათვის, ასევე უკვე არასრულწლოვანი დამნაშავისგან მოსალოდნელი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილების მიზნით, რაც გულისხმობს არასრულწლოვან დამნაშავეთა პასუხისმგებლობის საკითხს.

.**SUMMARY**

Naili Phkhikidze
Tamar Karumidze

Purpose of study is the problem on revelation of one of the provoking reasons of juvenile delinquency and prevention of juvenile delinquency on the background of aggression. Topicality of community, problem of aggression and culpability of young generation, recently has become more topical. The age of violators and generally criminals has especially lowered. The fact of mutilation by pupils, or at worst even killing each other has even caused astonishment of society. For the last years the most topical and disturbing topic is the crime committed by juveniles caused by the formation of new peculiarities in the conducts of juveniles. Determining issues of study include: 1. Determination of juvenile crime as such a fact, its social importance. 2. Revelation of one of the most important reasons causing juvenile delinquency – aggression. Discussion of aggression as one of the forms of conduct disorder of younger generation. 3. General definition of juvenile delinquency, determination of those factors that form aggression of younger generation and accordingly forces juvenile to commit a crime. 4. Crimes committed on the background of aggression and drawing out preventive mechanisms for the purpose of their elimination. Prevention for the elimination of crimes committed on the background of aggression of juveniles and also, for the avoidance of possible crime of juvenile offender considering responsibility of juvenile offenders.

თანამედროვე ბიზნესის ძირითადი თავისებურებები და ინტერესები

გუგული ყურაშვილი
ასოცირებული პროფესორი,
თამარი დევიძე
ასოცირებული პროფესორი

ბედნიერებაა დაიბადო ქვეყანაში, სადაც შენი ცხოვრების წესს მხოლოდ ღმერთი და ხალხის მიერ შექმნილი კანონები განსაზღვრავს.
ჟან-ჟაკ რუსო

საკვანძო სიტყვები: კონკურენცია, ბიზნესი, საბაზრო ეკონომიკა, სტიმული, ბიზნესმენი, მეწარმე.

ძირითადი შინაარსი

ორგანიზაციის მიერ გადადგმული სტრატეგიული, ეფექტიანი ნაბიჯები კონკურენტებს სტიმულს აძლევს მოკლე დროში განახორციელონ იგივე ცვლილებები. ეს კი ორგანიზაციას აიძულებს ეძებოს ახალი შესაძლებლობები, თუნდაც მცირევადიანი უპირატესობის მოსაპოვებლად. დღეისათვის ბიზნესის გარემო საგრძნობლად შეიცვალა. იგი გახდა უფრო სწრაფი და უფრო კომპლექსური. მენეჯერებს უფრო მეტი პრობლემების გადაჭრა უწევთ შეზღუდულ პერიოდში. ბიზნესის წარმართვა წარმოუდგენელია მუდმივი განვითარების გარეშე. მოქნილობა შეიძლება განისაზღვროს შემდეგნაირად: ეს არის უნარი განსხვავებულ სიტუაციებში ცვლილებების განხორციელების, რაც ორგანიზაციას წარმატებას მოუტანს საბაზრო ეკონომიკის დროს. იგი იჭრება ადამიანთა ცხოვრების ყველა სფეროში დაწყებული მრეწველობიდან დამთავრებული მეცნიერების სფეროთი. თანამედროვე ორგანიზაცია მაშინ არის წარმატებული, თუკი მუდმივად ახერხებს იყოს საინტერესო საზოგადოებისათვის, სასარგებლო კლიენტებისათვის და ამავე დროს ეფექტიანი, როგორც ფინანსური, ისე გრძელვადიანი სიცოცხლისუნარიანობის თვალსაზრისით. სწორედ ამიტომ, თანამედროვე ორგანიზაციების განსხვავება ძველი სტილის ორგანიზაციებისაგან სულ უფრო მკაფიო ხდება: მოქნილობა ცვლილებების განხორციელებაში, ორიგინალობა იდეებში და რაციონალურობა გადაწყვეტილების მიღებასა და აღსრულების პროცესში.

თავდაპირველად, ტერმინი ბიზნესმენი განვმარტოთ. ვინ არის ბიზნესმენი? ზუსტი იურიდიულ განმარტების გარეშე შეიძლება ვთქვათ, რომ ბიზნესმენი არის ყველანაირი ეკონომიკური საქმიანობით დაკავებული ადამიანი.

თანამედროვე ბიზნესისათვის დამახასიათებელია შემდეგი ნიშან-თვისებები:

1.მოგებაზე ორიენტაცია;
2. გონივრული, დასაბუთებული გათვლილი რისკი;
3. ნოვატორობა(ახალი არაორდინალური გადაწყვეტილებების ძიება);
4. შედეგზე პასუხისმგებლობა;
5. ეკონომიკური დამოუკიდებლობა.

ბიზნესისშესახებარსებობსპოზიტიური, კრიტიკული და პრაგმატული კონცეფცია. განუვითარებელი და განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების მეწარმეებსა და ბიზნესმენებს შორის განსხვავების მიზნით გამოყოფენ ინტუიციურ და რაციონალურ ბიზნესს. ინტუიციური ბიზნესი არის სახეობა, რომელიც ემყარება მხოლოდ პიროვნულ თვისებებს. პირად ინტუიციას და გამოცდილებას. ინტუიციური ბიზნესი ფუნქციონირებს საბაზრო ეკონომიკის ფორმირების ან მასზე გადასვლის პირობებში. რაციონალურ (პროცედურულ) ბიზნესს კი საფუძვლად უდევს სტანდარტულ სიტუაციაში გამოსაყენებელი ფორმალური (ოფიციალური) წესები და პროცედურები. რაციონალური ბიზნესი იმყოფება რაციონალურ-პროცედურული მეწარმეობის ჩამოყალიბების სტადიაზე.

საზოგადოებრივი სიმდიდრის სფერო წარმოებაა, ხოლო მისი განვითარების კეთილსასურველი პირობა მეწარმეთა

თავისუფლება და კონკურენცია. თუ მეწარმეს მიეცემა თავისუფლება, იგი დაიწყებს ზრუნვას საკუთარი ინტერესებისათვის და შეეცდება აწარმოოს რაც შეიძლება მეტი და იაფი საქონელი, რითაც მოიგებს თვითონაც და საზოგადოებაც. დოვლათის გამრავლების და ბიზნესის შეუფერხებელი ფუნქციონირების აუცილებელი პირობაა თავისუფლება. სწორედ, ამიტომ, არცთუ იშვიათად, ცნობილი ეკონომისტების აზრით, ბაზრის პირობებში ბიზნესმენი (მეწარმე) თავისუფალი, თავისი საკუთრების სრულუფლებიანი ბატონ-პატრონი და გამგებელია. მეწარმის თავისუფლება უნდა გვესმოდეს როგორც შეცნობილი აუცილებლობა, ვინაიდან მეწარმის თავისუფლება სულაც არ ნიშნავს, იმას, რომ ის მოქმედებდეს მხოლოდ სუბიექტური ნებით და ობიექტური (საბაზრო) პირობების და კანონმდებლობის გათვალიწინების გარეშე. მეწარმის თავისუფლება გულისხმობს იმას რომ, მან იცის:

1. თუ რა სურს საზოგადოებას, რასაც ბაზრის მეშვეობით შეიტყობს;
2. თურომელი საქმიანობა არის კანონით და წეს-ჩვეულებებით აკრძალული. ამ პირობების გათვალისწინებით მეწარმე თავისუფალია, ხოლო გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში ის ისჯება ორმხრივად:
1. ბაზარზე მისი პროდუქტი ვერ საღდება და ფინანსურად ზარალდება;
2. სახელმწიფოს კანონსაწინააღმდეგო მოქმედებების გამო ისჯება ადმინისტრაციული ან ეკონომიკური სანქციებით.

მეწარმეს ესაჭიროება ეკონომიკური თავისუფლება, რათა თავისი საქმე აკეთოს, ხოლო ამ ეკონომიკური თავისუფლების დასაცავად მას ესჭიროება თავისუფალი სასამართლო, ლიბერალური მთავრობა, თავისუფალი მედია. ვინაიდან მეწარმეები წარმოადგენენ მქონებელთა ფენას, და უფრთხილდებიან თავის საკუთრებას, არჩევნებში ისინი ზომიერ ძალებს უფრო უჭერენ მხარს, ვიდრე რადიკალებს.

რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ მეწარმეობის გასავითარებლად? ჩვენი აზრით, ნაკლები რეგულაციები და გადასახადები დაუწესოს ბიზნესს; უზრუნველყოს ბაზარზე თავისუფლად შესვლის და გამოსვლის პროცედურები, რათა იყოს ჯანსაღი კონკურენცია და არც ერთი მეწარმე მონოპოლისტად არ გადაიქცეს, რა შემთხვევაშიც უკვე მომხმარებლები ზარალდებიან; სახელმწიფო მთავრობის სახით, ირიბად თუ პირდაპირ ნაკლებად უნდა ჩაერიოს მეწარმეთა საქმიანობაში და მისცეს მათ თავისუფალი განვითარების საშუალება, რაც საბოლოო ჯამში ისევ სახელმწიფოს მოუტანს სიკეთეს. ამგვარად, მეწარმეობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალაა, ხოლო ეკონომიკური განვითარება უკვე სამოქალაქო და დემოკრატიული განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Фаррахов А. Г. Менеджмент. М. 2014
2. Креативный менеджмент. Учебник. М. 2017
3.Акатов Н. В. Управление переходом к инновационным саморазвивающимся организациям: Теория и практика. П. 2012
4. Андреев В. И. Саморазвитие менеджера . М. 2014

რეზიუმე

გამწვავებული კონკურენცია, გადარჩენის ინსტიქტი და პირველობის მუდმივი დაუოკებელი ამბიცია სულ უფრო მეტ ორგანიზაციას აიძულებს ეძებოს განვითარების ახალ-ახალი შესაძლებლობები, მიჰყვეს ცვლილებებს. შედეგად სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება, თუ რა ცვლილებებს, რა ინტენსივობით და როგორი ხარისხით ახორციელებს ორგანიზაცია თავის საქმიანობას. სწორედ ეს განსაზღვრავს იმას, თუ რამდენ ხანს შეძლებს ორგანიზაცია ბაზარზე დარჩენას და კონკურენტულ გარემოში წარმატების მიღწევას. არცერთი ცვლილება აღარ არის საკმარისი გრძელვადიანი კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად. თანამედროვე ორგანიზაცია მაშინ არის წარმატებული, თუკი მუდმივად ახერხებს იყოს საინტერესო საზოგადოებისათვის, სასარგებლო კლიენტებისათვის და ამავე დროს ეფექტიანი, როგორც ფინანსური, ისე გრძელვადიანი სიცოცხლისუნარიანობის თვალსაზრისით.

SUMMARY

THE FEATURES AND INTERESTS OF MODERN BUSINESS

GUGULI KURASHVILI
TAMAR DEVIDZE

Competition, survival instincts and constant shameless ambitions make more and more organizations look for new opportunities for development and stimulate change. As a result, it becomes more and more important what changes, to what degree of intensity and to what extent the organization carries out its activities. This is what determines how long an organization can remain in the market and succeed in a competitive environment. No change is enough to gain a long-term competitive advantage. modern organization is successful if it is continuously interesting to the general public, useful to customers and at the same time effective both in terms of financial and long-term viability.

კომპოზიციურიმასალების გამოყენება საჰაერო ხომალდებში

გიორგი ოქროპირიძე
საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი

საკვანძო სიტყვები: კომპოზიტი, თვითმფრინავი, ბოჭკო, ნახშირბადი

თვითმფრინავის სტრუქტურული მასალები უნდა იყო ისეთი კომბინაციის, რომ მათი წონა, მდგრადობა და წარმოება შეესაბამებოდეს საავიაციო სტანდარტებს. ალუმინის მასიური გამოყენება დაიწყო საავიაციო ინდუსტრიაში 1930-იანი წლებიდან, ერთ-ერთი პირველი იყო კომპანია „ბოინგის“ წარმოების თვითმფრინავი Boeing 247 (1933) და „დუგლას“ DC-2 (1934), მაგრამ კომპოზიტების (ძირითადად ნახშირბადის ბოჭკო CFRP) სერიოზულ კონკურენციას უწევს მეტალის შენადნობებს.

ქვემოთ მოყვანილია ორი მაგალითი.1) სპორტული და სპეციალური ს.ხ. იყენებენ კომპოზიტებს უფრო მაღალი პროცენტულობით. 2) სამხედრო ს.ხ-ები სპეციალურირ დანიშნულების (მაგ. სტელს თვითმფრინავები) გააჩნიათ ბევრად მაღალი პროცენტულობით კომპოზიტები ვიდრე მათი თანამედროვე სხვა ს.ხ.-ები. (მაგ. F-35 რადგან ის უნდა იყოს რადარებისთვის შეუმჩნეველი).



სამოქალაქო ს.ხ. ინდუსტრიაში მაგ. როგორიცაა Boeing 787 და Airbus 350 მოახდინეს „თამაშის წესების“ შეცვლა. მათი ფიუზელაჟის და ფრთასხმულობის 50-52% კომპოზიტებისგან შედგება. მაგრამ, ზოგიერთი სკეპტიკოსის აზრით საკამათოა თემა, რომ ისეთი თვითმფრინავების როგორიცაა Boeing 737 და Airbus 320 ზომის ს.ხ.-ები მომავალში გამოიყენებენ იგივე და მეტი პროცენტულობის კომპოზიტებს, რადგან ძალიან ძვირი ჯდება, ვიდრე ალუმინის შენადნობები. ასევე არის სხვა უარყოფითი და ასევე დადებიღი მხარეები. რომელსაც ჩვენ მოგვიანებით განვიხილავთ.

რაც აშკარაა, ისაა რომ უფრო და უფრო იხვეწება დიზაინი და ჰიბრიდული ფიუზელაჟების, ფრთის და ფრთასხმულობის, როგორც სამხედრო ისე სამოქალაქო ს.ხ.-ებში.

კომპოზიტები არიან მასალები, რომლებიც შედგებიან ორი განხვავებული კომპონენტისგან, რომლებიც გაზრდილ მონაცებენს შეიცავენ. ძირითადი კომპონენტი არის განგრძობითი მატრიცა. მეორე კომპონენტი არის შემავსებელი მასალა. ისინი რამდენიმე კატეგორიად იყოფა, დაფუძნებულია მასალებზე და დამზადების მეთოდზე. მიმოხილვაა წარმოდგენილი კომპოზიციური მასალების ცხრილში.

როგორც სურათი გვიჩვენებს არის ორი კატეგორია, თერმოსეტი და თერმოპლასტიკი. თერმოსეტი: ყველაზე ფართოდ გავრცელებული თერმოსეტები, თვითმფრინავის კონსტრუქციაში არის თვითმფრინავის რეზინა, ისინი კარგად დამუშავებულია და ქიმიური და მექანიკური მონაცემები აქვს. ისინი იტანენ დაბალ სიბლანტეს გახურებისას ააქტიურებს თხევად რეზინის ფორმების ტექნიკას, როგორც რეზინის ფორმირებას.

ბისმალეიდინის რეზინას აქვს გადამუშავება და მექანიკური მონაცემები შედარებულია ეპოქსიდს. რეზინის თვისებები ასრულებს ლიმიტს (180 o C) ზემოთ და არის 130 ° მიღმა იმ ეპოქსების.

მაღალი ოპერატიულ ტემპერატურაზე პოლიმიდები გამოიყენება. ეს ნებას რთავს ამუშაოს 300 გრადუსზე, მაგრამ ბისმალეიმიდის რეზინაზე ძვირია და რთულად დასამუშავებელი.

თერმო პლასტმასი. ეს შეიცავს პოლიეთერთეკონს, გამოიყენება 120 o. პოლიეთერთეკონე გამოიყენება 145 oცელსიუსზე. თერმოპლასთიკის ტიპის პოლიმიდი 270 oგამოიყენება. ეს სამი მატრიციანი ტიპი ყველაზე ხელსაყრელია საავიაციოში სფეროში. თერმოპლასტმასები სრულიად პოლიმერულ მდგომარეობაში

გადაყავთ სანამ კომპოზიტურ მასალებს გამოიყენებენ. თუმცა ისინი არ მიდი რეზინის ტრანსფერ მოღუნვაში. რეზინის გადამუშავება ან ცხელი ბოჭკოების დაპრესვა უფრო მიესადაგება.

ცხრილი 2.1 თერმორეაქციების და თერმოპლასტმასის შედარება, თბისებები

თერმორეაქტივები	თერმოპლასტმასი
• განიცდის ქიმიურ ცვლას ვულკანიზაციისას • დაბალი გადფუჭების ალბათობა • დაბალი ტეხვის ენერგია • გადამუშავებისას იგივე მასალას ვიღარ ვიღებთ • ტენისადმი დაბალი გამძლეობა • დაბალი სიბლანტე	• არარეაქტიული, ვულკანიზაცია არაა საჭირო • მაღალი შანსი გაფუჭების • მარალი ტეხვის ენერგია • ძალიან მაღალი სიბლანტე • გადამუშავება შეიძლება • ტენისადმი გამძლე • ზოგიერთ შემთხვევაში შეზღუდული მედეგობა
უპირატესობები	
• დაბალი დამუშავების ტემპერატურა • რთული ფორმების შესაძლებლობა • ბოჭკოს კარგი დატენიანება • თხევადი რეზინის წარმოების საშუალება • ცოცვადობასთან მედეგობა	• გადამუშავების შედარებით მცირე ვადები • ხელახლა გამოყენების შესაძლებლობა • გაციების გარეშე საწყობში შენახვის • შეუზღუდავი დრო • განშრევების მაღალი მედეგობა
ნაკლოვანებები	
• გადამუშავების მცირე დრო • ვულკანიზაციის დიდი დრო • შეზღუდული შენახვის დრო (მოითხოვს გაციებას)	• გამხსენლზე დაბალი მედეგობა • დამუშავებისას საჭიროებს მაღალ ტემპერატურას და წნევას • ცოცვადობისკენ მიდრეკილება • შეღწევადობასთან მედეგობა

თერმოსეტების და თერმოპლასტიკების მონაცემების შედარება წარმოდგენილია. მათი შედარების მნიშვნელოვანი ნიშნებია 1) თერმოსეტებს შედარებით დაბალი დაძაბულობის თეხვადობა ააქვთ, რომელიც შედეგია ცუდი ხარისხის ტეხვაზე მუშაობისა, თერმოსეტები იწოვენ ტენიანობას, რომელიც ამცირებს მატრიცულ-დომინანტის თვისებებს, როგორც ტემპერატურის აწევა და დაჭირხვნის გამძლეობა. 2) თერმოპლასტიკა უფრო ძვირია და მოითხოვს დამშავების უფრო მაღალ ტემპერატურას და წნევას, რომელიც ზრდის ფასთა სხვაობას. 3) საბოლოოდ, თერმოსეტები უფრო ფართოდ გამოიყენება, თერმოპლასტიკას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მაღალი შეჯახების და კუთხეების საკითხზე, რაც განაპირობებს ფასის ზრდას.

კომპოზიუტი ბოჭკო ნახშირბადის ბოჭკოს 3 კატეგორიაა: ეს არის მაღალი მოდულური „ტიპი I“ მაღალი ისძლიერე, „ტიპი II“ და საშუალო მოდულური. ეს მაგალითები მოცემულია 2,2, ცხრილში, რომელიც გვიჩვენებს ბოჭკოების სამი ტიპის განსხვავებულ მექანიკურ მონაცემებს. ასევე გვიჩვენებს I და II ანუ (HM) და (HS) ბოჭკოების სიმძლავრეს. იმის მანიშნებელია რომ მაღალი მოდულურობა გაცვლილია მაღალ სიმძლავრეზე.

ბოჭკოს წარმოებლები წარმოადგენენ მოდულის და სიმძლავრის ფასეულობებს სამ ბოჭკოს კატეგორიაში. ასევე არის 2 სხვა კატეგორიაც მიჩნეული როგორც სტანდარტი და ულტრა მაღალი მოდული. ეს უკანასკნელი არის ტეხვაგამძლე: რაც უფრო მაღალი მოდულურობაა უფრო მყიფეა ბოჭკოც.

ცხრილი 2.2 კომერციული ნახშირბადის ბოჭკოს თვისებები

თვისებები	HM ტიპი I	HS ტიპი II	IM ტიპი III
სიმკვრივე(გრ/სმ^3)	1.9	1.8	1.8
დაჭიმულობის მოდული	276–380	228–241	296
დაჭიმულობის სიმტკიცე	2415–2555	2105–4555	4800
დაძაბულობის მაქსიმალური დერომაცია %	0.6–0.7	1.3–1.8	2.0
თერმული გაფართოება $X10^{-6}$ mm^{-1} K^{-1})	−0.7	−0.5	N/A
თბოგამტარობა (Wm^{-1} K^{-1})	64–70	8.1–9.3	N/A
წინაღობა (μΩ m)	9–10	15–18	N/A

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Wright GA (1992) An overview of concerns relating to fluid effects on composites. In: The utilization of advanced composites in military aircraft. AGARD Report 785, Advisory Group for Aerospace Research and Development, Neuilly-sur-Seine, France, pp 13-1–13.6
2. Brosius D (2003) Advanced pultrusion takes off in commercial aircraft structures. Gardner Business Media, Inc., Cincinnati, OH 45244, USA. www.compositesworld.com
3. Lequeu P, Lassince P, Warner T (2007) Aluminium alloy development for the Airbus A380— Part 2. Adv Mater Processes 165(7):41–44
4. Vogelesang LB (2004) Fibre metal laminates, the development of a new family of hybrid materials. In: Guillaume G (ed) 'ICAF 2003: fatigue of aeronautical structures as an engineering challenge, vol I, pp 3–27. Engineering Materials Advisory Services, Warrington, UK
5. Halpin JC, Kim H (2007) Managing impact risk for composite structures: unifying durability and damage tolerance perspective. FAA/EASA/Industry composite damage tolerance and maintenance workshop, 7–11 May 2007, Amsterdam, the Netherlands

რეზიუმე

ტექსტში მოცემულია მოკლე ისტორია, შემდეგ კი თუ რაოდენ უკეთესია და მომგებიანი კომპოზიტების გამოყენება ავიაციაში. ასევე საუბარია კომპოზიტების სხვა და სხვა ტიპების მახასიათებლებზე, თერმოსეტი და თერმოპლასტიკი. თერმოსეტი: ყველაზე ფართოდ გავრცელებული თვითმფრინავებში,თერმოპლასტიკი კი უფრო ძვირია და იზრდება ფასთა სხვაობა.

SUMMARY

GIORGI OKROPIRIDZE

COMPOSITE MATERIALS IN THE AVIATION INDUSTRY

There is given a brief history and application of composite materials in the aviation industry followed by its benefits and advantages. Following paper also reviews thermoplastic and thermoset composite materials and their properties. Thermoset composites which are the most commonly used in the aviation industry and more expensive thermoplastic composites

დაპროექტების თავისებურებები წინასწარდაძაბული რკინაბეტონის მაღლივი შენობის გადახურვებში

ლია ბალანჩივაძე
ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი
ლაშა ნარდაია
სტუ სამშენებლო ფაკულტეტის დოქტორანტი

1. შესავალი

ეკონომიკის რაციონალური განვითარებისათვის საშენი მასალების დამზოგავი ტექნოლოგიებისა და მშენებლობის მეთოდების გამოყენებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამჟამად, მიმდინარე მშენებლობის ძირითადი მეთოდი მონოლითურია, რაც ერთის მხივ მისასალმებელია სიმტკიცისა და მთლიანობის თვალსაზრისით, მაგრამ მეორეს მხივ მოითხოვს პროექტის ზედმიწევნით დაცვას. თანამედროვე არქიტექტურის მიერ ინჟინერ-კონსტრუქტორების წინაშე დიდი სირთულის ამოცანები ისახება, რაც გამოიხატება შენობების რთულ გეომეტრიულ ფორმებში, გაზრდილ სართულიანობაში, გადახურვის დიდმალებში და ა.შ. ასეთი არქიტექტურის განხორციელებას სჭირდება სათანადო საინჟინრო მხარდაჭერა. ასეთი მოთხოვნებისსაპასუხოდარისშემუშავებული რკინაბეტონის კონსტრუქციების წინასწარი დაძაბვა, რომელიც გამოიყენება კონსტრუქცის როგორც გადახურვის, ასევე ვერტიკალურ ელემენტებში (დიდი მოქნილობის სვეტები, დიაფრაგმები).

2. ძირითადი ნაწილი

მრავალსართულიანი კარკასის შეიძლება იყოს მონოლითური და ასაწყობ-მონოლითური რკინა ბეტონის. ამჟამად, საქართველოში ფართოდაა გავრცელებული კარკასული შენობები, რომლებიც გამოირჩევიან ელემენტების ტიპების სიმრავლით და განსაკუთრებულით დიდ სტატიკურ დადინამიკურ დატვირთვებზე მუშაობას კარგადართვევსთავს.

შენობაზე მოქმედებს ვერტიკალური დატვირთვები, რომლებიც შედგება მუდმივი და დროებითი დატვირთვებისგან, მუდმივი დატვირთვებს განეკუთვნება კონსტრუქციის და მასზე მუდმივად დამაგრებულიმოწყობილობებისწონა, როებითდატვირთვადგვაქვსთოვლი, გვა ქვსდროებითიხანმოკლედატვირთვებიც, ონტალურიდატვირთვებიდანერთ–ერთი ყველაზემნიშვნელოვანიაქარისდატვირთ ვა (ქარისწნევისსიდიდეშენობისვერტიკალ ურიზედაპირისერთეულფართობზეგანისა ზღვრებამშენებლობისრაიონისმიხედვით. თუშენობისსიმაღლეაღემატება 40 მეტრსმაში ნუკვემხედველობაშიუნდამივიღოთქარისდი ნამიკურიდატვირთვაც.

განვიხილოთ, როგორ მუშაობს მრავალსართულიანი კარკასული შენობა, რომელიც შედგება მზიდი ვერტიკალური ელემენტისაგან, როგორიცაა ჩარჩო და დიაფრაგმა, სიხისტის ბირთვისაგან და ჰორიზონტალური ელემენტებისაგან. შენობა დაყრდნობილია ხისტ ან მოქნილ საძირკვლებზე, რადგან მასზე მოქმედებს სხვადასხვა დატვირთვები. ვერტიკალურიმი მართულებითშენობისელემენტებიწინაღობა სუწევენსაკუთარმასას, სასარგებლოდატვირ თვასდასაძირკვლისარათანაბარ დაჯდომას, ხოლო ჰორიზონტალური მიმართულებით ქარის და სეისმურ დატვირთვებს (ნახ.1).



ნახ.1. მრავალსართულიანი კარკასული შენობების სქემები

კარკასის ჩარჩოვან სქემაში, სვეტების დარიგელების შეერთება ხდება ხისტი კვანძებით, რაცაუმჯობესებს სვეტების მუშაობას ჰორზონტალურ დატვირთვებზე, რომელიც საკმაოდ საშიშია შენობისათვის. თუსაჭიროებამოითხოვსჩვენ შეგვიძლია

გამოვიყენოთ პილონები, რომელსაც შეუძლია განტვირთოს რიგელები, როდესაც მათზე ჰორიზონტალური ძალები მოქმედებენ. თუ ჩვენ შენობას ჭირდება გახისტება ამისთვის ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ დიაფრაგმები რომლებიც ფართო კონსოლივით მუშაობს. იგი უნდა მოვათავსოთ ჩარჩოს ზოგიერთ უჯრედში. კარკასის კავშიროვან სისტემაში ვერტიკალური დიაფრაგმა იღებს ჰორიზონტალური დატვირთვის თითქმის 100%–ს. ასევე შეგვიძლია გამოვიყენოთ ღია ან დახურილი ტიპის სიხისტის ბირთვები, რომელიც შენობას სიხისტეს უზრდიან. ბირთვიან შენობებზე მოქმედი ქარის და ტვირთვები მთლიანად გადაეცემა ბირთვს. ბირთვი წარმოადგენს მონოლითურ რკინაბეტონის სივრცით მზიდ ელემენტს, საძირკველში ხისტად ჩამაგრებულს, კვეთის ღია ან ჩაკეტილი კონტურით. მასში განთავსებულია ლიფტის შახტი და კიბის უჯრედი. ასეთ შენობებში ბირთვზე მოდის ჰორიზონტალური დატვირთვა, ხოლო კარკასზე ვერტიკალური. ბირთვზე და კარკასზე დემპფერების მოწყობით, მათი სიხისტეების შერჩევით შესაძლებელია შენობის რხევის ამპლიტუდის რეგულირება. მაგრამ თუ შენობის სართულების რაოდენობა 50–ზემეტია, მაშინ ბირთვს არ შეუძლია ქარის ატვირთვას გაუმკლავდეს, ამდროს საქმეში ერთვება შენობის გარეკონტურზე განლაგებული სვეტები, რომელ ბიცროს ტვერკებით უკავშირდებიან ბირთვს.

წინასწარ დაძაბულ რკინაბეტონი 35%-ით ამცირებს დეფიციტურ ილითონს მშენებლობაში. წინასწარი დაძაბვა გაჭიმულ ზონაში ბზარების წარმოქმნის, მისი გახსნისმომენტ ებს ბევრად გადაწევს და ზრდის ელემენტის სიხისტეს, ისე, რომ მის სიმტკიცეზე გავლენას არ ახდენს.

წინასწარ დაძაბული კონსტრუქციები ბევრად ეკონომიურია. ისეთი შენობა-ნაგებობების აგება, რაც ტექნოლოგიურად შეუძლებელია ჩვეულებრივი რკინაბეტონით, სადაც მასალის დანახარჯები ბევრად დიდია და არიძლევამაღალი სიხისტისა და კონსტრუქციის სიმტკიცის გარანტიას.

გამოყენებული ლიტერატურა:

Manual for detailing reinforced concrete structures to ec2, JozeCalavera, 2012;

2. საქართველოს სამშენებლო ნორმები და წესები – ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები. პნ.03.01–07. თბილისი 2007 წ.

3. ნ. ნინუა – რკინაბეტონის კონსტრუქციები. თბილისი. „განათლება“, 1988 წ.

SUMMARY

«Peculiarities of Designing of Multi-storey Prefabricated Concrete Concrete Buildings»

Lia Balanchivadze

STU, Professor

Lasha nardaia

Faculty of Construction , Doctorate ,III Course

The opportunity of advanced computer programs to define planning features of pre-stressed ferroconcrete elements may be considered as innovation - the thesis is suggesting. Namely, considered as according to limit state, as well finite elements and according to current normative documents, calculating construction scope based on deformation scheme, envisaged as finite strain system.

First section of the thesis discusses ordinary and pre-tensioned ferroconcrete buildings, construction characteristics, kinds of section areas and embedded reinforcement.

Pre-tensioned ferroconcrete reduces rare metal at 50%; pre tension impedes fracture emerge in stretched areas, supporting element stiffness not effecting its hardness.

child has a right immediately after the birth to have a name, surname and citizenship, also the child has a right to be brought up by parents and in a healthy environment that is to be by all means provided by state.

ახალი გამოცემები



2019 წელს გამომცემლობა „მერიდიანმა გამოსცა პროფესორიების **მარინა იზორიას** და **გურამ მარხულიას** ნაშრომი **„ტერიტორიული დავა უკრაინა-რუმინეთის ურთიერთობებში"**, რომელშიც განხილულია დეტალურად კუნძულ ზმეინის საკითხი. უკრაინა რუმინეთის ტერიტორიული დავა თავისი მნიშვნელობით არჩამოუვარდება აღმოსავლეთ მეზობელის დამპყრობლურ პოლიტიკას. მიუხედავად იმისა, რომ რუმინეთმა აღიარა უკრაინა არსებულ საზღვრებში, ის დრო და დრო მაინც აცხადებს გარკვეულ ტერიტორიულ პრეტენზიებს მისადმი. ამ პრეტენზიებს აქვს გარკვეული ისტორიული სარჩული, რადგან ჯერ კიდევ 1940 წლამდე რუმინეთის სამეფოში შედიოდა მოლდოვა, აგრეთვე უკრაინის ტერიტორიები ბუკოვინა, ტერიტორია პრუტიდან დასავლეთ ბუგამდე. მაგრამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩრდილოეთ ბუკოვინა და გარცაევის მხარე გადავიდა უსსრ შემადგენლობაში. სწორედ ამ საკითხების განხილვას ისახავს მიზნად წინამდებარე ნაშრომი.

1991 წლის 24 აგვისტოს უკრაინამ დამოუკიდებლობა გამოაცადა და შეუერთდა მსოფლიოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ოჯახს. ნაშრომში განიხილება უკრაინა-რუმინეთის ურთიერთობების საკითხი კუნძულ ზმეინის გეოისტორიულ ასპექტში. ყურადღება ეთმობა კუნძულის სტატუსს და სახელმწიფო კუთვნილების პრობლემებს, რომელიც არის საწყისი წერტილი უკრაინა-რუმინეთის კონფლიქტში. წიგნში ყურადღება გამახვილებულია დაპირისპირებული მხარეების კონკრეტულ მიზნებზე და ინტერესებზე კუნძულის მიმართ. აღწერილია, კუნძულ ზმეინის კონტინენტური შელფი, მდიდარი ნავთობისა და ბუნებრივი აირის მარაგით, რომელიც გახდა რუმინეთისა და უკრაინის დაპირისპირების მიზეზი. კუნძული განლაგებულია შავ ზღვაში, დუნაის შესართავის მახლობლად. 1940 წლიდან კუნძული ეკუთვნოდა სსრკ-ს, 1991 წლიდან კი კუნძული უკრაინის მფლობელობაშია, რომელიც მან სსრკ-გან მიიღო მემკვიდრეობით გეოპოლიტიკური სტრატეგია რუმინეთის მმართველ წრეებში XX საუკუნის დასაწყისში დაფუძნებული იყო კონცეფციაზე ყველა „რუმინული ისტორიული პროვინციების" გაერთიანებაზე „უნიტარულ ეროვნულ რუმინულ სახელწიფოში". უკრაინული მიწები ბუკოვინას ჩრდილოეთ ნაწილში და ბესარაბიის სამხრეთი განიხილებოდა, როგორც „დიდი რუმინეთის" ნაწილი. უკრაინა-რუმინეთის ურთიერთობებში ტერიტორიულმა დავამ გადაინაცვლა საერთაშორისო სასამართლოში, სადაც უკრაინამ დაამტკიცა თავისი უფლებები კუნძულ ზმეინიზე, მაგრამ ტერიტორიული დავა ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის მაინც გრძელდება. სწორედ ეს საკითხია დეტალურად განხილული წინამდებარე ნაშრომში.

ზურაბ კვეტენაძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია გულითადად ულოცავს საიუბილეო თარიღებს აკადემიკოსებს

გუგული
ყურაშვილს

ქეთევან
გოლეთიანს

ბელა
გოდერძიშვილს

გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, შემოქმედებით წარმატებებს თქვენს ოჯახებთან ერთად.